ადამიანის უფლება წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე (საერთაშორისო სტანდარტის, საქართველოს პოლიტიკისა და კანონმდებლობის ანალიზი)

დოქ. მაკა ნუცუბიძე
თბილისი, 2018 წელი

"უსაფრთხო სასმელი წყალი
არ არის ქველმოქმედება,
არამედ კანონიერი/იურიდიული უფლება,
რომლის ცენტრშიც დგას ადამიანის არსი,
მისი პიროვნული ღირსება"[1].

[1] გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 2010წ.

შინაარსი

შესავალი 4

ნაწილი I: წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ადამიანის უფლება საერთაშორისო სამართალში 6

1. წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ადამიანის უფლების გენეზისი და საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებები 7

„ადეკვატური საცხოვრებელი პირობების“ უფლების კონტექსტი 7

წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ადამიანის უფლების საყოველთაოობის აღაირება საერთაშორისო დონეზე 11

წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ადამიანის უფლების მიმართება ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებთან 17

2 წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის, როგორც ძირითადი უფლების, კონცეფცია 19

წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის უფლების შინაარსი 19

წყლის უფლების შინაარსიდან გამომდინარე ვალდებულებები სახელმწიფოებისათვის 24

ნაწილი II: წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ხელმისაწვდომობის კონტექსტში საქართველოს სამართლებრივი სივრცის მიმოხილვა 30

1 ინსტიტუციური ჩარჩო და ძირითადი დაინტერესებული მხარეები 30

2 პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზი 37

3 კონსტიტუციური და საკანონმდებლო გარანტიები 42

4 საქართველოს სამართლებრივი სივრცე სასმელი წყლის ხარისხობრივი ნორმების, სასმელი წყლის მიწოდების/მოხმარების წესებისა და სასმელი წყლის ხარისხის კონტროლის შესახებ 50

5 საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი დაცვის მექანიზმები 58

6 თვისობრივი კვლევის შედეგები 60

ნაწილი III: დასკვნები და რეკომენდაციები 63

საქართველოს პოლიტიკის დოკუმენტები 65

საქართველოს ინსტიტუციური ჩარჩო 66

ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო 67

კონკრეტული რეკომენდაციები 71

ცენტრალური ხელისუფლების მიმართ 71

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ 73

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიმართ 74

პრიორიტეტული და საბაზისო რეკომენდაციები: 74

წინამდებარე კვლევის გლობალური მიზანია ადამიანის უფლების წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე საერთაშორისო სტანდარტის იმპლემენტაცია ქართულ სამართლებრივ და პოლიტიკურ სივრცეში. დოკუმენტი მოიცავს ქართულ ენაზე პირველად განხორციელებულ დეტალურ ანალიზს წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ადამიანის უფლების, როგორც ძირითადი უფლებისა. შესაბამისად, კვლევის პირველი ნაწილი დაეთმობა წყალსა და სანიტარიაზე ადამიანის უფლების გენეზისსა და შინაარსს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში (I); მეორე ნაწილში გავაანალიზებთ საქართველოს პოლიტიკის დოკუმენტებს: სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებს, ასევე საქართველოს კანონმდებლობას, როგორც საკანონმდებლო, ისე კანონქვემდებარე აქტებსა და გაიდლაინებს, რათა შევაფასოთ, რამდენად აისახება მათში WaSH-ის, როგორც ადამიანის უფლების სტანდარტი და რა კონკრეტული ხარვეზებია უფლების იმპლემენტაციის თვალსაზრისით (II); კვლევის მესამე ნაწილში შემოგთავაზებთ კონკრეტულ დასკვნებსა და რეკომენდაციებს (III).

კვლევა განხორციელდა CENN–ის მიმდინარე პროექტის – „წყალი სიღარიბის აღმოსაფხვრელად“ – ფარგლებში, რომელსაც CENN-თან ერთად ახორციელებენ ადამიანის უფლებათა ცენტრი და „ქალი და სამყარო“. პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ.

შესავალი

სამართლის ანთროპოლოგიურ - პერსონალურ ფუნქციებს 21-ე საუკუნეში დაემატა ეკოლოგიური ფუნქცია, რომელიც განპირობებულია იმ გარემოებით, რომ თანამედროვე ეპოქაში სამართალმა უნდა უზრუნველყოს მომავალი თაობებისათვის ეკოლოგიისა და ჯანსაღი გარემოს შენარჩუნება.

მოცემული გულისხმობს საერთაშორისო პოლიტიკისა და სამართლის, ისევე, როგორც თითოეული სახელმწიფოს ვალდებულებას, მიიღოს იმგვარი რეგულაციები და სამოქმედო გეგმები, რომ დღეს დაწესებული შეზღუდვებით ან/და რეალიზებული უფლებებით არა მხოლოდ დღევანდელი, არამედ ხვალინდელი მოქალაქეების უფლებების დაცვაც მაღალი სტანდარტით უზრუნველყოს.

გლობალურად სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო და სხვა ანთროპოგენური ზემოქმედების გამო ადგილი აქვს წყლის რესურსების, მათ შორის, სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყალმომარაგების წყაროების ხარისხობრივი მდგომარეობის ცვლილებას, დანაკარგებსა და წყლის დეფიციტს.

ყოველივე ეს მრავალი თაობისთვის მძიმე მემკვიდრეობას ტოვებს ბუნებრივი გარემოს დეგრადაციის თვალსაზრისით, წარმოშობს რისკფაქტორებს, რაც ასახვას პოვებს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. აღნიშნულს ემატება გლობალური დათბობისა და კლიმატის ცვლილების პროცესების ნეგატიური ზეგავლენა.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, გლობალურად, სიკვდილიანობის 10 ძირითადი მიზეზიდან[2] დიარეით მიმდინარე დაავადებები მე - 5 წამყვანი მიზეზია, ხოლო მე - 2 წამყვანი მიზეზი ბავშვებში 5 წლამდე და მათ შორის, შემთხვევათა 88% განპირობებულია არასაიმედო სასმელი წყლითა და არაადეკვატური სანიტარიულ-ჰიგიენური პირობებით.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის განმარტებით, "გაუმჯობესებული სასმელი წყალი" ნიშნავს წყალს, რომელიც მიეწოდება მოსახლეობას ცენტრალიზებული წყალმომარაგების სისტემებიდან სახლში ონკანების მეშვეობით, წყალსადენის სისტემებზე მიერთებების, საზოგადოებრივი წყალმომარაგების რეზერვუარის, დაცული ჭების, წყაროს, ჭაბურღილების საშუალებით.

აღიარებულია, რომ ევროპის რეგიონის მილიონობით ადამიანისათვის ჯერ კიდევ არ არის ხელმისაწვდომი წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის უსაფრთხო მომსახურებები. დღესდღეობით 14 მილიონი ადამიანი არ იყენებს სასმელი წყლის ძირითად წყაროს და 62 მილიონზე მეტ ადამიანს არ გააჩნია სანიტარიული კვანძები. ჩამდინარე წყლების მნიშვნელოვანი წილი დამუშავების გარეშე ხვდება გარემოში, რაც გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე, გარემოსა და ეკონომიკაზე. სოფლებსა და ქალაქებში ღარიბ და მდიდარ თემებს შორის, განსაკუთრებით დაუცველი და მოწყვლადი პოპულაციები

[2] http://www.who.int/mediacentre/factsheets/fs310/en/index.html

არსებობს[3]. ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი, უფრო მეტი, სუფთა და უსაფრთხო სასმელი წყალი, ადეკვატური სანიტარიული პირობები და ჰიგიენის ნორმები სერიოზულ და მაქსიმალურად სწრაფად გადასაწყვეტ პრობლემას წარმოადგენს საქართველოში, განსაკუთრებით – რეგიონებსა და სოფლებში.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისა და გაერო–ს ბავშვთა ფონდის ანგარიშში ჩამოყალიბებულია წყალმომარაგების, სანიტარიისა და ჰიგიენის სექტორის (WASH) ზოგადი ხედვა და მოიცავს ადამიანის უფლებებსა და გლობალურ მონიტორინგს, რომლის მიხედვით:

- ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს სახლში უსაფრთხო სასმელი წყალი;
- არცერთი ადამიანი აღარ უნდა იყოს იძულებული, მიმართოს ღია დეფეკაციას;
- სანიტარიული და ჰიგიენური პირობები უნდა იყოს საყოველთაო;
- ყველა სკოლამდელ, სასკოლო და სამედიცინო დაწესებულებას უნდა ჰქონდეს წყალი, სანიტარიულ-ტექნიკური საშუალებები და ჰიგიენის უზრუნველყოფის შესაძლებლობა;
- წყალმომარაგება, სანიტარია და ჰიგიენა უნდა იყოს მდგრადი;
- აღმოფხვრილ უნდა იქნეს უთანასწორობა წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის ხელმისაწვდომობისადმი.

წინამდებარე კვლევის მიზანია, ერთი მხრივ, წყალზე, სანიატარიასა და ჰიგიენაზე ადამიანის უფლების გენეზისისა და შინაარსის, ასევე მისგან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებების ანალიზი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ხოლო მეორე მხრივ – ქართული კანონმდებლობისა და პოლიტიკის დოკუმენტების მიმოხილვა იმ მიზნით, რომ დავინახოთ შესაბამისობის ჭრილში არსებული ხარვეზები და წარმოვადგინოთ კონკრეტული რეკომენდაციები.

კვლევის ფარგლებში გამოყენებულია ტექსტის ანალიზის, შედარებით-სამართლებრივი კვლევისა და სასამართლო პრაქტიკის შესწავლის, ასევე თვისობრივი (ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან) კვლევის მეთოდები.

პირველ თავში განვიხილავთ წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ადამიანის უფლების გენეზისსა და მასთან დაკავშირებით საქართველოს მიერ აღებულ ვალდებულებებს (1) - როგორ გადაიქცა საერთაშორისო ინსტიტუციების მიერ სუფთა წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის უზრუნველყოფის მოთხოვნა ადამიანის ძირითად უფლებად, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დღეს უკვე აღიარებულია ყველა სხვა ფუნდამენტური უფლების საფუძვლად და ადამიანის ღირსებისა და სიცოცხლის უფლებების გარანტად - ადეკვატური საცხოვრებელი პირობების უფლების კონტექსტი

[3] http://www.who.int/water_sanitation_health/hygiene/en/

(1.1.), წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ადამიანის უფლების საყოველთაოობის აღაირება საერთაშორისო დონეზე (1.2.) და გავაანალიზებთ წყალზე, სანიტარაისა და ჰიგიენაზე ადამიანის უფლების მიმართებას ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებთან (1.3.).

ამავე თავის მეორე ნაწილში განვმარტავთ საერთაშორისო ინსტრუმენტების მიერ დადგენილ სტანდარტს - წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის უფლების, როგორც ძირითადი უფლების, კონცეფცია (2) - წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის უფლების შინაარსსა (2.1.) სახელმწიფოსათვის დადგენილ ვალდებულებებს (2.2.).

მეორე თავი დაეთმობა საქართელოს სამართლებრივ სივრცეში WaSH-ის, როგორც ადამიანის უფლებასთან დაკავშირებულ სტანდარტებთან მიმართებაში არსებულ ინსტიტუციური ჩარჩოს, მიმოხილვას სკოლებში, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, ამბულატორიებსა და თავშესაფრებში საქართველოს ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის პასუხისმგებლობებისა და უფლება–მოვალეობების გადანაწილების ჭრილში (1), გავაანალიზებთ პოლიტიკის დოკუმენტებსა (2) და კანონმდებლობას (3), ასევე პრაქტიკაში არსებულ ხარვეზებსა და გამოწვევებს (4).

მესამე თავში შემოგთავაზებთ დასკვნებსა და რეკომენდაციებს.

ნაწილი I: წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ადამიანის უფლება საერთაშორისო სამართალში

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ სამართლებრივი მოცემულობა "წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ადამიანის უფლება", როგორც დასაცავი ღირებულება და პრინციპების ერთობლიობა, საერთაშორისო სამართლის კონტექსტში სათავეს იღებს 2010 წლიდან, როდესაც გაერო–ს გენერალურმა ასამბლეამ[4] და ადამიანის უფლებათა კომიტეტმა წყალზე, ჰიგიენასა და სანიტარიაზე ადამიანის უფლება ცალსახად აღიარა ადამიანის ძირითად და ფუნდამენტურ უფლებად. მანამდე არაერთი ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმი, მათ შორის, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და ევროპის საბჭო, კონვენციებისა და რეკომენდაციების საშუალებით მუდმივად აპელირებდა წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის ხელმისაწვდომობაზე სხვადასხვა კონტექსტში, იქნებოდა ეს "ადეკვატური საცხოვრებელი პირობები" თუ ადამიანური მოპყრობა და ღირსების დაცვა; მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია მუდმივად მოუწოდებდა სახელმწიფოებს, შესაბამისი ზომები მიეღოთ და უზრუნველეყოთ საკუთარი მოსახლეობისათვის სუფთა სასმელ წყალსა და სანიტარიაზე ხელმისაწვდომობა დაავადებებისა და ეპიდემიების პრევენციის მიზნით.

[4] The human right to water and sanitation (A/RES/64/292) (July 2010)

1. წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ადამიანის უფლების გენეზისი და საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებები

კვლევის ამ ნაწილში განვიხილავთ ფაქტობრივ და სამართლებრივ პროცესებს, გავაანალიზებთ "ადეკვატური საცხოვრებელი პირობების" უფლების კონტექსტს (1.1.), გავაანალიზებთ საქართველოს მიერ აღებულ ვალდებულებებს წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის უფლების ქართულ სამართლებრივ სივრცეში იმპლემენტაციის კონტექსტში (1.2.), ასევე მიმოვიხილავთ წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ადამიანის უფლების მიმართებას ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებთან (1.3.).

„ადეკვატური საცხოვრებელი პირობების" უფლების კონტექსტი

უფლების ერთმნიშვნელოვან აღიარებას წინ უსწრებდა მთელი რიგი ფაქტობრივი და სამართლებრივი პროცესები, ვინაიდან, ერთი მხრივ, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია და მეორე მხრივ, თავად გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, საკუთარი დამკვირვებლებისა და მომხსენებლების საშუალებით მუდმივად აფიქსირებდნენ წყალთან, სანიტარიასა და ჰიგიენასთან დაკავშირებულ არსებით პრობლემებსა და მათ მიმართებას ადამიანის ნორმალურ განვითარებასა და ღირსეულ ცხოვრებასთან.

თავდაპირველად, სუფთა სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობა განიხილებოდა მხოლოდ ჯანმრთელობის დაცვისა და სიცოცხლის უფლების კონტექსტში და "ადეკვატური საკვებისა და საცხოვრებლის" განმარტებით შემოიფარგლებოდა.

2000 წელს გაერო–ს ათასწლეულის ასამბლეამ მიიღო ათასწლეულის განვითარების მიზნები. რომელთა შორის ერთ-ერთ ძირითად მიზნად დასახელდა - ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო წყალზე ხელმისაწვდომობის გაზრდა[5].

კონცეფცია წყლის, როგორც ადამიანის საჭიროებების დაკმაყოფილების საბაზისო მოთხოვნაზე, პირველად დადგა დღის წესრიგში წყლის რესურსების შესახებ გაერო–ს კონფერენციაზე არგენტინაში. კონფერენციის სამოქმედო გეგმაში ვკითხულობთ, რომ ადამიანებს, მათი სახელმწიფოების განვითარების დონისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, უფლება აქვთ, ხელი მიუწვდებოდეთ უსაფრთხო სასმელ წყალზე, რომლის ხარისხი და რაოდენობა შეესაბამება მათივე მოთხოვნილებებს. 1992 წლიდან მოყოლებული ზემოხსენებული თეზა არაერთხელ იქნა გაჟღერებული გაერო–ს სხვადასხვა ფორმატის ფარგლებში. 1996 წელს ჰაბიტატის მეორე კონფერენციის დღის წესრიგმა სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობას დაუმატა სანიტარიული პირობების უზრუნველყოფა, როგორც "ადეკვატური საცხოვრებელი პირობების" შემადგენელი ნაწილი.

---

[5] მე-15 ამოცანა: "2015 წლისათვის 2-ჯერ შემცირდეს მოსახლეობის წილი, რომლისთვისაც ხელმისაწვდომი არ არის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო წყალი", ათასწლეულის განვითარების მიზნები 2000, გაერო.

2000 წლიდან ევროპის საბჭოს რეკომენდაციებში წყალზე ხელმისაწვდომობის უფლება აღიარებულია შემდეგი ფორმულირებით: „თითოეულ ადამიანს უფლება აქვს, ხელი მიუწვდებოდეს საკმარისი რაოდენობის სასმელ წყალზე“[6]. „წყალი განსხვავდება სხვა კომერციული პროდუქტებისაგან და მიეკუთვნება მემკვიდრეობას, რომელიც საჭიროებს დაცვასა და შესაბამის მოპყრობას“[7].

გაერო–ს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტმა 2002 წლის ნოემბერში მიიღო ე.წ. „ზოგადი შენიშვნა“[8] N15 წყლის უფლების შესახებ. მასში წყალი განისაზღვრება, როგორც სოციალური და კულტურული სიკეთე, და არა მხოლოდ ეკონომიკური საქონელი.

ეს დოკუმენტი დღემდე რჩება უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტად წყალზე ადამიანის უფლების განმარტების თვალსაზრისით. რეალურად, 2002 წლის ზემოხსენებული დოკუმენტი იძლევა უფლების კონცეფციას და აყალიბებს დაცულ სფეროს: “თითოეულ ადამიანს უფლება აქვს, ხელი მიუწვდებოდეს უსაფრთხო, საკმარისი რაოდენობის, ფიზიკურად და ეკონომიკურად ხელმისაწვდომ წყალზე პირადი და საყოფაცხოვრებო საჭიროებებისათვის”[9]. უნდა ითქვას, რომ ეს გახლავთ დღემდე წყალზე ხელმისაწვდომობის უფლების, როგორც ადამიანის ძირითადი უფლების, ამომწურავი განმარტება.

მართალია, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა პაქტში პირდაპირ არ არის ნახსენები წყალზე ადამიანის უფლება, კომიტეტი განმარტავს, რომ წყალზე ადამიანის უფლება წარმოადგენს “ადეკვატური საცხოვრებელი პირობების, საკვებისა და ტანსაცმლის” უფლების შემადგენელ ნაწილს. აქვე კომიტეტმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ წყალზე ხელმისაწვდომობის უფლება განუყოფელია ჯანმრთელობის, საკმარისი საცხოვრებელი პირობებისა და კვების უფლებისაგან.

ინფორმაციისათვის აღვნიშნავთ, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია[10] მიღებულია 1998 წელს, ხოლო ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი[11] – 1976 წელს. თითოეული მათგანი აღიარებს

---

[6] Recommendation Rec(2001) 14 of the Collittee of Ministers to member States on the European Charter on Water Resources.

[7] ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი დირექტივა, 2000.

[8] შენიშვნა წარმოადგენს გაერო–ს საექსპერტო ორგანოების ავტორიტეტულ განმარტებას სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულების, მათ შორის, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტის.

[9].General comments No.15 to the UN International Covenant “On Economic, Social and Cultural Rights”1, adopted in 1966 at the UN General Assembly.

[10] მიღებული 1948 წლის 10 დეკემბერს გაერო–ს გენერალური ასამბლეის მიერ, მუხლი 25.

[11] მიღებულია და ღიაა ხელმოსაწერად, სარატიფიკაციოდ და შესაერთებლად გენერალური ასამბლეის 1966 წლის 16 დეკემბრის 2200A(XXI) რეზოლუციით ძალაშია 1976 წლის 3 იანვრიდან, 27–ე მუხლის შესაბამისად; საქართველო პაქტს შეუერთდა 1994 წელს.
მუხლი 11 და 12.

ადამიანის უფლებას, ჰქონდეს ცხოვრებისა და საკვების ისეთი დონე, რომელიც საჭიროა მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად[12] [13].

ექსპერტთა განმარტებით, პაქტის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის ფორმულირება "თითოეული ადამიანის უფლება, ხელი მიუწვდებოდეს სათანადო საკვებზე, ტანსაცმელსა და საცხოვრებელზე, აგრეთვე უფლებას, მუდმივად იუმჯობესებდეს საცხოვრებელ პირობებს", მოიცავს სიტყვას "ჩათვლით", რაც, გაერო–ს ექსპერტების დასკვნით, გულისხმობს, რომ ჩამონათვალი არ არის ამოწურვადი და შესაძლებელია, მოიცავდეს სხვა სასიცოცხლოდ აუცილებელ პირობებს. შესაბამისად, კონვენციის ზემოხსნებული ინტერპრეტაციისას "უსაფრთხო და საკმარისი რაოდენობის წყალი" ნამდვილად უპირობოდ და უალტერნატივოდ მოიაზრება ადეკვატური საცხოვრებლის უფლების კონტექსტში, ვინაიდან იგი ერთმნიშვნელოვნად სასიცოცხლოდ აუცილებელი და შეუცვლელი საჭიროებაა ადეკვატური საცხოვრებელი პირობების განსაზღვრისას[14].

2006 წელს ადამიანის უფლებათა ქვეკომისიამ მიიღო სახელმძღვანელო პრინციპები[15] სასმელ წყალსა და სანიტარიაზე ადამიანის უფლების სახელმწიფოთა კანონმდებლობაში იმპლემენტაციისათვის. სახელმძღვანელო პრინციპები წარმოადგენს კონკრეტულ ინსტრუქციას შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირებისათვის, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისათვის მოახდინონ, წყალსა და სანიტარიაზე ადამიანის უფლების იმპლემენტაცია.

ევროპის სოციალური ქარტიის[16] 31-ე მუხლის[17] მიხედვით, "საცხოვრებელ ადგილზე უფლების ეფექტიან განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, მხარეები ვალდებულებას იღებენ, მიიღონ ზომები, რომლებიც მიზნად ისახავს: 1. ხელი შეუწყონ საცხოვრებელი ადგილის ადეკვატური სტანდარტის ხელმისაწვდომობას".

სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის დასკვნით, ქარტიის 31-ე მუხლით გარანტირებული "საცხოვრებელი პირობების ადეკვატური სტანდარტი" მოიცავს

---

[12] მუხლი 25. 1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება, ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, საკვების, ტანსაცმლის, ბინის, სამედიცინო მოვლისა და საჭირო სოციალური მომსახურების ჩათვლით, რომელიც აუცილებელია მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად, და უფლება, უზრუნველყოფილი იყოს უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, ქვრივობის, მოხუცებულობის ან მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო არსებობის საშუალებათა დაკარგვის სხვა შემთხვევაში.

[13] მუხლი 11. 1.ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას სათანადო კვების, ტანსაცმლისა და საცხოვრებლის ჩათვლით, აგრეთვე უფლებას, განუწყვეტლივ იუმჯობესებდნენ ცხოვრების პირობებს.

[14] საერთო წესრიგის მე-15 შენიშვნა წყალზე უფლების შესახებ, 2002წ. პუნქტი 3.

[15] E/CN.4/Sub.2/2005/25.

[16] ევროპის სოციალური ქარტია, 1996 წ. რატიფიცირებულია საქართველოს მიერ.

[17] უფლება საცხოვრებელ ადგილზე ნიშნავს უსაფრთხო საცხოვრებელს, რომელიც იმავდროულად უსაფრთხოა სანიტარიისა და ჯანმრთელობის თვალსაზრისით, ანუ აღჭურვილია ყველა კომუნალური სისტემით, წყალმომარაგების, გათბობის, კანალიზაციის, ნარჩენების გატანის, ელექტროობის აღჭურვილობით.

კონკრეტულ ვალდებულებებს უსაფრთხო სასმელ წყალსა და სანიტარიაზე ხელმისაწვდომობის სახით[18].

2007 წელს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ადამიანის უფლებათა საბჭოს თხოვნით მოამზადა კვლევა სასმელ წყალსა და სანიტარიაზე ხელმისაწვდომობის უფლების მასშტაბებისა და მისგან წარმოშობილი ვალდებულებების შესახებ[19]. კვლევის შედეგად ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი მივიდა დასკვნამდე, რომ აუცილებელი იყო, უსაფრთხო სასმელ წყალსა და სანიტარიაზე ადამიანის უფლების აღიარება მომხდარიყო, როგორც ერთ-ერთი ძირითადი უფლებისა.

აქვე აღსანიშნავია, რომ, პარალელურად, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების მიმართ არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულება და კონვენცია აღიარებს სასმელ წყალსა და სანიტარიაზე ადამიანის უფლებას და აწესებს მისგან გამომდინარე ვალდებულებებს პირველ რიგში ისევ "ადეკვატური საცხოვრებელი პირობებისა" და ჯანმრთელობის უფლებების კონტექსტში.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვის შესახებ კონვენცია[20]: "მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა საჭირო ზომას სასოფლო რაიონებში ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, … სარგებლობდნენ ცხოვრების ჯეროვანი პირობებით, განსაკუთრებით საბინაო პირობებით, სანიტარიული მომსახურებით, ელექტრო და წყალმომარაგების, აგრეთვე ტრანსპორტით და კავშირგაბმულობის საშუალებებით".

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 161-ე კონვენცია[21]: დასაქმებულთა ჯანმრთელობისა და ჰიგიენური პირობების შესახებ.

ბავშვის უფლებათა კონვენცია[22]: "მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის უფლებას, ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ყველაზე სრულყოფილი მომსახურებით და ავადმყოფობათა მკურნალობისა და ჯანმრთელობის აღდგენის საშუალებებით. …მონაწილე სახელმწიფოები ცდილობენ, სრულად განახორციელონ ეს უფლება და, კერძოდ, მიმართავენ საჭირო ღონისძიებებს, რათა:
გ) ებრძოლონ დაავადებებსა და საკვების ნაკლებობას, მათ შორის, პირველადი სამედიცინო–სანიტარიული დახმარების ფარგლებში, სხვა საშუალებებთან ერთად იმ გზით, რომ გამოიყენონ ადვილად ხელმისაწვდომი ტექნოლოგიები და უზრუნველყონ საკმარისი ყუათიანი სურსათითა და სუფთა სასმელი წყლით, გარემოს დაბინძურების საფრთხისა და რისკის გათვალისწინებით"[23].

---

[18] საჩივარი N 27/2004, რომის უფლებათა ევროპული ცენტრი იტალიის წინააღმდეგ, არსებითი გადაწყვეტილება, 2005 წლის 7 დეკემბერი.
[19] A/HRC/6/3; 2007
[20] 1979 წელი, მუხლი 14/2
[21] 1995 წელი, მუხლი 5.
[22] 1989 წელი.
[23] მუხლი 24.

აგრეთვე "მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ყოველი ბავშვის უფლებას მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისათვის საჭირო ცხოვრების დონეზე"[24].

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია[25]: "*ცხოვრების ადეკვატური სტანდარტი და სოციალური დაცვა.* მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას ცხოვრების ადეკვატურ სტანდარტზე საცხოვრებელ პირობებზე მათთვის და მათი ოჯახებისათვის, რაც მოიცავს ადეკვატურ კვებას, ტანსაცმელს, საცხოვრებელ პირობებს; ასევე უფლებას საცხოვრებელი პირობების უწყვეტ გაუმჯობესებაზე; იღებენ შესაბამის ზომებს აღნიშნული უფლების დაცვისა და რეალიზებისათვის, შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებული ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე".

წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ადამიანის უფლების საყოველთაოობის აღაირება საერთაშორისო დონეზე

ევროპის რეგიონის მოსახლეობის სასმელი წყალმომარაგების, სანიტარიული პირობების გაუმჯობესებისა და წყალთან დაკავშირებული დაავადებების პრევენციის მიზნით 1999 წლის 17 ივნისს გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრების მე-3 ევროპულ კონფერენციაზე ქ. ლონდონში ხელმოწერილ იქნა "წყალი და ჯანმრთელობის ოქმი"[26].

ოქმი წარმოადგენს პირველ საერთაშორისო შეთანხმების დოკუმენტს, რომელიც სპეციალურად იყო მიღებული მოსახლეობის შესაბამისი რაოდენობისა და ხარისხის სასმელი წყლით უზრუნველყოფისა და თითოეული ადამიანისათვის ადეკვატური სანიტარიული პირობებით უზრუნველყოფისათვის. საერთაშორისო, ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე წყლის რესურსებისა და წყალმომარაგების წყაროების გამოყენებისა და დაცვის, ასევე ჯანმრთელობის დაცვის სისტემების შემდგომი გაძლიერების ღონისძიებების გატარებისათვის, რომელიც უნდა ხორციელდებოდეს წყლის რესურსებისა და წყლის ეკოსისტემებთან დაკავშირებული საკითხების მართვის საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებით.

---

[24] ბავშვის უფლებათა კონვენცია, 1989 წელი, მუხლი 27 "2. მშობელს (მშობლებს) ან ბავშვის აღმზრდელ სხვა პირებს აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ თავიანთი შესაძლებლობებისა და ფინანსური საშუალებების ფარგლებში უზრუნველყოფ ბავშვის განვითარებისათვის საჭირო ცხოვრების პირობები".
3. მონაწილე სახელმწიფოები ეროვნული პირობების შესაბამისად და თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში მიმართავენ საჭირო ზომებს, რათა დახმარება გაუწიონ მშობლებსა და ბავშვის აღმზრდელ სხვა პირებს ამ უფლების განხორციელებაში და, აუცილებლობის შემთხვევაში, მატერიალურ დახმარებას უწევენ და ხელს უწყობენ პროგრამებს, განსაკუთრებით კვებით, ტანსაცმლითა და საცხოვრებლით უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ პროგრამებს.

[25] შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია, 2006 წელი, მუხლი 28.

[26] 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ოქმის ხელმომწერი 41 ქვეყნიდან მისი რატიფიცირება მოახდინა 27 ქვეყანამ, ხოლო საქართველოს, მიუხედავად იმისა, რომ ოქმის ხელმომწერი ქვეყანაა, დღემდე არ მოუხდენია რატიფიცირება.

მნიშვნელოვანია 2010 წელს იტალიის ქ. პარმაში გამართულ „გარემოსა და ჯანმრთელობის“ [27] მინისტრთა მეხუთე კონფერენციაზე მიღებული მიმართვა, რომლის თანახმადაც, ევროპაში ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისათვის გატარებული ზომები მიმართული უნდა იყოს ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისა და გარემოს მავნე ზემოქმედების შემცირებისათვის. პარმის დეკლარაციის პირველ, რეგიონულ პრიორიტეტულ მიზანში (RPG 1) გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრებმა სურვილი გამოთქვეს, 2020 წლისათვის უზრუნველყონ თითოეული ბავშვისათვის უვნებელ სასმელ წყალსა და ადეკვატურ სანიტარიულ პირობებზე ხელმისაწვდომობა სახლში, სკოლამდელ დაწესებულებებში, სკოლებში, სამედიცინო დაწესებულებებსა და სარეკრეაციო წყალსარგებლობის ადგილებში[28].

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრმა სახელმწიფოებმა ვალდებულება აიღეს, გააძლიერონ თავიანთი საქმიანობა, რათა გააუჯობესონ გარემო და ჯანმრთელობა საერთაშორისო, ეროვნულ და ქვეყნის რეგიონალურ დონეებზე[29]. ოსტრავას დეკლარაციის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი/ამოცანაა: უზრუნველყოს უსაფრთხო სასმელი წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის საყოველთაო (უნივერსალური), სამართლიანი (თანაბარი) და მდგრადი ხელმისაწვდომობა ყველასათვის და ყველა დაწესებულებაში.

ოსტრავას მინისტერიალის მიმდინარეობის დროს გარემოს დაცვისა და ჯანმრთელობის მესამე მინისტერიალის კონფერენციაზე (ლონდონი, გაერთიანებული სამეფო, 1999) მიღებული ოქმი წყლისა და ჯანმრთელობის შესახებ რეგიონის მთავარ ინსტრუმენტად იქნა აღიარებული, რათა მოხდეს პარმის[30] უშუალო ვალდებულებების პროგრესული განხორციელება და ასევე მდგრადი განვითარების მიზნების SDR 3 -ის და SDG 6 -ის განხორციელება, პოლიტიკური ინსტრუმენტების შეთავაზებით ეროვნული წყლისა სანიტარიისა და ჯანდაცვის სფეროში აქტივობების ხელშესაწყობად და კოორდინირებული ქმედებებისათვის სხვადასხვა სექტორში.

---

[27] გარემოსა და ჯანმრთელობის მინისტრთა მე-5 კონფერენცია, ქ.პარმა, იტალია, 2010 წელი. http://www.euro.who.int/__data/assets/pdf_file/0011/78608/E93618.pdf

[28] ჯანმო-მ საფუძველი ჩაუყარა გარემოსა და ჯანმრთელობის შესახებ (Environment and Health Information System, ENHIS) ევროპის საინფორმაციო სისტემის შექმნას, რომელმაც უნდა განახორციელოს ჩატარებული მიზნობრივი ღონისძიებების შეფასება, დაადგინოს ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედი პრიორიტეტული გარემოფაქტორების ინდიკატორები და ჩაატაროს ქვეყნების მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი.

[29] გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვის მეექვსე მინისტერიალის კონფერენციის დეკლარაციის საშუალებით, რომელიც მიღებულ იქნა ჩეხეთის რესპუბლიკაში, ოსტრავაში 2017 წლის 13-15 ივნისს. ეს დოკუმენტი მოწოდებულია წევრი სახელმწიფოებისათვის, როგორც გზამკვლევი, რათა მხარი დაუჭიროს ეროვნული პორტფოლიოს შემუშავებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იგი ხაზს უსვამს დეკლარაციის მიერ განხილული თემების მნიშვნელობას, წარმოადგენს მისაღწევ ამოცანებს პრიორიტეტებთან მიმართებაში და იძლევა მათ მისაღწევ აქტივობებს.

[30] **2010 წელს იტალიის ქ. პარმაში** გამართულ „გარემოსა და ჯანმრთელობის“ მინისტრთა მეხუთე კონფერენცია; http://www.euro.who.int/__data/assets/pdf_file/0011/78608/E93618.pdf

პროგრესის შეფასების მიზნით ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევის საკითხებში წყალმომარაგებისა და სანიტარიის შესახებ, გაერო–ს ბავშვთა ფონდისა და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის WHO/UNICEF ერთობლივი მონიტორინგის პროგრამა (JMP) – „წყალმომარაგება და სანიტარია“ გვაწვდის ინფორმაციას მიზნების მიღწევის პროგრესის შესახებ, ასევე, უზრუნველყოფს მხარდაჭერას მონიტორინგის გაუმჯობესების მიზნით ქვეყნის დონეზე ეფექტიანი მართვისა და დაგეგმვისათვის.

საქართველომ, როგორც ათასწლეულის დეკლარაციის ხელმომწერმა მხარემ, აიღო ათასწლეულის განვითარების მიზნების ასახვის უზრუნველყოფის ვალდებულება ეროვნული განვითარების სტრატეგიებში ამ დოკუმენტის მიხედვით, ქვეყნის მოსახლეობის სასმელი წყლის ხარისხისა და მომარაგების სტრატეგიის მთავარ მიზანს წარმოადგენს 2035 წლისათვის ყველა ოჯახის უზრუნველყოფა ხარისხიანი სასმელი წყლით, ხუთი პრიორიტეტული ქალაქის (თბილისი, ქუთაისი, ფოთი, ბათუმი და რუსთავი) სათანადო ხარისხის წყლით მომარაგების უზრუნველყოფა 2006 წლისთვის, კარგი ხარისხის წყლით 24 – საათიანი მომარაგებით - 2015 წლისათვის, დანარჩენი ქალაქებისა და სოფლების ცენტრალიზებული წყალმომარაგების სისტემების სათანადო ხარისხის წყლით მომარაგება – 2010 წლისათვის, ხოლო კარგი ხარისხის წყლით 24–საათიანი მომარაგება - 2025 წლისათვის.

ათასწლეულის გამოწვევის გზაზე არსებული ძირითადი პრობლემები დაკავშირებულია ინვესტირებისათვის საჭირო ფინანსური რესურსების სიმცირესა და მოსახლეობის ღარიბი ფენისათვის წყლის ტარიფის შესაძლო მიუწვდომლობასთან.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 2010 წელს აღიარა უფლება წყალზე, ჰიგიენასა და სანიტარიაზე ადამიანის ყველა ძირითადი უფლების საფუძვლად[31] და განაცხადა, რომ ადამიანის უფლება სუფთა წყალზე, ჰიგიენასა და სანიტარიაზე განაპირობებს სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და განათლების უფლებასაც კი.

გაერო–მ აღიარა, რომ “თითოეული სახელმწიფო ვალდებულია, ინდივიდუალურ რეჟიმში, ეკონომიკურ და ტექნიკურ ნაწილში საერთაშორისო დახმარებითა და თანამშრომლობით, მის ხელთ არსებული რესურსების გათვალისწინებით თანდათანობით სრულად უზრუნველყოს სუფთა და უსაფრთხო წყალსა და სანიტარიაზე ხელმისაწვდომობა “.[32]

გაერო აღიარებს, რომ სახელმწიფოს რესურსები შეზღუდულია და რომ უფლების სრულად რეალიზაციას სჭირდება დრო. ამიტომაც წყლის უფლების რეალიზება ეფუძნება დისკრიმინაციის გარეშე, თანამიმდევრულ, თანდათანობით პოლიტიკას, რომელიც აერთიანებს შემდეგ აქტივობებს:

[31] The human right to water and sanitation (A/RES/64/292) (July 2010)

[32] გაერო–ს გენერალურ ასამბლეაზე 1966 წელს მიღებული „ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-15 ზოგადი კომენტარი. მუხლი 2.1.

- ფინანსური რესურსების მობილიზება;
- საუკეთესო გამოცდილების გაზიარება და დამატებითი ფინანსების მოძიება/მოთხოვნა.
- ეროვნულ დონეზე ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მობილიზება, ჩართულობა და ინფორმირებულობა.

სახელმწიფო ვალდებულია თანდათანობით (და გასაგებია, რომ ერთბაშად ვერ) უზრუნველყოს წყლის უფლების სრული რეალიზაცია, ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, გამოწვევაა ადამიანის უფლებების, ვალდებულებების შესახებ ინფორმირებულობა, მისი ჩართვა სახელმწიფოების შიდა კანონმდებლობაში, პოლიტიკასა და პრაქტიკაში. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ადამიანის უფლება წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე მყარად იყოს კანონმდებლობის, პოლიტიკისა და წესების ცენტრში, რათა არ მოხდეს მხოლოდ უფლების აღიარება თანამდევი დაცვის ეფექტიანი მექანიზმების გარეშე.

ზემოთ განხილული საერთაშორისო სტანდარტები, როგორც ვნახეთ, მოიცავს და აღიარებს წყალსა და სანიტარიაზე ადამიანის უფლებას. თითოეული მათგანი საქართველოს მიერ რატიფიცირებულია, ანუ ქვეყანას შესაბამის ვალდებულებებს აკისრებს.

უნდა ითქვას, რომ ევროპის ქვეყნების კანონმდებლობაში წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ადამიანის უფლება იმპლემენტირებული არ არის პირდაპირი მნიშვნელობით და მის აღიარებას ვხვდებით მხოლოდ გარემოს, ჯანმრთელობისა და სოციალური უფლებების კონტექსტში.

წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ადამიანის უფლება დიდი ხნის განმავლობაში რჩებოდა ეროვნული კანონმდებლობის მიღმა. ვითარება განსხვავებულია სახელმწიფოებისა და მათი განვითარების დონის მიხედვით.

რამდენიმე ქვეყნის კონსტიტუცია მოიცავს წყალზე უფლების აღიარების პირდაპირ ჩანაწერს, კერძოდ: ბოლივიის, კონგოს, უგანდის, ურუგვაის, ეკვადორისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კონსტიტუციები. სანიტარიაზე ხელმისაწვდომობის უფლება ასევე აღიარებულია რიგი ქვეყნების კონსტიტუციებითა და საკანონმდებლო აქტებით, ესენია: ალჟირი, ბოლივია, მალდივის კუნძულები, ურუგვაი, შრი-ლანკა და სამხრეთ აფრიკა. რიგი ქვეყნების კონსტიტუციებში საუბარია სახელმწიფოს ზოგად ვალდებულებაზე, უზრუნველყოს უსაფრთხო სასმელ წყალსა და სანიტარიაზე ხელმისაწვდომობა, ეს სახელმწიფოებია: ირანი, კამბოჯა, კოლუმბია, მექსიკა, ნიგერია, პანამა, პორტუგალია, ფილიპინები, ეთიოპია.

2010 წლის შემდეგ [33] სახელმწიფოების კანონმდებლობა ვითარდება სახელმწიფოს ვალდებულების კანონში განცხადების მიმართულებით. არგენტინამ 2007 წელს

[33] ანუ მას შემდეგ, რაც გაერო–მ ოფიციალურად აღიარა წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ადამიანის უფლება.

გაითვალისწინა სოციალური ტარიფიკაცია წყლის უფლების კონტექსტიდან გამომდინარე ვალდებულების შესაბამისად[34].

ბელგიამ მიიღო კანონი, რომლითაც განსაზღვრა წყლის პოლიტიკის ჩარჩო: „თითოეულ ადამიანს აქვს შესაბამისი ხარისხისა და საკმარისი რაოდენობის სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობის უფლება საყოფაცხოვრებო საჭიროებებისა და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფად[35]".

ბრაზილიამ გარემოს დაცვის შესახებ კანონში[36] აქცენტი გააკეთა წყლის მომხმარებელთა გადახდისუნარიანობაზე, წყალსა და სანიტარიაზე ხელმისაწვდომობის პროგრესზე.

საფრანგეთში 2006 წლის კანონის მიხედვით, "თითოეულ ადამიანს საკუთარი მოხმარებისა და ჰიგიენისათვის უფლება აქვს, ხელი მიუწვდებოდეს სასმელ წყალზე ეკონომიკურად ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომობის პრინციპის დაცვით"[37]. გარდა ამისა, 2010 წელს მიღებული კანონით შემოღებულ იქნა წყალზე სოციალური დახმარება[38].

ლუქსემბურგში კანონი ითვალისწინებს სოციალურ დახმარებას წყალზე უფლების რეალიზაციის კონტექსტში ყველაზე უფრო ღარიბი მოსახლეობისათვის.[39]

გაერთიანებულ სამეფოში კანონი აწესებს წყლის გადასახადის გადამხდელის დახმარებასა და მომხმარებლის გადახდისუნარიანობაზე ადაპტირებულ ტარიფებს.[40]

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, საქართველოს მიერ ხელმოწერილ და რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა ქვეყნის შიდა კანონმდებლობასთან მიმართებაში. ამგვარად, საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, ვალდებულება გულისხმობს რატიფიცირებული ხელშეკრულებებით დადგენილი ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების იმპლემენტაციას, ანუ ქართულ კანონმდებლობასა და პოლიტიკის დოკუმენტებში მათ გადმოტანას.

ზოგადად, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტი ნიშნავს პირველ რიგში სახელმძღვანელო პრინციპების ერთობლიობას, უფრო კონკრეტულად, ადამიანის უფლებათა კონვენციები სახელმწიფოებისათვის ადგენენ ე.წ. სამოქმედო ჩარჩოს და როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ თავის გადაწყვეტილებაში ხაზგასმით აღნიშნა, სახელმწიფოებს აქვთ ფართო დისკრეციული

---

[34] La *Ley de Gestión Ambiental del Agua de la Ciudad Autónoma de Buenos Aires* (loi n° 3.295 du 11 janvier 2010)
[35] https://www.cairn.info/revue-revue-juridique-de-l-environnement-2011-1-page-79.htm
[36] კანონი n° 11445 2007 წლის 5 იანვარი.
[37] გარემოს დაცვის კოდექსი, მუხლი L. 210-1 n. 2006 – 1752.
[38] n. 2011-156
[39] https://www.cairn.info/revue-revue-juridique-de-l-environnement-2011-1-page-79.htm
[40] *Floods and Water Management Act 2010*

უფლებამოსილება, ვინაიდან მათ უკეთ იციან საკუთარი ქვეყნის შიგნით არსებული გამოწვევები და მისაღები რეგულაციებიც თავად უნდა დააწესონ. ამის მიუხედავად, სავალდებულოა, გათვალისწინებულ იქნეს ადამიანის უფლებათა სტანდარტი, როგორც ზოგადი მოცემულობა და პრინციპების ერთობლიობა.

საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ძალაში შესვლით საქართველომ აიღო ვალდებულება, უზრუნველყოს თანამედროვე ევროპული სტანდარტების ტრანსპლანტაცია და როგორც საკანონმდებლო, ისე ინსტიტუციური ჰარმონიზაცია. ასოცირების ხელშეკრულების ერთ-ერთი გამოწვევაა გარემოს დაცვა და ადამიანის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი უფლებების დაცვის ადეკვატური პირობების უზრუნველყოფა.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მიზანია, ამ გაერთიანებაში პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრირების ხელშეწყობა. ხელშეკრულება ითვალისწინებს საქართველოს ჩართულობის ზრდას ევროკავშირის სტრატეგიებში, პროგრამებსა და ორგანიზაციებში; ამასთან, ევროკავშირი თავის წვლილს შეიტანს საქართველოს ეკონომიკის გაძლიერებაში და ინსტიტუციურ სტაბილურობაში.

ასოცირების შეთანხმების 301-ე პარაგრაფი აცხადებს, რომ მხარეები თავიანთ ურთიერთობებს ააგებენ და გააძლიერებენ მდგრადი განვითარებისა[41] და მწვანე ეკონომიკის გრძელვადიანი მიზნების გათვალისწინებით.

სწორედ მდგრადი განვითარების მე-6 მიზანია: წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარიული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა.

ასოცირების ხელშკერულების მე-15 თავი[42] *ეძღვნება* საზოგადოებრივ ჯანდაცვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს - არაგადამდებ დაავადებათა პრევენცია და კონტროლი, ძირითადი ინფორმაციისა და საუკეთესო პრაქტიკის გაცვლა[43]. 357-ე მუხლის შესაბამისად, საქართველო მოახდენს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოებას წინამდებარე შეთანხმების XXXI დანართში მითითებულ ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებსა და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან, ამავე დანართის დებულებების შესაბამისად.

შვიდი გრძელვადიანი ამოცანიდან პირველი ეხება (გ.ა.1) საზოგადოებრივი

[41] გადაწყვეტილება მდგრადი განვითარების მიზნების შემუშავების პროცესის დაწყების შესახებ მიღებულ იქნა გაერო–ს წევრი ქვეყნების მიერ გაერო–ს კონფერენციაზე მდგრადი განვითარების შესახებ (რიო +20), რომელიც 2012 წელს რიო დე ჟანეიროში ჩატარდა. 2015 წლის 25 სექტემბერს გაერო–ს 193 წევრი ქვეყანა შეთანხმდა მდგრადი განვითარების დღის წესრიგის დოკუმენტზე, სათაურით - „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“. დღის წესრიგი მოიცავს 17 მიზანსა და 169 ამოცანას. ახალი მიზნები ორიენტირებული არიან მდგრადი განვითარების სამ ურთიერთდაკავშირებულ ელემენტზე: ეკონომიკური ზრდა, სოციალური ინკლუზია და გარემოს დაცვა.

[42] ასოცირების ხელშკერულების კარი 6, თანამშრომლობის სხვა საკითხები.
[43] 356-ე მუხლი.

ჯანმრთელობის უზრუნველყოფას უსაფრთხო წყალსა და სანიტარიაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების გზით - 2021წ[44]. განსახორციელებელ საქმიანობებს შორისაა: სასმელი წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის (WASH) მდგომარეობის გაუმჯობესება სასწავლო - სააღმზრდელო, სამედიცინო დაწესებულებებში, სარეკრეაციო ტერიტორიებისა და ლტოლვილთა განთავსების ადგილებში[45].

2010 წლის მარტში ევროკავშირის მინისტრთა საბჭომ (27 ქვეყნის) მიიღო დეკლარაცია, რომელმაც დააზუსტა: "ევროკავშირი მიიჩნევს, რომ წყალსა და სანიტარიასთან, როგორც ადამიანის უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულებები მჭიდრო კავშირშია საცხოვრებლის, კვებისა და ჯანმრთელობის უფლებებთან. არა მხოლოდ სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობაა დაკავშირებული ადამიანის უფლებასთან, უფრო მეტიც, ის უნდა გახდეს შემადგენელი ნაწილი ადეკვატური საცხოვრებლის უფლებისა და უნდა განვიხილოთ, როგორც ადამიანის ღირსების განუყოფელი ნაწილი.

გარდა ევროკავშირის 47 წევრი სახელმწიფოსი, 14 ევროპული ქვეყანა შეუერთდა ევროკავშირის ზემოხსენებულ დეკლარაციას, მათ შორისაა საქართველოც[46].

წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ადამიანის უფლების მიმართება ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებთან

საერთაშორისო თანამეგობრობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ წყალსა და სანიტარიაზე ადამიანის უფლების დაუცველობა პირდაპირ კავშირშია ადამიანის სხვა ძირითად უფლებებთან, როგორებიცაა: არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლება, პირადი ცხოვრების თავისუფლების, ღირსებისა და ადეკვატური საცხოვრებლის უფლება, ეკონომიკური და სოციალური უფლებები და ა.შ.

- დადგენილია, რომ სასმელი წყლის მენეჯმენტისა და სანიტარიის გაუმჯობესების პირობებში შესაძლებელია ყოველწლიურად სასმელი წყლით გამოწვეული დაავადებების 30 მლნ.-ზე მეტი შემთხვევის თავიდან აცილება[47]. შესაბამისად,

[44] თავი 3, გარემოს დაცვა, თავი 4, კლიმატთან დაკავშირებული ქმედებები.

[45] ქვეყნის მოსახლეობის ხარისხიანი და უწყვეტი სასმელი წყლით მომარაგების უზრუნველყოფა, რომელიც აკმაყოფილებს ეროვნულ და საერთაშორისო მოთხოვნებს; სასმელი წყლის ხარისხისა და წყლით გადამდები დაავადებების ეფექტიან ზედამხედველობის სიტემების ჩამოყალიბება; ქვეყნის მოსახლეობის ადეკვატური სანიტარიით უზრუნველყოფა; სასმელი წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის (WASH) მდგომარეობის გაუმჯობესება სასწავლო - სააღმზრდელო, სამედიცინო დაწესებულებებში, სარეკრეაციო ტერიტორიებისა და ლტოლვილთა განთავსების ადგილებში; საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზა, პოლიტიკა წყლის რესურსების, სასმელი წყალმომარაგების დაცვისათვის გადახედვა და განახლება.

[46] ისლანდია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია, ხორვატია, მაკედონია, ბოსნია და ჰერცოგოვინა, მონტენეგრო, სერბია, ალბანეთი, უკრაინა, მოლდოვა, სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო. https://www.cairn.info/revue-revue-juridique-de-l-environnement-2011-1-page-79.htm#pa23

[47] http://www.csrdg.ge/upload/editor/file/biuletenebi/117/wkali.pdf „წყალი და ჯანმრთელობის პრობლემები საქართველოში", საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი.ბიულეტენი #117, 2010. http://www.csrdg.ge/upload/editor/file/biuletenebi/117/wkali.pdf

სახეზეა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის უფლებების დარღვევის პრევენციის შესაძლებლობა.

- წყლისმიერი დაავადებების გამო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ყოველწლიურად იკარგება 443 მლნ. სასწავლო დღე, შესაბამისად, სახეზეა განათლების უფლების ხელყოფის პრევენციის შესაძლებლობა.
- განვითარებადი ქვეყნების თითქმის ნახევარ მოსახლეობას აწუხებს წყლის ნაკლებობით გამოწვეული დაავადებები, რაც თავისთავად ჯანმრთელობისა და სიცოცხლის უფლებების უგულებელყოფის მაჩვენებელია.
- მრავალი მილიონი ადამიანის სასიცოცხლო ციკლის თანმხლები წყლისმიერი დაავადებების გამო ბავშვობაში განათლების მიღების შესაძლებლობების დაკარგვის ან/და შეზღუდვის გამო ზრდასრულ ასაკში ადამიანები მიჰყავს სიღარიბისაკენ.
- სასმელი წყლის ხარისხისა და დეფიციტის გამო ადამიანის განვითარებისათვის მიყენებული ზიანის ამ ნუსხას, შესაძლებელია, დაემატოს ეკონომიკური დანაკარგები, რომლებიც არ ექვემდებარება განზომილებას.

იმ ფაქტს, რომ წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ხელმისაწვდომობის უფლება ყველა სხვა ძირითადი უფლების საფუძველია, კარგად აჩვენებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ მოიცავს წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ადამიანის უფლებას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებები მოწმობს, რომ სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობის უფლების შელახვით ირღვევა ადამიანის ისეთი ფუნდამენტური უფლებები, როგორებიცაა არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა (კონვენციის მე-3 მუხლი), პირადი ცხოვრების თავისუფლების უფლება (კონვენციის მე-8 მუხლი), სამართლიანი სასამართლოს უფლება (კონვენციის მე-6 მუხლი) და სხვ.

იმის გამო, რომ ადამიანს/ადამიანებს შეზღუდული დროით, მხოლოდ დღეში ორჯერ მიუწვდებოდა ხელი ტუალეტსა და სასმელ წყალზე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებით აჩვენა კონვენციის მე-3 მუხლის (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) დარღვევა, მიიჩნია რა, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო დაკისრებული ვალდებულებების შესრულება. წყალსა და სანიტარიაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვით მან საკუთარი მოქალაქე არაადამიანურ და დამამცირებელ მდგომარეობაში ჩააყენა და ღირსება შეულახა[48].

თავშესაფრის მაძიებელ პირთა ათდღიანი დაკავება, როდესაც სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მათთვის საჭმელზე, წყალსა და ჰიგიენაზე (ბანაობა, სარეცხის გარეცხვა) ხელმისაწვდომობა, ევროსასამართლომ მიიჩნია ღირსების შემლახავად, რაც გახდა ამ საქმეშიც განმცხადებლის მიმართ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის დადგენის საფუძველი [49].

[48] *Tadevosyan v Armenia,* European Court of Human Rights, Third Section 2 December 2008
[49] *Riad and Idiab v Belgium,* European Court of Human Rights, First Section 24 January 2008

პატიმრებისთვის შესაბამისი სანიტარიული პირობების შექმნის ვალდებულების შეუსრულებლობა აგრეთვე მიჩნეული იქნა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევად - არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობად[50], ისევე როგორც უხარისხო სასმელი წყლით პატიმრის უზრუნველყოფა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევად, და შესაბამისად, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობად[51], ასეთივე დარღვევაა დროებით დაკავებული პირისთვის 32 საათის განმავლობაში წყალსა და სანიტარიაზე ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვაც[52].

სამეწარმეო საქმიანობის შედეგად მოსახლეობის დაუცველობა დაბინძურებული გარემოს ზემოქმედებისაგან, რომელიც ზეგავლენას ახდენდა სასმელი წყლის ხარისხზე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ადამიანის პირადი ცხოვრების უფლების უგულებელყოფად მიიჩნია სახელმწიფოს მხრიდან და დაადგინა პირადი ცხოვრების თავისუფლების უფლების დარღვევა, ვინაიდან პირადი ცხოვრების თავისუფლების უფლება მოიცავს ადეკვატური საცხოვრებელი პირობებისა და ჯანმრთელ გარემოში ცხოვრების უფლებას[53].

სახელმწიფო ხელისუფლების უუნარობა, აღესრულებინა სასამართლოს გადაწყვეტილება კერძო წყალმომარაგების კომპანიის წინააღმდეგ, რომელმაც სასმელი წყლის გარეშე დატოვა მოსარჩელეები, განხილულ იქნა, როგორც სახელმწიფოს მიერ საკუთარი მოქალაქეების დაცვის ვალდებულების შეუსრულებლობა და დადგინდა კონვენციის მე-6 მუხლის - სამართლიანი სასამართლოსთვის ხელმისაწვდომობის უფლების – დარღვევა[54].

2 წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის, როგორც ძირითადი უფლების, კონცეფცია

კვლევის ან ნაწილში განვიხილავთ წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის უფლების, როგორც ძირითადი უფლების, კონცეფციას: წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის უფლების შინაარსსა (2.1.) და წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის უფლებიდან გამომდინარე ვალდებულებებს სახელმწიფოებისათვის (2.2.).

წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის უფლების შინაარსი

წყლის უფლების თანამედროვე დეფინიცია ამგვარია:
"საკმარისი რაოდენობის, უსაფრთხო, მისაღები/შესაბამისი, ფიზიკურად და ეკონომიკურად ხელმისაწვდომი წყალი პირადი და საყოფაცხოვრებო საჭიროებებისათვის:"[55].

---

[50] *Eugen Gabriel Radu v Romania,* European Court of Human Rights, Third Section 13 October 2009
[51] *Marian Stoicescu v Romania*, European Court of Human Rights, Third Section 16 July 2009
[52] *Fedotov v Russia* , European Court of Human Rights, Fourth Section 25 October 2005
[53] *Dubetska and Others v Ukraine* , European Court of Human Rights, Fifth Section 10 February 2011;
[54] B*utan and Dragomir v Romania,* European Court of Human Rights, Third Section 14 February 2008
[55] გაეროს ეკონომიკურ სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის მე-15 დაზუსტება.

სანიტარია – სანიტარია სისუფთავისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისათვის საჭირო ღონისძიებათა ერთობლიობა. დასახლებული ადგილების სანიტარიული დაცვა გულისხმობს ღონისძიებათა კომპლექსს, რომელთაგან მთავარია:

- ნიადაგის ბუნებრივი თვისებების დაცვა;
- ხელოვნური საფრის მოწყობა;
- ნიადაგის დაცვა ორგანული და არაორგანული ნივთიერებებითა და მათი გადანაყრებით გაბინძურებისაგან;
- დასახლებული ადგილების დასუფთავება;
- შენობებში კანალიზაციის მოწყობა.

წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის უფლების ძირითადი ასპექტები

ა. წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის უფლება მოიცავს თავისუფლებებს:

- უკანონო და თვითნებური წყლის შეწყვეტისაგან დაცვა;
- წყლის რესურსების უკანონო დაბინძურების აკრძალვის უზრუნველყოფა;
- უსაფრთხო სასმელ წყალსა და სანიტარიულ მომსახურებაზე არადისკრიმინაციული, თანასწორი ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით – საცხოვრებელი გარემოს გათვალისწინებით;
- არსებული წყალმომარაგების სისტემით სარგებლობაში ჩაურევლობა, განსაკუთრებით – ტრადიციული წყაროს წყლების შემთხვევაში;
- იმის უზრუნველყოფა, რომ საცხოვრებლის მიღმა სუფთა წყლით სარგებლობამ არ შექმნას პირადი უსაფრთხოების საფრთხე.

ბ. წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის უფლება მოიცავს მატერიალურ უფლებებს:

- მინიმალური რაოდენობის უსაფრთხო სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად;
- თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში უსაფრთხო სასმელ წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ხელმისაწვდომობა;
- გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მონაწილეობის მიღების უფლება წყალსა და სანიტარიასთან დაკავშირებულ საკითხებზე, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე.

გაერო–ს N15 ზოგადი კომენტარის შესაბამისად, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტმა განმარტა წყალზე ადამიანის უფლების მასშტაბი და შინაარსი, გააანალიზა რა, თუ კონკრეტულად რა იგულისხმება საკმარისი რაოდენობის, უსაფრთხო, მისაღებ, ფიზიკურად და ეკონომიკურად ხელმისაწვდომ, პირადი და საყოფაცხოვრებო საჭიროებისთვის აუცილებელ წყალში.

საკმარისი რაოდენობის და უწყვეტი წყალი

თითოეული ადმიანისათვის წყლის მიწოდება უნდა იყოს საკმარისი რაოდენობით და უწყვეტი, რათა დაკმაყოფილდეს პირადი და საყოფაცხოვრებო საჭიროებები, სასმელი წყლის, ტანსაცმლის გარეცხვის, საკვების მომზადების, როგორც პირადი, ისე საყოფაცხოვრებო ჰიგიენის ჩათვლით.

მხოლოდ პირველადი და აუცილებელი საჭიროებებისათვის: *სასმელად;* *პირადი სანიტარისათვის;* *გასარეცხად;* *საკვების მოსამზადებლად;* *პირადი და საყოფაცხოვრებო ჰიგიენის უზრუნველსაყოფად.*

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ წყალზე უფლებით დაცულ სფეროში არ ყვება საცურაო აუზებისათვის, მებაღეობა-მებოსტნეობისათვის და სხვა ამგვარი მიზნებისათვის საჭირო წყალი, ისევე, როგორც წყალზე უფლება არ გულისხმობს განუსაზღვრელი რაოდენობის წყლით უზრუნველყოფას. ზემოთ ჩამოთვლილი ძირითადი საჭიროებებისათვის ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ განსაზღვრა წყლის საშუალო რაოდენობა თითოეულ ადამიანზე ზემოხსენებული არსებითი და ძირითადი საჭიროებებისათვის, ეს არის დღე-ღამეში 50-დან 100 ლიტრამდე წყალი.

20-დან 25 ლიტრამდე წყალი მიჩნეულია მინიმალურ რაოდენობად. იმავდროულად განმარტებულია, რომ მინიმალური რაოდენობით მიწოდების შემთხვევაში შეუძლებელია არსებითი ჰიგიენური და სამომხმარებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება და სახეზეა ჯანმრთელობის გაუარესების მაღალი რისკი[56].

წყალმომარაგების სისტემიდან წყლის შეწყვეტა არ უნდა ხდებოდეს თვითნებურად და წინასწარი გაფრთხილების გარეშე. წყლის შეწყვეტა დასაშვებია განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა სახეზეა წყლის დაბინძურება, ამის მიუხედავად, წყლის შეწყვეტა უნდა განხორციელდეს კანონის შესაბამისად და უნდა შეესაბამებოდეს კანონით დადგენილ პროცედურებს.

უსაფრთხო და შესაბამისი წყალი

გაერო–ს N15 ზოგადი კომენტარის შესაბამისად,

წყალი უნდა იყოს დაცული	შესაბამისი, მისაღები, დაშვებული ნიშნავს, რომ წყალს უნდა ჰქონდეს

[56] G. Howard and J. Bartam, "Domestic water quantity, service level and health" (Warld Health Organization, 2003); p. 22

მიკრობების, პარაზიტების, ქიმიური და რადიოლოგიური ნივთიერებებისგან.	შესაბამისი ფერი, სუნი, გემო.

ადამიანებმა რომ არ მიმართონ ალტერნატიულ წყაროებს, რომლებიც შესაძლებელია ვიზუალურად უკეთ გამოიყურებოდნენ.

წყლის ხარისხთან დაკავშირებული ძირითადი დოკუმენტი - სახელმძღვანელო პრინციპები შემუშავებულია მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ და წარმოადგენს სახელმწიფოებისათვის ეროვნული (ადგილობრივი) სტანდარტის შემუშავების საფუძველს, რომელთა ზედმიწევნით შესრულება და დაცვა უზრუნველყოფს სასმელი წყლის უსაფრთხოებას.[57]

შესაბამისი სანიტარიული სისტემის არქონამ მრავალი ქვეყანა მიიყვანა იმ მდგომარეობამდე, რომ მნიშვნელოვნად დაბინძურდა წყლის სათავეები. გაერო–ს N15 ზოგად კომენტარში ხაზგასმულია, რომ ადეკვატური სანიტარიული უზრუნველყოფა წარმოადგენს სასმელი წყლის სათავეებისა და რესურსების დაცვის უმთავრეს მექნიზმს.

ფიზიკურად ხელმისაწვდომი

წყალი და სანიტარიული უზრუნველყოფის საშუალებები უნდა იყოს ფიზიკურად ხელმისაწვდომი და განთავსებული მოსახლეობისათვის ადვილად და უსაფრთხოდ მისასვლელ ადგილას. ფიზიკური ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით აქტუალური და არსებითია მოწყვლად ჯგუფებთან – შშმ პირებთან, ქალებთან, ბავშვებსა და მოხუცებთან – მიმართებაში.

იმის გათვალისწინებით, რომ წყალზე ხელმისაწვდომობის უფლება ავტომატურად არ გულისხმობს, რომ ყველას უშუალოდ საკუთარ საცხოვრებელ ადგილში ჰქონდეს წყლის ონკანი და სანიტარიული კვანძი, დადგენილია, რომ შესაბამისი პირობები იქნეს შექმნილი, რათა წყალი და სანიტარიული კვანძი თითოეული სახლის სიახლოვეს/გონივრულ მანძილზე იყოს განთავსებული. ამ კონტექსტში განსაკუთრებული დაცვის ქვეშ ყვებიან სკოლები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და საავადმყოფოები, ასევე – თავშესაფრები, მათ შორის, ლტოლვილთა/დევნილთა ბანაკები.

ვინაიდან ყოველდღიურად ხელმისაწვდომი წყლის რაოდენობა ითვლება წყლის ონკანიდან საცხოვრებელ სახლამდე არსებული მანძილისა და იმ დროის გათვალისწინებით, რა დროც წყლის შესაგროვებლად არის საჭირო, გონივრულად მიჩნეულია მანძილი, რომელიც თითოეულ ადამიანს საშუალებას აძლევს, შეაგროვოს (აიღოს) პირადი საყოფაცხოვრებო საჭიროებებისათვის საჭირო წყალი. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, ყოველდღიურად, 20 ლიტრი წყლის

[57] ხელმისაწვდომია საიტზე www.who.int

მოსაგროვებლად საცხოვრებლიდან უახლოეს ონკანამდე რადიუსი არ უნდა აღემატებოდეს 1000 მეტრს, ხოლო წყლის შეგროვების დრო არ უნდა აჭარბებდეს 30 წუთს[58].

გამართული წყალმომარაგების სისტემის არსებობის შემთხვევაში 100 ლიტრი წყალი განიხილება ხელმისაწვდომად და შესაბამისად საკმარისად, ამდენად რეკომენდებულია წყალმომარაგების სისტემების არსებობა, რაც ქალებსა და ბავშვებს თავიდან ააცილებს შორიდან წყლის მოტანის გამო დროის დაკარგვისა და სიმძიმეების ტარების უხერხულობას, რაც, თავის მხრივ, ასევე განიხილება მათი მთელი რიგი უფლებების შეზღუდვად, მათ შორის – ჯანმრთელობისა და განათლების უფლებების შეზღუდვად.

შესაბამისად, წყალზე ხელმისაწვდომობის უფლების უზრუნველყოფა თავიდან აგვაცილებს ადამიანის მთელი რიგი უფლებების ხელყოფას, როგორებიცაა: ადეკვატური საცხოვრებელი პირობები, საკვები, განათლება, ჯანმრთელობა და ა.შ.

უდავოა, რომ სასმელი წყლისა და სანიტარიის ხელმისაწვდომობის უფლების ხელყოფის პოტენციური მსხვერპლი ნებისმიერ ქვეყანაში, პირველ რიგში, მოსახლეობის ღარიბი ფენაა.

ამგვარად, უთანასწორობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა უდავოდ წარმოადგენს წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ადამიანის უფლების ქვაკუთხედს, რიგ დოკუმენტებში დისკრიმინაციის დაუშვებლობას უფლების ძირითად პრინციპადაც იხსენიებენ. ნებისმიერ შემთხვევაში ცხადია, რომ უფლების განხორციელების პროცესში სახელმწიფოს მიერ შემუშავდება კანონმდებლობა თუ ბიუჯეტის დაგეგმარება და/ან სატარიფო პოლიტიკა, მნიშვნელოვანია, რომ დისკრიმინაციას ადგილი არ ჰქონდეს არანაირი ნიშნით, იქნება ეთნიკური, რელიგიური, სოციალური, გენდერული თუ სხვ.

ეკონომიკური ხელმისაწვდომობა

წყალმომარაგების სერვისების, მათ შორის, სატარიფო პოლიტიკის, ბიუჯეტის დაგეგმარების საფუძველი უნდა იყოს ეკონომიკური ხელმისაწვდომობის პრინციპი.

წყალზე ხელმისაწვდომობის უფლება, ბუნებრივია, არ გულისხმობს მოქალაქეთა უფასო წყლით უზრუნველყოფას. სტანდარტი ეხება ეკონომიკურად ხელმისაწვდომ წყალმომარაგების სისტემას, რომელიც გამორიცხავს წყლის მიწოდებაზე უარს გადახდისუუნარობის გამო.

გაერო–ს N15 ზოგადი კომენტარი განმარტავს, რომ ეკონომიკურად ხელმისაწვდომობის პრინციპი ავალდებულებს სახელმწიფოებს, შეიმუშაონ იმგვარი პოლიტიკა და კანონმდებლობა, რომ პოზიტიური დისკრიმინაციის ფარგლებში დაგეგმონ და განახორციელონ შესაბამისი სოციალური პოლიტიკა (მაგ., გაითვალისწინონ შეღავათები

[58] G. Howard and J. Bartam, "Domestic water quantity, service level and health" (Warld Health Organization, 2003); p. 22 – 26.

წყლის ტარიფზე სოციალურად დაუცველი გარკვეული ფენებისათვის ან სხვა ტიპის საჭიროებების მქონეთათვის, რათა საჭიროების შემთხვევაში მოქალაქეებს მიაწოდონ მოხდეს მოქალაქეთათავის უფასო ან იაფი წყალი.

წყლის უფლების შინაარსიდან გამომდინარე ვალდებულებები სახელმწიფოებისათვის

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმის მიუხედავად, რომ ეროვნულ ხელისუფლებას აქვს თავისუფალი შეფასების ფარგლები ისეთ საქმეებში, რომლებიც მოიცავს გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებს, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სამართლიანი ბალანსის დაცვა გამართულ მდგომარეობაში მყოფი ინსტიტუციებსა და მოქალაქეთა მიერ საკუთარი საცხოვრებლითა და პირადი ცხოვრების უფლებით სარგებლობას შორის.[59]

მიგვაჩნია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს უახლესი გადაწყვეტილება საქართველოს წინააღმდეგ საუკეთესოდ განმარტავს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას გარემოსდაცვითი საკითხების მოუგვარებლობის შემთხვევაში. მართალია, წინამდებარე საქმეში სადავო იყო არა უშუალოდ წყლის უფლების ხელყოფა სახელმწიფოს მხრიდან, არამედ საქმე ეხებოდა ჰაერის დაბინძურების პრობლემას, მოცემულ საქმეზე ევროსასამართლოს გადაწყვეტილება პრეცედენტულია, ვინაიდან კარგად განმარტავს თითოეული მოქალაქის მიმართ სახელმწიფოს ვალდებულების ფარგლებსა და უფლების დაცვის მოლოდინებს.

საქმეზე „ჯუღელი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“[60] საქმის ფაქტობრივი გარემოებები: მომჩივანები ცხოვრობდნენ თბილისში, ქალაქის ცენტრში, თბოელექტროსადგურის („ელექტროსადგური“) სიახლოვეს (დაახლოებით 4 მეტრი). ელექტროსადგური 1911 წელს აშენდა და მოგვიანებით მოხდა მისი რეკონსტრუქცია. მომჩივანების მტკიცებით, ელექტროსადგურის მუშაობის დროს განხორციელებული სახიფათო სამუშაოები არ ექვემდებარებოდა შესაბამის რეგულაციებს, რის შედეგადაც, სხვა სავარაუდო ხელის შემშლელ ფაქტორებთან ერთად, ის ატმოსფეროში გამოყოფდა სხვადასხვა ტოქსიკურ ნივთიერებას, რომელიც უარყოფით ზემოქმედებას ახდენდა მათ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე და არღვევდა კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებულ პირადი და ოჯახური ცხოვრების, ასევე ადეკვატური საცხოვრებლის უფლებას. **სასამართლოს გადაწყვეტილება:**

[59] ჯუღელი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, (საჩივარი № 38342/05)
2017 წლის 13 ივლისი

[60] ჯუღელი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ *(საჩივარი № 38342/05)*
2017 წლის 13 ივლისი

წინამდებარე საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ "კონვენციის მე-8 მუხლი - ადამიანის უფლება პირად ცხოვრებასა და ადეკვატურ საცხოვრებელზე", შესაძლოა, გამოიყენებოდეს გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე, როდესაც დაბინძურება გამოწვეულია უშუალოდ სახელმწიფოს მიერ ან სახელმწიფოს პასუხისმგებლობა წარმოიშობა კერძო საწარმოების სათანადოდ რეგულირების წარუმატებელი მცდელობით (*Hatton and Others v. UK*)[61].

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ საქმეში სადავო მდგომარეობა მოვლენათა უეცარი ცვლილების შედეგი არ ყოფილა, არამედ წარმოადგენდა დიდი ხნის განმავლობაში არსებული პრობლემით გამოწვეულ მდგომარეობას, რომელიც, უდავოდ, ცნობილი იყო შესაბამისი უწყებებისთვის[62] თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ელექტროსადგურს დაევალა შესაბამისი ფილტრებისა და გამწმენდი მოწყობილობების დამონტაჟება, რათა შემცირებულიყო ჰაერში გამოყოფილი ტოქსიკური ნივთიერებების ზემოქმედება კორპუსის მცხოვრებლებზე, აღნიშნული ინსტრუქციის მეთვალყურეობის მიზნით, კომპეტენტურ უწყებებს ზედამხედველობის არანაირი ეფექტიანი ზომა არ მიუღიათ[63] .

წინამდებარე საქმეში სასამართლომ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მითითება გააკეთა, რომ საქმესთან მიმართებაში "მთავარ სირთულეს წარმოადგენს ელექტროსადგურის საშიშ საქმიანობასთან მიმართებით მარეგულირებელი ჩარჩოს (კანონმდებლობის) ფაქტობრივი არარსებობა, როგორც პრივატიზაციამდე, ისე პრივატიზაციის შემდგომ პერიოდში და შედეგად მიღებული ჰაერის დაბინძურების საკითხის მოუგვარებლობა, რომელმაც უარყოფითად იმოქმედა მოსარჩელეთა ადეკვატური საცხოვრებელი პირობების უფლებაზე კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ კონტექსტში".

საშიშ საქმიანობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, მიიღოს შესაბამისი რეგულაციები საქმიანობების სპეციფიკური მახასიათებლებისა და, განსაკუთრებით, შესაძლო რისკების დონის გათვალისწინებით. ამ რეგულაციებით უნდა იმართებოდეს ლიცენზიების გაცემა, მოწყობა, ფუნქციონირება, უსაფრთხოება და საქმიანობის ზედამხედველობა და სავალდებულო უნდა იყოს ყველა შესაძლო სუბიექტისთვის, რათა პრაქტიკული ზომები იქნეს მიღებული, იმ პირთა ეფექტიანი დაცვისთვის, რომლებიც, შესაძლოა, დამახასიათებელი რისკების გამო იყვნენ საფრთხის ქვეშ (*Di Sarno and Others v. Italy*, no. 30765/08, § 106, 2012)"[64].

მიგვაჩნია, რომ ამ გადაწყვეტილებით ევროსასამართლომ გაიმეორა და დაადასტურა ის სტანდარტი, რომელიც აერთიანების, ზოგადად, ნებისმიერი ძირითადი უფლების მიმართ სახელმწიფოს ვალდებულებას, ესენია: უფლების პატივისცემა, უფლების დაცვა და უფლების უზრუნველყოფა.

[61] § 73
[62] პარაგრაფი 13
[63] § 14
[64] §75

საერთაშორისო სამართლით, კონკრეტულად, წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ხელმისაწვდომობის, როგორც, ადამიანის უფლების, სახელმძღვანელო პრინციპებია:

ა. სუფთა წყალზე, ჰიგიენასა და სანიტარიაზე უფლების აღიარება და პატივისცემა; ბ. უფლების დაცვის უზრუნველყოფა; გ. დისკრიმინაციის დაუშვებლობა და თანასწორობა; დ. ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა და გამჭვირვალობა; ე. მონაწილეობა; ვ. ანგარიშგების ვალდებულება; ზ. განგრძობადობა.

პატივისცემის ვალდებულება გულისხმობს, რომ სახელმწიფომ თავი შეიკავოს როგორც პირდაპირი, ისე ირიბი ჩარევისგან წყალზე უფლების განხორციელების პროცესში.
მაგ., თავი უნდა შეიკავოს:

- წყლის რესურსების დაბინძურებისაგან
- წყლის თვითნებური და უკანონო შეწყვეტისაგან;
- ღარიბი რაოდენობისათვის წყლის მიწოდების შეფერხებისაგან, რომ შესაბამისად დააკმაყოფილოს წყალზე მოთხოვნა მდიდარ რაიონებში;
- შეიარაღებული კონფლიქტის დროს წყლის მიწოდების სისტემის დანგრევისაგან;
- ძირძველი მოსახლეობის სასმელი წყლის წყაროს რესურსის ამოწურვისაგან და ა.შ.

დაცვის ვალდებულება მოითხოვს სახელმწიფოსაგან, წინ აღუდგეს მესამე მხარის ჩარევას წყალზე უფლების განხორციელების პროცესში.

სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს შესაბამისი კანონები, ან გაატაროს ღონისძიებები, რათა კერძო სუბიექტებს, მეწარმეებს, წყალმომარაგების კომპანიებსა და კერძო პირებს მიაწოდოს წყლის უფლებასთან დაკავშირებული კონკრეტული სტანდარტები, რათა

- მესამე პირებმა თვითნებურად და უკანონოდ არ შეწყვიტონ წყალი;
- სოფელი, თემი დაცული იყოს წყლის რესურსების მოპოვებასთან დაკავშირებული მოქმედებების დროს, რომ არ გაუარესდეს მათ მიერ გამოყენებული სასმელი წყლის ხარისხი;
- ქალებისა და ბავშვების უსაფრთხოება იყოს დაცული, როდესაც ისინი სახლებიდან მოშორებით მიდიან წყლის ასავსებად;
- ბინათმფლობელობასთან დაკავშირებული კანონი და პრაქტიკა ხელს არ უშლიდნენ ცალკეულ პირებსა და თემებს უსაფრთხო წყლის მიღებაში;
- მესამე მხარე, რომელიც აკონტროლებს ან ექსპლუატაციას უწევს წყალთან დაკავშირებულ სერვისებს, საფრთხის ქვეშ არ აყენებდეს თანასწორი, ეკონომიკურად და ფიზიკურად ხელმისაწვდომი საკმარისი რაოდენობის სასმელი წყლის მიღებას.

განხორციელების ვალდებულება მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა გაატარონ საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, საბიუჯეტო და სხვა ტიპის ღონისძიებები წყალსა

და სანიტარიაზე ადამიანის უფლების სრულად განსახორციელებლად.

- კანონმდებლობა და პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს პირადი და საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების პრიორიტეტულად დაკმაყოფილებაზე;
- უნდა განსაზღვრავდეს მიზნებს, რომლებიც ორიენტირებული იქნება მოსახლეობის ღარიბ მარგინალურ ჯგუფებზე;
- უნდა განსაზღვრავდეს არსებულ რესურსებს, რომლებიც აუცილებელია მიზნის მისაღწევად;
- გამოთვლილი უნდა იყოს არსებული რესურსების გამოყენების ყველაზე რენტაბელური შესაძლებლობები;
- უნდა ადგენდეს პასუხისმგებლობებსა და დროებით ჩარჩოებს აუცილებელი ღონისძიებების განსახორციელებლად;
- უნდა ითვალისწინებდეს შედეგებზე კონტროლსა და მონიტორინგს, ხოლო დარღვევების შემთხვევებში – კომპენსაციის გასაცემად საკმარისი საშუალებების გამოძებნას.

სახელმწიფო უნდა ფლობდეს წყლის გამოყენებასა და სანიტარიასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, ასევე წყლის სათავე ნაგებობების დაცვისა და ნარჩენების მინიმიზაციის შესახებ.

სახელმწიფოს ვალდებულებაა, კერძო სექტორს (წყალმომარაგების კომპანიებს):

- დაუდგინოს სტანდარტი;
- ხელშეკრულება იყოს ნათელი და გამჭვირვალე;
- გათვალისწინებული იყოს წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე უფლების სტანდარტი;
- ჰქონდეს კონტროლის ბერკეტი და ახორციელებდეს მუდმივ მონიტორინგს.

ადგილობრივი ხელისუფლების ვალდებულებები

უსაფრთხო სასმელ წყალსა და სანიტარიაზე პასუხისმგებლობა ხშირად სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეკისრებათ.

წყალზე უფლებიდან გამომდინარე უფლების დაცვის ვალდებულებები პირდაპირ ვრცელდება ადგილობრივ ხელისუფლებაზეც.

იმავდროულად, უფლების დაცვის მთავარი ვალდებულება მაინც ცენტრალურ ხელისუფლებას ეკისრება, ვინაიდან ის არის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მაკოორდინირებელი და მაკონტროლებელი.

ცენტრალურმა ხელისუფლებამ უნდა შეიმუშაოს გამართული სამართლებრივი ჩარჩო, ხელისუფლების ორგანოების უფლებები და ვალდებულებები უნდა განაწილდეს თანაბრად და ჯეროვნად, მათ შორის არსებობდეს ადეკვატური კომუნიკაცია, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ჰქონდეთ ნათელი რეგულაციები და საკმარისი სახსრები წყალმომარაგების სისტემის ექსპლუატაციისა და

განვითარებისათვის[65].

პროცედურული გარანტიები

- ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლებთან, ისევე, როგორც კერძო კომპანიებთან, რეალური კონსულტაციების შესაძლებლობა;
- ინფორმაციის დროული და სრული გასაჯაროება შეთავაზებული ღონისძიებების შესახებ;
- დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ დროული გაფრთხილება;
- სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა და დაცვის საშუალებები;
- სამართლებრივი დაცვის საშუალებების მიღებაში იურიდიული დახმარება;
- გარდა ამისა, არ უნდა იქნას შეზღუდული სასმელი წყლის მინიმალური რაოდენობა. სრული შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, როდესაც არსებობს ალტერნატიული მიწოდების შესაძლებლობა;
- სოციალურად დაუცველებისთვის შეღავათების დაწესება - უნდა გაიმიჯნოს გადაუხდელობის განზრახვა და გადახდისუუნარობა.

წყლის უფლების დაცვა წყლის დეფიციტისა და წყლის ნაკლებობის დროს უნდა ხდებოდეს სწორად დაგეგმილი პოლიტიკითა და გათვლილი რესურსით.

წყლის უფლებაზე მონიტორინგი და სახელმწიფოს ანგარიშვალდებულება

სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს სტრატეგიული, პოლიტიკური, ადმინისტრაციული და სასამართლო მექანიზმები.

ანგარიშვალდებულების პრინციპიდან გამომდინარე, სახელმწიფო ვალდებულია, ახსნას, რას და რატომ აკეთებს და როგორ ახორციელებს წყალსა და სანიტარიაზე ადამიანის უფლებას. კანონმდებლობა უნდა ითვალიწინებდეს ინფორმაციის დროულად მიწოდების შესაძლებლობას. ადამიანის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქის ჩართულობა კანონით უნდა იყოს გარანტირებული, განსაკუთრებით – პრიორიტეტების დასახვისა და ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესებში.

პოლიტიკის დოკუმენტების მიღებაში - სამოქმედო გეგმებისა და სტრატეგიების შემუშავებისა და ბიუჯეტის შედგენისას დაინტერესებული მხარეების ჩართულობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ხელისუფლების ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად.

ადმინისტრაციული მექანიზმი გულისხმობს ადმინისტრაციული სარჩელის წარდგენის შესაძლებლობას; ადმინისტრაციული და პოლიტიკური მექანიზმები ავსებენ სასამართლოს უფლებას. სამართლებრივი დაცვის მექანიზმი უზრუნველყოფს სამართლიანი სასამართლოს უფლების ეფექტიან რეალიზაციას. სასამართლო უნდა

[65] გაერო–ს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მე-15 კომენატრი ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ.

იყოს დამოუკიდებელი, მოსამართლე – შესაბამისი ცოდნით აღჭურვილი წყალზე, სანიატარიასა და ჰიგიენაზე ადამიანის უფლების არსისა და მისგან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებების შესახებ. მან უნდა იმსჯელოს და დაადგინოს სახელმწიფოს უფლებამოსილების საზღვრებზე, ვინაიდან სახელმწიფო პასუხისმგებელია უფლების დარღვევაზე მაშინაც კი, თუ კონკრეტული მოქალაქის უფლება დაარღვია წყალმომარაგების კერძო კომპანიამ, მით უფრო, თუ მასთან გაფორმებული ხელშეკრულება არ ითვალისწინებს უფლების დაცვის გარანტიებს.

საუკეთესო პრაქტიკა[66]: დაბალი სოციალური ფენით დასახლებული რაიონი არ იყო მიერთებული წყალმომარაგების სახელმწიფო სისტემას, ის მარაგდებოდა არტეზიული ჭების წყლით, რომლებიც დაბინძურებული იყო ფეკალიებითა და სხვა ნაგვით. გარდა ამისა, ახლოს, მდინარის დინების მიმართულებით, აშენებული იყო წყალგამწმენდი მოწყობილობა, რომელიც არასაკმარისი სიმძლავრის გამო არტეზიულ წყლებში ყოველდღიურად უშვებდა კანალიზაციის წყალს.

სასამართლოს გადაწყვეტილება: სასამართლომ დაავალა მუნიციპალიტეტს, მიეღო სასწრაფო ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად მანამ, სანამ არ იქნებოდა ცენტრალურ დონეზე მიღებული გადაწყვეტილება გრძელვადიან პერსპექტივაში. სასამართლომ ასევე დაავალა ადგილობრივ ორგანოს, გამოეყო თითოეულ მოსახლეზე დღე–ღამეში 200 ლიტრი სუფთა წყალი მანამ, სანამ მოსახლეობისათვის განკუთვნილი წყალმომარაგების სისტემა არ გახდებოდა სახელმწიფო წყალმომარაგების სისტემის ნაწილი.

მდგრადობა არის წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ადამიანის უფლების განხორციელების ერთ - ერთი ძირითადი პრინციპი, რომლის დაცვის ვალდებულება აქვს სახელმწიფოს თითოეული ადამიანის უფლების საუკეთესოდ გარანტირებისათვის: როდესაც სერვისი და/ან აღჭურვილობა მიწოდებულია და გამართულად ფუნქციონირებს, საფუძველშივე უნდა იყოს ჩადებული შესაბამისი გათვლა, რომ დროთა განმავლობაში გაუმჯობესდეს და არ გაუარესდეს. სახელმწიფოს ვალდებულებაა, საკუთარი ბიუჯეტი და სახსრები იმგვარად გაანაწილოს და გათვალოს, რომ თანხა არ დახარჯოს პრობლემის მოგვარების მხოლოდ ერთჯერად და დროებით საშუალებებზე, არამედ შესრულებული სამუშაო განხილულ უნდა იქნეს, როგორც მუდმივად განვითარებადი და გაუმჯობესებადი. წყლისა და სანიტარიის მიწოდება მოქალაქეებისათვის უნდა ემსახურებოდეს ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით მდგრადობას. მნიშვნელოვანია, რომ განხორციელებული ინვესტიცია საკმარისი იყოს არსებულის გასაუმჯობესებლად და შესაძლებელი იყოს მისი ხანგრძლივ პერსპექტივაში ექსპლუატაცია.

[66] არგენტინის სასამართლოს გადაწყვეტილება; Fact Sheet No. 35, The Right to Water; http://www.refworld.org/publisher/OHCHR.html 2010

ნაწილი II: წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ხელმისაწვდომობის კონტექსტში საქართველოს სამართლებრივი სივრცის მიმოხილვა

1 ინსტიტუციური ჩარჩო და ძირითადი დაინტერესებული მხარეები

ამ ნაწილში მიმოვიხილავთ წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ხელმისაწვდომობის უფლების აღიარებაზე, დაცვასა და უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ინსტიტუტების კომპეტენციების ჩარჩოს.

დასაწყისშივე გვინდა, განვმარტოთ, რომ ინსტიტუციური ჩარჩო წყლის სფეროში ძალიან ფართოა და მრავალ განსხვავებულ მიმართულებას აერთიანებს. ამ ნაწილში ჩვენი კვლევის ინტერესია, გავაანალიზოთ ქვეყანაში არსებული ინსტიტუტები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან წყლის დაცვასა და უზრუნველყოფაზე. გამომდინარე იქიდან, რომ წინამდებარე კვლევის სამიზნე ჯგუფები არიან სკოლები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, ამბულატორიები და თავშესაფრები, ანალიზისას დავკონკრეტდებით სწორედ წყლის დაცვასა და ხარისხის კონტროლზე პასუხისმგებელ უწყებებზე, მათ შორის განაწილებულ კომპეტენციებზე, რათა წარმოვაჩინოთ, რამდენად არიან ისინი საკმარისი უფლება-მოვალეობებით აღჭურვილნი და რამდენად კოორდინირებულია მათი საქმიანობა საბოლოო შედეგის - უსაფრთხო წყალზე ხელმისაწვდომობის – თვალსაზრისით.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო უზრუნველყოფს: წყლის რესურსების სახელმწიფო მართვის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას მდგრადი განვითარებისა და წყლის რესურსების მართვის აუზური პრინციპების გამოყენებით; წყლის ობიექტების დაცვას ისეთი უარყოფითი ზემოქმედებისაგან, რომელმაც შეიძლება, ზიანი მიაყენოს მოსახლეობის ჯანმრთელობას, გააუარესოს წყალმომარაგების პირობები და გამოიწვიოს მისი ხარისხობრივი ცვლილებები; განსაკუთრებულ შემთხვევებში წყლით სარგებლობის შეზღუდვის, შეჩერების ან აკრძალვის ღონისძიებების დაგეგმვასა და გატარებას; სასმელი წყლის უვნებლობის პარამეტრებისა და ხარისხის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის კონტროლსა და სასმელი წყლის გარე, შერჩევით ლაბორატორიულ კონტროლს.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ადგენს სასმელი და საყოფაცხოვრებო დანიშნულების წყლის სტანდარტებსა და ნორმებს, ხოლო სასმელი წყლის ხარისხის კონტროლი გარემოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს კომპეტენციაში შედის[67].

[67]სურსათის უბნებლობისა და ხარისხის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 3 https://matsne.gov.ge/ka/document/view/25426; სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ საქართველოს კანონი რ) სახელმწიფო კონტროლი – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო შპს „საქართველოს მელიორაცია“ პასუხისმგებელია სარწყავი და სადრენაჟო სისტემების მართვაზე, ასევე – სისტემების მომხმარებლებისაგან შესაბამისი გადასახადის შეგროვებაზე საკუთარი რეგიონული ოფისების საშუალებით.

წყლის რესურსების დარგში ერთ-ერთ დაინტერესებულ მხარეს ენერგეტიკის სამინისტრო წარმოადგენს[68].

პასუხისმგებელია რა ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე, სამინისტრო ამზადებს ენერგეტიკის დარგის განვითარების მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პროგრამებს (მათ შორის – ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობასთან დაკავშირებით) და კოორდინაციას უწევს მათ განხორციელებას.

წყლის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად[69], წყალთან დაკავშირებული ურთიერთობის მოწესრიგების სფეროში საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენციას განეკუთვნება წყლის დაცვისა და გამოყენების პოლიტიკის განსაზღვრა, ასევე წყლის დაცვისა და გამოყენების კონტროლის სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოების ჩამოყალიბება, შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციების მიღება და ა.შ.[70]
წყალთან დაკავშირებული ურთიერთობების მოწესრიგების სფეროში თვითმმართველი

სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) მიერ განხორციელებული ქმედება სურსათის ან ცხოველის საკვების ამ კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის ან გამოვლენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის უზრუნველყოფის მიზნით.

[68] მნიშვნელოვან დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენენ ისეთი კერძო კომპანიები, რომლებიც საკუთარ საქმიანობაში წყლის რესურსებს იყენებენ, მაგ., ჰიდროელექტროსადგურები, თევზსაშენი მეურნეობები, სამრეწველო ობიექტები, და სხვ.

[69] საქართველოს კანონი წყლის შესახებ, www.matsne.gov.ge
თავი II. კომპეტენციის გამიჯვნა წყალთან დაკავშირებული ურთიერთობის მოწესრიგების სფეროში; მუხლი 10. საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენცია წყალთან დაკავშირებული ურთიერთობის მოწესრიგების სფეროში.

[70] ა) სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა წყლის დაცვისა და გამოყენების სფეროში;
ბ) წყლის დაცვასა და გამოყენებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტების მიღება და მათი შესრულების კონტროლი;
გ) წყლის დაცვისა და გამოყენების რეგულირებისა და კონტროლის სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების ჩამოყალიბება;
ე) დაბინძურებისათვის, დანაგვიანებისათვის, დაშრეტისათვის და სხვა უარყოფითი ზეგავლენის მქონე ქმედებისათვის ჯარიმისა და მიყენებული ზიანის ოდენობის განსაზღვრის წესის დადგენა;
ვ) წყლის დაცვისა და გამოყენების ერთიანი სახელმწიფო კონტროლი საქართველოს სახმელეთო ტერიტორიაზე, ტერიტორიულ წყლებში, კონტინენტურ შელფზე და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში;
ზ) წყლის დაცვის ორგანიზება და მისი გამოყენების სახელმწიფო რეგულირება;
ი) ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობის კოორდინირება წყლის დაცვისა და გამოყენების სფეროში;
კ) წყალსარგებლობის შეზღუდვა ან აკრძალვა წყლის ცალკეულ ობიექტებზე, მათ შორის – ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის ზონაში;
მ) წყლის მდგომარეობაზე დაკვირვებისა და ანალიზის (მონიტორინგის) სისტემა და სხვა.

ერთეულების კომპეტენციას განეკუთვნება თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის რაციონალური გამოყენებისა და დაცვის ღონისძიებების ზედამხედველობა.[71]

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის[72] მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებებია[73] ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების, მათ შორის, წყლის მართვა კანონით დადგენილი წესით.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ[74] საქართველოს კანონით იძულებით ადგილნაცვალ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო განსაზღვრავს ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო წყლის ხარისხობრივ ნორმებსა და ტექნიკურ რეგლამენტებს.

ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით[75] ყველას აქვს სრული ზოგადი განათლების მიღების თანაბარი უფლება, რათა სრულად განავითაროს საკუთარი პიროვნება და შეიძინოს ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია კერძო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობებისათვის. დაწყებითი და საბაზო განათლების მიღება სავალდებულოა. ზოგადი განათლების მიღების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ქმნის ზოგადი განათლების სისტემასა და სათანადო სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს.[76]

სახელმწიფო უზრუნველყოფს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მატერიალურ-ტექნიკური, პროგრამული და ადამიანური რესურსების ნორმატივების დადგენას; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო გაზრდილი ვაუჩერის ოდენობითა და დამატებითი დაფინანსებით უნდა უზრუნველყოფდეს: გ) საჯარო სკოლის

---

[71] ა) სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა წყლის დაცვისა და გამოყენების სფეროში;
ბ) წყლის დაცვასა და გამოყენებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტების მიღება და მათი შესრულების კონტროლი;
გ) წყლის დაცვისა და გამოყენების რეგულირებისა და კონტროლის სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების ჩამოყალიბება;
ე) დაბინძურებისათვის, დანაგვიანებისათვის, დაშრეტისათვის და სხვა უარყოფითი ზეგავლენის მქონე ქმედებისათვის ჯარიმისა და მიყენებული ზიანის ოდენობის განსაზღვრის წესის დადგენა;
ვ) წყლის დაცვისა და გამოყენების ერთიანი სახელმწიფო კონტროლი საქართველოს სახმელეთო ტერიტორიაზე, ტერიტორიულ წყლებში, კონტინენტურ შელფზე და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში;
ზ) წყლის დაცვის ორგანიზება და მისი გამოყენების სახელმწიფო რეგულირება;
ი) ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობის კოორდინირება წყლის დაცვისა და გამოყენების სფეროში;
კ) წყალსარგებლობის შეზღუდვა ან აკრძალვა წყლის ცალკეულ ობიექტებზე, მათ შორის – ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის ზონაში;
მ) წყლის მდგომარეობაზე დაკვირვებისა და ანალიზის (მონიტორინგის) სისტემა და სხვ.
[72] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429
[73] მუხლი 16
[74] https://matsne.gov.ge/ka/document/view/21784
[75] https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248
[76] მუხლი 9

მატერიალურ-ტექნიკური, პროგრამული და ადამიანური რესურსების გაუმჯობესებას; ე) საჯარო სკოლაში ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნას[77].

სკოლის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებენ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სახელმწიფო კონტროლის სხვა ორგანოები, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროები – საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის – ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში[78].

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ საქართველოს კანონის[79] შესაბამისად, საქართველოს მთავრობა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თანაბარი, ხარისხიანი და ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპზე დაფუძნებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მისაწოდებლად ახორციელებს შემდეგ უფლებამოსილებებს და ასრულებს შემდეგ ვალდებულებებს[80]:
ე) დაწესებულებაში სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესების დასადგენად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს ტექნიკურ რეგლამენტს;
ვ) დაწესებულებაში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების დასადგენად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს ტექნიკურ რეგლამენტს;
ზ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს ტექნიკურ რეგლამენტს დაწესებულების შენობა-ნაგებობის, ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და შენობა-ნაგებობის მოწყობის შესახებ;
თ) ხელს უწყობს დაწესებულების ინფრასტრუქტურულ განვითარებას.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო დაწესებულებაში სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესების დასადგენად შეიმუშავებს ტექნიკურ რეგლამენტს და მას დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს მთავრობას[81].

---

[77] მუხლი 30. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს უფლებამოსილება ზოგადი განათლების სფეროში 1. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო: ა) ხელს უწყობს სკოლას ამ კანონით გათვალისწინებული საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებაში და ამ მიზნით იღებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზომებს, ადგენს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოსაყოფი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესასრულებლად საჭირო დამატებითი ფინანსური სახსრების ოდენობას;ლ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის – ამ კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.
[78] მუხლი 49
[79] https://matsne.gov.ge/ka/document/view/3310237
[80] თავი II. სახელმწიფო ორგანოებისა და მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებები/ვალდებულებები ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში; მუხლი 7. საქართველოს მთავრობის უფლებამოსილებები/ვალდებულებები ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში.
[81] მუხლი 9 - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უფლებამოსილებები/ვალდებულებები ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში.

მუნიციპალიტეტები[82] უზრუნველყოფენ დაწესებულებების შიდა მონიტორინგის, შეფასებისა და ანგარიშგების სისტემის ფუნქციონირებას;
ზ) მუნიციპალიტეტების მიერ შემუშავებული დაწესებულებების მონიტორინგის სისტემის შესაბამისად სისტემატურად ხორციელდება დაწესებულებათა მონიტორინგი, რომლის მიზანია ავტორიზაციის პირობების ავტორიზაციის წესის შესაბამისად შესრულების შემოწმება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სურსათის ეროვნული სააგენტო – ამოწმებს დაწესებულებაში სურსათის უვნებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით[83].

დაწესებულების მუნიციპალურ კონტროლს ახორციელებს მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული ან/და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ამ კანონითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესით, აკონტროლებს დაწესებულების მიერ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდებას[84].

საქართველოს მუნიციპალიტეტებში ფუნქციონირებენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები - საგანმანათლებლო რესურსცენტრები, ასევე ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივი სამსახურები,

---

[82] მუხლი 10 - მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებები/ვალდებულებები სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში.

[83] მუხლი 11 - საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს – უფლებამოსილება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში.

[84] მუხლი 15 - **დაწესებულების ავტორიზაციის პირობები**
1. ავტორიზაციის მაძიებელი იურიდიული პირი/ავტორიზებული დაწესებულება აკმაყოფილებს ავტორიზაციის პირობებს, თუ:
ა) დაწესებულებაში სწავლა/სწავლება ხორციელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების, მათ შორის, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის, შესაბამისად;
ბ) დაწესებულების შენობა-ნაგებობა, ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და შენობა-ნაგებობის მოწყობა შეესაბამება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ შესაბამის ტექნიკურ რეგლამენტს;
გ) დაწესებულებაში სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები შეესაბამება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ შესაბამის ტექნიკურ რეგლამენტს;
დ) დაწესებულებაში კვების ორგანიზება და რაციონის კვებითი ღირებულება შეესაბამება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ შესაბამის ტექნიკურ რეგლამენტს;
მუხლი 26. დაწესებულების მუნიციპალური კონტროლი
1. მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული ან/და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ამ კანონითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესით აკონტროლებს დაწესებულების მიერ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდებას.

რომლებიც ადგილობრივ დონეზე შესაბამისი სამინისტროების პოლიტიკას ახორციელებენ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების – რესურსცენტრების ტიპური დებულების[85] მიხედვით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანო – საგანმანათლებლო რესურსცენტრი მის კომპეტენციას მიკუთვნებული ამოცანების გადაწყვეტისა და განხორციელებისას წარმოადგენს სამინისტროს.

საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში რესურსცენტრი:

ა) ახორციელებს თავის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში (შემდგომში – საჯარო სკოლა) მიმდინარე პროცესების ზედამხედველობასა და თავის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების მხარდაჭერასა და კონსულტირებას;
ბ) უზრუნველყოფს თავის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლებში სასწავლო პროცესისა და გარემოს მონიტორინგს, შეფასებასა და შესაბამისი ანგარიშების შედგენას, ასევე, შედგენილი ანგარიშების საფუძველზე სასწავლო პროცესისა და გარემოს გაუმჯობესებისათვის რეკომენდაციების შემუშავებასა და შესაბამისი საჯარო სკოლისა და სამინისტროსათვის წარდგენას;
გ) თავის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლებში მონიტორინგს უწევს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის (შემდეგში – მინისტრი) მიერ დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად სასწავლო პროცესის წარმართვას, ხელშემწყობი სასწავლო გარემოს უზრუნველყოფით, და საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი და სხვა პროგრამებისა და პროექტების განხორციელებას;
მ) ახორციელებს თავის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების შესახებ მონაცემთა შეგროვება-დამუშავებას და უფლებამოსილია, აღნიშნული მონაცემების სისწორე გადაამოწმოს შესაბამის დაწესებულებაში ადგილზე დათვალიერებით/შესწავლით.

რესურსცენტრის დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რესურსცენტრი ანგარიშვალდებულია სამინისტროს წინაშე გამოყოფილი სახსრების მიზნობრივად გამოყენებაზე.

რესურსცენტრი თავისი უფლებამოსილებისა და სამინისტროს მიერ დასმული ამოცანების გადაწყვეტისა და განხორციელებისას ანგარიშვალდებულია სამინისტროს

[85] დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 14 მარტის N 47ნ ბრძანებით. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3606347

წინაშე. რესურსცენტრის საქმიანობაზე მუდმივ კონტროლს ახორციელებს სამინისტრო.

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ[86] საქართველოს კანონის მიხედვით, საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებათა განხორციელებისათვის „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად იქმნება ქალაქებისა და რაიონების საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სამსახურები, რომელთა მეთოდურ ხელმძღვანელობას ახორციელებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო[87].

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სამსახურების კომპეტენციას განეკუთვნება:
ა) ინფექციურ და არაინფექციურ დაავადებათა აღრიცხვისა და შეტყობინების სისტემის ჩამოყალიბება, მიღებული მონაცემების ანალიზი და პროგნოზირება;
ბ) ეპიდზედამხედველობა და ეპიდკონტროლი დაავადებათა მიზეზების, მათი გადაცემის გზებისა და რისკფაქტორების გამოვლენისა და შესწავლის მიზნით;
გ) ჯანმრთელობის დაცვის სამსახურებისა და მოსახლეობისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდება და რეკომენდაციების მომზადება ინფექციურ დაავადებათა აღმოცენების მიზეზების, გავრცელებისა და კონტროლის შესახებ;
ზ) ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისათვის ხელშეწყობა;
თ) ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფისათვის ხელშეწყობა.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული რეკომენდაციის (გაიდლაინი) [88] მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა.[89]

---

[86] https://matsne.gov.ge/ka/document/view/14170
[87] მუხლი 85 2.

[88] დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 20 ივლისის No01-163/ო ბრძანებით
http://www.moh.gov.ge/uploads/files/oldMoh/01_GEO/jann_sistema/higienuri-Norm/metod-rekomend/6.pdf

[89] ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის – საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დავის კონტროლი.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სტრატეგიული ფუნქციებია: გადამდებ/არაგადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება. ჯანმრთელობის რისკფაქტორების მონიტორინგი და მყისიერი რეაგირება საგანგებო სიტუაციების დროს, კოორდინაცია ცენტრალურ სტრუქტურებთან. ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობა. საკვებისა და სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტებისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტების მომზადებაში მონაწილეობა და მუნიციპალური მმართველობის ორგანოების ინფორმირება სავარაუდო საკვებისმიერი და წყლისმიერი ინფექციების გავრცელების მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ.

2 პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზი

კვლევის ამ ნაწილში განვიხილავთ, თუ რამდენადაა ასახული წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის უფლება, როგორც ადამიანის ძირითადი უფლება, სახელმწიფოს სტრატეგიულ დოკუმენტებში, როგორებიცაა:

1. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია (2020 წ.);
2. 2018 – 2021 წლების საქართველოს განვითარების რეგიონული პროგრამა;
3. საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა (2017-2021 წწ.);
4. 2014-2020 წლების საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სახელმწიფო კონცეფცია „საყოველთაო ჯანდაცვა და ხარისხის მართვა პაციენტთა უფლებების დასაცავად";
5. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია (2017-2021 წწ);
6. საქართველოს მთავრობის 2018-2020 წლების სამთავრობო პროგრამა "თავისუფლება, სწრაფი გნვითარება, კეთილდღეობა";
7. ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია (2014-2020 წწ).

თითოეულ მათგანში განცხადებულია სახელმწიფოს ნება მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების შესახებ ხარისხიანი სასმელი წყლის უწყვეტი მიწოდებითა და ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებით. თუმცა არცერთ მათგანში არ არის აღიარებული წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ადამიანის უფლება პირდაპირ.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია აცხადებს, რომ საქართველოს მთავრობის მიზანია იმგვარი ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის მდგრად განვითარებას[90].

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020[91]-ის მიხედვით, პრიორიტეტია წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების განვითარება და

[90] სახელმწიფო წაახალისებს გარემოსდაცვითი თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას და „მწვანე" ეკონომიკის განვითარებას. ინოვაციური და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების მიზნით, მთავრობა წაახალისებს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, რომლებიც ორიენტირებული იქნება ახალი ტექნოლოგიების შემოღებაზე - განსაკუთრებით ეს შეეხება, გარემოსდაცვით და რესურსდამზოგავ ტექნოლოგიებს, რაც წაახალისებს „მწვანე" ეკონომიკის განვითარებას.

[91] დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 ივნისის N400 დადგენილებით.

ნარჩენების მართვა. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს წყალმომარაგებისა და წყალარინების სტრატეგიულ მიზნებს, კერძოდ, მოსახლეობისათვის მაღალხარისხიანი სასმელი წყლის უწყვეტი, 24-საათიანი, რეჟიმით მიწოდების, წყალმომარაგებისა და წყალარინების არსებული სისტემების მოწესრიგებისა და სრულყოფილი ფუნქციონირების უზრუნველყოფას[92].

2018–2021[93] წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამაში[94] აღნიშნულია, რომ გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების თვალსაზრისით[95], თუმცა მთავარ მიზნად განსაზღვრულია:

"მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება ხარისხიანი სასმელი წყლის უწყვეტი მიწოდებისა და ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებით".

დოკუმენტში მითითებულია, რომ "ღონისძიება განხორციელდება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, თბილისისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარდა", მისი ბიუჯეტი იქნება 841 მილიონი ლარი, ხოლო შედეგად მოხდება წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელის მოდერნიზაცია და განვითარება, მათ შორის – გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა/რეაბილიტაცია".

განმახორციელებელ ორგანოებად და პარტნიორებად მითითებულია შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია", სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი და მუნიციპალიტეტები.

---

[92] წყალმომარაგების, წყალარინებისა და სანიტარიის საკითხები განხილული იყო სტრატეგიული დანიშნულების დოკუმენტში, როგორიცაა, მაგალითად, „2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა". აღნიშნული პროგრამის თანახმად, სოფლად კომუნალური მომსახურების უზრუნველყოფა, მათ შორის, წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების შექმნა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების სიმცირის პრობლემის გადაჭრა, მომავალი წლების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. დოკუმენტში განსაზღვრულია კონკრეტული ტერიტორიები, სადაც დაგეგმილია საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია და წარმოდგენილია შესაბამისი სამუშაოების ბიუჯეტი.

[93] დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის #1292, 2018 წლის 11 ივნისის დადგენილებით.

[94] VII.1.6. ღონისძიება 1.6. წყალმომარაგების, წყალარინებისა და ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურის განვითარება.

[95] მოსახლეობის მზარდი მოთხოვნისა და ტურისტების გაზრდილი რაოდენობიდან გამომდინარე, საქართველოს ბევრ რეგიონში წყალმომარაგებაზე დიდი მოთხოვნა შეინიშნება, განსაკუთრებით კი კახეთის, იმერეთის, მცხეთა- მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და გურიის რეგიონებში. შავი ზღვის გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით, რომელსაც ამ რეგიონის უმეტესი ქალაქები წყალარინების სისტემებით უკავშირდება, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა დაფინანსდა. წყალარინების სისტემების ძირითადი მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები მოიცავს: წყალმომარაგების ახალ ინფრასტრუქტურას ქალაქ ქუთაისში, ქალაქ ჭიათურაში, ქალაქ ზუგდიდში, ქალაქ ფოთში, ქალაქ აბაშაში, ქალაქ ჯვარსა და დაბა ურეკში, ასევე, სანიტარიულ ინფრასტრუქტურას – ქალაქ ფოთში, ქალაქ ზუგდიდსა და დაბა ურეკში. გარდა ამისა, სოფელ ანაკლიასა და დაბა ურეკში უკვე მიმდინარეობს, ხოლო ქ. ქუთაისში, ქალაქ ზუგდიდში, ქალაქ ფოთში, დაბა გუდაურში, ქალაქ ჭიათურაში, ქალაქ მარნეულსა და დაბა მესტიაში დაგეგმილია ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა.

წყლის რესურსების სფეროში, მიწისქვეშა წყლებისა და შავი ზღვის ჩათვლით, კონკრეტულ მიზნებს, ამოცანებსა და ღონისძიებებს ითვალისწინებს აგრეთვე „საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა (2017-2021 წწ.)“. პროგრამის ერთ-ერთი მიზანია “ადამიანის ჯანმრთელობისა და წყლის ეკოსისტემებისათვის ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის ობიექტების, აგრეთვე სანაპირო წყლების მდგომარეობის კარგი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების უზრუნველყოფა”.[96]

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის 2014-2020 წლების სახელმწიფო კონცეფცია „საყოველთაო ჯანდაცვა და ხარისხის მართვა პაციენტთა უფლებების დასაცავად“[97]

2020 წლამდე სამინისტრო მიზნად ისახავს უწყებათაშორისი კოორდინაციის ეფექტიანი მექანიზმებისა და ორმხრივი/მრავალმხრივი სამოქმედო გეგმების შემუშავებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, საქართველოს სოფლის მეურნეობის, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის, საქართველოს თავდაცვის, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვისა და სხვა სამინისტროების აქტიური ჩართულობით მთელ რიგ საკითხებთან მიმართებაში, რომელთა შორისაა წყლისა და საკვების უსაფრთხოება[98].

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია – 2017-2021[99]

სტრატეგიული ამოცანა 3. საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესება

გაძლიერდება ინკლუზიური, უსაფრთხო, თანასწორი, არაძალადობრივი, მაღალი კულტურის მქონე, ჯანსაღი, მამოტივირებელი, გარემოს უზრუნველყოფაზე მიმართული ღონისძიებები ყველა მოსწავლისა და მასწავლებლისათვის.

შეიქმნება შესაბამისი პირობები ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისათვის, მათ შორის – სპორტული აქტივობებით, გაუმჯობესებული სამედიცინო მომსახურებით, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების გაუმჯობესებითა და უსაფრთხო და ჯანსაღი საკვების უზრუნველყოფით.

---

[96] ამოცანები: ამოცანა 1: წყლის რესურსების მართვის ეფექტიანი სისტემის დანერგვა, ამოცანა 2: წერტილოვანი და დიფუზიური წყაროებიდან წყლის რესურსების დაბინძურების შემცირება და წყლის რესურსების მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა, ამოცანა 3: წყლის რესურსების ხარისხისა და რაოდენობის მონიტორინგისა და შეფასების სისტემების სრულყოფა.

[97] დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის N724 დადგენილებით.

[98] ჯანმრთელობა ყველა პოლიტიკაში - საერთო სახელმწიფოებრივი მულტისექტორული მიდგომა - 2010 წლის ადელაიდას შეთანხმება „ჯანმრთელობა ყველა პოლიტიკაში“ და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევრობიუროს სტრატეგია „ჯანმრთელობა 2020“ ხაზს უსვამს ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის მიღწევისათვის სექტორთაშორისი მიდგომების აუცილებლობასა და მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებით მიღებული სარგებლის სხვა სექტორების მიზნებისათვის გამოყენებას.

[99] დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2017 წლის 7 დეკემბრის N 533 დადგენილებით.

საქართველოს მთავრობის 2018-2020 წლების სამთავრობო პროგრამის – "თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა"[100] – მიხედვით, ადამიანი აღიარებულია მთავარ ღირებულებად: "ყველა ძალისხმევა თუ ინიციატივა ორიენტირებული იქნება თითოეულ ადამიანზე, მისი თავისუფლებისა და ღირსების დაცვაზე, მისთვის საკუთარ ქვეყანაში კეთილდღეობისა და თვითრეალიზაციის ფართო შესაძლებლობების მიცემაზე".

საქართველოს მთავარობა მის ერთ-ერთ პრიორიტეტად აცხადებს "ხარისხიანი სასმელი წყლის 24-საათიანი მიწოდების რეჟიმით მოსახლეობის უზრუნველყოფას, "ამ მიზნის მიღწევა ეტაპობრივად განხორციელდება მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში. 2020 წლისთვის 24-საათიანი წყალმომარაგებით უზრუნველყოფილი იქნება დამატებით 400 ათასი ადამიანი.

აქტიურად გაგრძელდება წყალმომარაგება–კანალიზაციისა და გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები მთელ რიგ ქალაქებსა და სოფლებში.

ნარჩენების მართვა განხორციელდება ევროპული სტანდარტების შესაბამისად, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გაუმჯობესდება მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სერვისები".

ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია – 2014-2020[101]

სტრატეგიის გრძელვადიანი ხედვა არის ისეთი საქართველო, სადაც ადამიანის უფლებათა პატივისცემა საერთო ღირებულებაა და სადაც ყველა ადამიანისათვის უზრუნველყოფილია ღირსეული ცხოვრება და კეთილდღეობა.

მიღწეული უნდა იყოს კონკრეტული შედეგი: ადამიანების სათანადო ინფორმირება მათი უფლებისა და ამ უფლებათა სათანადო რეალიზების საშუალებების შესახებ.

WaSH არ არის ცალკე გამოყოფილი, როგორც სტრატეგიული მიმართულება, თუმცა მე-12 მიზანია თანასწორობის უფლების უზრუნველყოფა და უმცირესობათა უფლებების დაცვა. ამოცანად განსაზღვრულია ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვა; მე-13 მიზანია ბავშვთა უფლებების რეალიზება, მათ შორის, სიღარიბისა და სიკვდილიანობის შემცირებითა და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფით; მე-15 მიზანია შშმ პირთა მიერ საკუთარი უფლებების სხვების მსგავსად განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფა გონივრული მისადაგების პრინციპის დაცვით; 21-ე მიზანია სათანადო საცხოვრებლის უფლებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულება; ამოცანა: სათანადო საცხოვრებლის უფლების ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველყოფა; მინიმალური საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფა; 23-ე მიზანია ადამიანის ეკოლოგიური უფლებების უზრუნველყოფა. ამოცანები: ა. გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საერთაშორისო

[100] http://gov.ge/files/68_67099_111823_2018-2020.pdf

[101] დამკტიცებულია საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 30 აპრილის №2315-IIს დადგენილებით.

სამართლებრივი სტანდარტების შესაბამისად; ბ. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესის საჯაროობისა და ამ პროცესში საზოგადოების მონაწილეობის მექანიზმების გაუმჯობესება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; დ. გარემოსდაცვით საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი) "წყალი, სანიტარია და ჰიგიენა საბავშვო ბაღში"[102]

16. ზედამხედველობა წყალსა და სანიტარიაზე საბავშვო ბაღში

საბავშვო ბაღის დონეზე განხორციელებული ზედამხედველობის ფორმატი და დიზაინი სრულად უნდა ითვალისწინებდეს წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის (WASH) პრინციპებს და შედგებოდეს შემდეგი კომპონენტებისაგან:

წყლის ხარისხი და უსაფრთხოება: სასმელი, საკვების მოსამზადებელი, პერსონალური ჰიგიენის, დასუფთავებისა და რეცხვისათვის განკუთვნილი წყალი უსაფრთხოა და აკმაყოფილებს შესაბამისი კატეგორიის წყლისათვის დადგენილ სტანდარტებს.

წყლის რაოდენობა: საკმარისი რაოდენობის წყლის მუდმივი ხელმისაწვდომობა სასმელად, პირადი ჰიგიენისათვის, საკვების მოსამზადებლად, დასუფთავებისა და რეცხვისათვის.

წყლის ხელმისაწვდომობა და წყალმოხმარების ტექნიკური საშუალებები: საბავშვო ბაღში საკმარისი რაოდენობითაა სასმელი წყლის წერტილები და წყალმოხმარების სხვა საშუალებები, რაც უზრუნველყოფს ხელმისაწვდომობას სასმელი წყლისადმი, პერსონალური ჰიგიენისადმი, საკვების მომზადების, დასუფთავებისა და რეცხვისადმი.

ჰიგიენის ხელშეწყობა: წყლისა და სანიტარიის საშუალებების სწორად მოხმარება, გამოყენება და მოვლა-პატრონობა უზრუნველყოფს მყარი ჰიგიენური ჩვევების გამომუშავების ხელშეწყობას.

ტუალეტები: სათანადოდ აღჭურვილი, მოხერხებული, პრივატული, დაცული, სუფთა და საზოგადოების კულტურული განვითარების დონისათვის შესაფერისი ტუალეტებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ბავშვებისა და საბავშვო ბაღის პერსონალისათვის.

გაიდლაინს თან ერთვის თვითშეფასების კითხვარი საბავშვო ბაღებისათვის, რომლის შესაბამისად, "ზემოჩამოთვლილი კომპონენტების მიხედვით ზედამხედველობის სისტემის დანერგვისა და ქმედუნარიანობის შესაფასებლად საბავშვო ბაღის

[102] საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი), დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 28 ივლისის No01-172/ო ბრძანებით და შემუშავებულია UNICEF-ის ტექნიკური დახმარებით.

ადმინისტრაციისათვის რეკომენდებულია ეფექტიანობის შეფასების მექანიზმების დანერგვა, რომლის ერთ-ერთ კომპონენტს შეიძლება წარმოადგენდეს შიდა აუდიტის წარმოება თვითშეფასების კითხვარის მეშვეობით".

სტანდარტი - წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში[103]

სტანდარტის მიხედვით, საქართველოს სკოლებში წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის საკითხების (WASH in Schools) მონიტორინგის რუტინული სისტემის ამოქმედებას, რომელიც კომპლექსურად შეაფასებს არსებულ მდგომარეობასა და წლიდან წლამდე მიღწეულ პროგრესს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მსგავსი სისტემები მრავალ ქვეყანაშია დანერგილი და რეკომენდებულია ისეთი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, როგორიცაა გაერო–ს ბავშვთა ფონდი (UNICEF) და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO).

სტანდარტს თან ერთვის თვითშეფასების კითხვარი სკოლებისათვის ავტორიზაციისას.

3 კონსტიტუციური და საკანონმდებლო გარანტიები

წინამდებარე ნაწილში მიმოვიხილავთთ საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ადამიანის უფლების კონტექსტში:

- საქართველოს კონსტიტუცია
- საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ" არეგულირებს წყლის ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმებთან დაკავშირებულ საკითხებს
- საქართველოს კანონი წყლის შესახებ
- გარემოსდაცვის შეფასების კოდექსი
- საქართველოს კანონი ტექნიკური საფრთხის რისკების შესახებ
- საქართველოს კანონი პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ
- საქართველოს კანონი სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ
- საქართველოს კანონი სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ
- საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ"
- საქართველოს კანონი „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ"არეგულირებს წყლის სტანდარტებთან (წყლის ხარისხისადმი წაყენებულ სანიტარიულ-ჰიგიენური ხასიათის ნორმებსა და წესებთან) დაკავშირებულ ასპექტებს
- საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ
- საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ

[103] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების ეროვნული სააგენტო, 2013.

- საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ
- საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ განსაზღვრავს წყლის სფეროში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებებს
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად უფლების დაცვის აღიარება გულისხმობს არა მხოლოდ მის შესახებ განაცხადის გაკეთებას, არამედ კონკრეტული სამართლებრივი ბერკეტების არსებობას: გამართულ სამართლებრივ რეგულაციებს, სახელმწიფო სისტემებს შორის გამართულ კოორდინაციას, კონტროლის გამართულ სისტემასა და შედეგებზე რეაგირების ეფექტიან სამართლებრივ მექანიზმებს. კანონი უნდა იძლეოდეს უფლების დაცვის ეფექტიან გარანტიებს - სამართლებრივ ბერკეტებს, გასაჩივრების შესაძლებლობას, მექანიზმებსა და სამართლიანი სასამართლო გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, რომელიც კანონის სრული სიმკაცრით იქნება დაუყოვნებლივ აღსრულებული.

საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი რედაქციით აღიარებული ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლება და გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება.[104]

საქართველოს ახალი კონსტიტუცია[105] აღიარებს რა თანასწორობის პრინციპს და საქართველოს აცხადებს სოციალურ სახელმწიფოდ[106], იძლევა ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფის გარანტიას: “4. სახელმწიფო ზრუნავს მოქალაქის ჯანმრთელობასა და სოციალურ დაცვაზე, საარსებო მინიმუმითა და ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე. სახელმწიფო ხელს უწყობს მოქალაქეს დასაქმებაში”.

კიდევ ერთი ნოვაცია, რომელსაც საქართველოს ახალი კონსტიტუცია გვთავაზობს, ეს არის თანამონაწილეობის ვალდებულების აღიარება: “გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებას უზრუნველყოფს კანონი”.[107]

---

[104] მუხლი 37/3. ყველას აქვს უფლება, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი”. 4. სახელმწიფო ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობას, ქვეყნის მდგრად განვითარებას საზოგადოების ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესების შესაბამისად ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად.

5. ყველას აქვს უფლება, დროულად მიიღოს სრული და ობიექტური ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ.

[105] *საქართველოს 2017 წლის 13 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი №1324 - ვებგვერდი, 19.10.2017წ. საქართველოს 2018 წლის 23 მარტის კონსტიტუციური კანონი №2071 - ვებგვერდი, 02.04.2018წ.*

[106] მუხლი 5. სოციალური სახელმწიფო - 1. საქართველო არის სოციალური სახელმწიფო

[107] მუხლი 29. გარემოს დაცვის უფლება-1. ყველას აქვს უფლება, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის

საქართველოს კონსტიტუცია, მართალია, პირდაპირ არ აღიარებს წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ადამიანის უფლებას, თუმცა, ევროპულ სახელმწიფოთა უმეტესობის მსგავსად, წყლის უფლების გარანტიას იძლევა გარემოს დაცვისა და ჯანმრთელობის უფლებათა კონტექსტში.

ჩვენი კვლევის მიზნიდან გამომდინარე, წყლის შესახებ საქართველოს კანონის[108] პრეამბულა პირველივე აბზაცში აღიარებს სუფთა წყლის მნიშვნელობას ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, ისევე, როგორც ხაზგასმულია მისი მნიშვნელობა ეკონომიკის განვითარებისათვის: "წყალი უნიკალური და უპირველესი, სასიცოცხლო მნიშვნელობის, ადამიანის, ცხოველთა სამყაროს და მცენარეული საფარის არსებობისათვის აუცილებელი და საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი რესურსია".

მეორე აბზაცში გაჟღერებულია საქართველოს სახელმწიფოს ვალდებულება: "სახელმწიფო უზრუნველყოფს გარემოს დაცვას და, შესაბამისად, გარემოს შემადგენელი ძირითადი კომპონენტის – წყლის – დაცვას". წინამდებარე განაცხადი შესაძლებელია, მივიჩნიოთ წყლის უფლების მნიშვნელობის აღიარებად, მათ შორის – ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, თუმცა ვერ ჩაითვლება კონკრეტულ განაცხადად იმ სტანდარტის შესაბამისად, რასაც გვთავაზობს თანამედროვე კონცეფცია წყლის უფლების შესახებ.

შემდეგი წინადადება საქართველოში მცხოვრები თითოეული ადამიანის ვალდებულებას აწესებს წყლის გამოყენებისა და დაბინძურებისაგან დაცვის მიმართულებით: "საქართველოში მცხოვრები, ვალდებულია, უზრუნველყოს წყლის რაციონალური და მდგრადი გამოყენება და დაცვა, არ დაუშვას მისი გაბინძურება, დანაგვიანება და დაშრეტა".

მიგვაჩნია, რომ პრეამბულაშივე მიზანშეწონილია წყალზე უფლების, როგორც ადამიანის უფლების, აღიარება და სახელმწიფოს ვალდებულების ხაზგასმა, თუნდაც პრინციპების დონეზე.

ზოგადად, ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის ვალდებულებას აღიარებს მთელი რიგი კანონები:

საქართველოს კანონი პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი[109] ვრცელდება წყლის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ

უვნებელ გარემოში, ისარგებლოს ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით. ყველას აქვს უფლება, დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებას უზრუნველყოფს კანონი.

[108] https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/33448

[109] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659419

ტერიტორიებზე[110].

ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ[111] [112] საქართველოს კანონის მიზანია ტექნიკური ბარიერებისა და რისკების შემცირების პრინციპის გათვალისწინებით: ა) ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრებისა და გარემოს დაცვა მომეტებული ტექნიკური საფრთხისაგან.[113]

სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ საქართველოს კანონი[114]. მართალია, კანონი არეგულირებს სურსათის ხარისხის ზოგად მოთხოვნებს, თუმცა კანონის რეგულირების სფეროს გარეთ ტოვებს "პირადი ან ოჯახური მოხმარებისათვის განკუთვნილ სურსათსა და ოჯახურ წარმოებას"[115]. იმავდროულად სურსათში მოიაზრებს ადამიანის საკვებად განკუთვნილ ყველა სახის სასმელს,.. და ყოველ ნივთიერებას დაფასოებული და სურსათში გამოსაყენებელი წყლის ჩათვლით[116]".

საქართველოს კანონი სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ[117] წყალმომარაგების ობიექტებს განიხილავს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტების ჩამონათვალში და ხელისუფლების ვალდებულებად აწესებს კ) საგანგებო სიტუაციის დროს, აუცილებლობის შემთხვევაში, ადამიანებისათვის თავშესაფრის შექმნას, პირველადი მოხმარების საგნების, კვების პროდუქტებისა და წყლის მომარაგებას.

საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ[118] არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ფიზიკურ და იურიდიულ (საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის განურჩევლად) პირებს შორის გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის სფეროში (შემდეგ „გარემოს დაცვაში") საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მისი ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცის, კონტინენტური შელფისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ჩათვლით.

---

[110] მუხლი 1 - კოდექსის მიზანი.

[111] https://matsne.gov.ge/ka/document/view/91630

[112] მუხლი 1 - კანონის მიზანი.

[113] მუხლი 3,"ფ". მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონა – საქართველოს კანონებითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ტერიტორიები, ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ტერიტორიები.

[114] https://matsne.gov.ge/ka/document/view/25426

[115] მუხლი 2 - კანონის რეგულირების სფერო.

[116] მუხლი 3. ამ კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება:
ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
ა) სურსათი (ან სასურსათო პროდუქტი) – ადამიანის საკვებად განკუთვნილი ნებისმიერი პროდუქტი, გადამუშავებული ან გადაუმუშავებელი. სურსათი მოიცავს ასევე ყველა სახის სასმელს, საღეჭ რეზინსა და ყოველ ნივთიერებას, დაფასოებული და სურსათში გამოსაყენებელი წყლის ჩათვლით, რომელიც მიზანმიმართულადაა დამატებული სურსათის შემადგენლობაში მისი წარმოებისა და გადამუშავების დროს. სურსათი არ მოიცავს ცხოველის საკვებს, ფარმაცევტულ პრეპარატებს ან სამკურნალო პროდუქტებს, საერთო მოხმარების საგნებს, თამბაქოსა და თამბაქოს პროდუქტებს, ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ საშუალებებს, სხვადასხვა ნარჩენებსა და დამაბინძურებლებს.

[117] https://matsne.gov.ge/ka/document/view/4243170

[118] https://matsne.gov.ge/ka/document/view/33340

კანონის ძირითადი მიზნებია[119]:
ა) განსაზღვროს გარემოს დაცვის სფეროში სამართლებრივ ურთიერთობათა პრინციპები და ნორმები;
ბ) დაიცვას გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი ადამიანის ძირითადი უფლებები _ ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში და სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი;
გ) უზრუნველყოს სახელმწიფოს მიერ გარემოს დაცვა და რაციონალური ბუნებათსარგებლობა, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად და ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით.

საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ[120]
ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპებს შორის ასახელებს: ო) მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის მავნე ქმედებისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ადმინისტრაციული სანქციების გამოყენებას. ხოლო ჯანმრთელობის დაცვის სფეროს სახელმწიფო მართვის მექანიზმებს შორის განიხილავს კ) სანიტარიულ-ჰიგიენურ ნორმირებასა და ეპიდემიოლოგიურ კონტროლს.

აგრეთვე ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას სახელმწიფოს მოვალეობად აცხადებს[121].

უდავოდ მისასალმებელია, რომ ***წყლის შესახებ საქართველოს კანონში*** გაცხადებულია თანასწორობის პრინციპი: "წყლის დაცვისა და გამოყენების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების მიზნით საქართველოში მოქმედებს წყლის დაცვისა და გამოყენების მართვის ერთიანი სახელმწიფო სისტემა. ამ სისტემის ერთ-ერთი მიზანია[122]: დ) ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის წყალსარგებლობის თანაბარ შესაძლებლობათა უზრუნველყოფა". გარდა ამისა, საქართველოს კონსტიტუციით, ისევე, როგორც დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვის შესახებ[123] საქართველოს კანონით, დისკრიმინაცია დაუშვებელია[124].

---

[119] მუხლი 3 - კანონის ძირითადი მიზნები და ამოცანები.
[120] https://matsne.gov.ge/ka/document/view/29980
[121] თავი X. სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმირება და ეპიდემიოლოგიური კონტროლი, მუხლი 70, საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ.
[122] საქართველოს კანონი წყლის შესახებ, თავი VIII. წყლის დაცვისა და გამოყენების სახელმწიფო მართვა; მუხლი 74. წყლის დაცვისა და გამოყენების სახელმწიფო მართვა.
[123] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2339687
[124] მუხლი 1. კანონის მიზანი. ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან განსხვავებული შეხედულების, ან სხვა ნიშნის მიუხედავად. მუხლი 2. დისკრიმინაციის ცნება. დისკრიმინაციის აკრძალვა: 1. საქართველოში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია.

საქართველოს კანონით წყლის შესახებ (მე-3 თავი) "წყლის დაცვა" დადგენილია წყლის დაცვის ღონისძიებების გატარების ვალდებულება, რომელიც ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებიდან – მათი კომპეტენციიდან გამომდინარე.

წყლის დაცვის ღონისძიებები დაგეგმილია მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით – ქვეყნის მდგრადი განვითარების სტრატეგიის, გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის, რეგიონალური, უწყებრივი და ადგილობრივი გარემოს დაცვის მოქმედებათა პროგრამებისა და საქმიანობის ობიექტების გარემოს დაცვის სამენეჯმენტო გეგმების საფუძველზე – „გარემოს დაცვის შესახებ", „წიაღის შესახებ", „ცხოველთა სამყაროს შესახებ" და „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

წყლის დაცვის ღონისძიებათა გეგმის განხორციელებამ უნდა უზრუნველყოს შემდეგ ძირითად მოთხოვნათა შესრულება:
ა) წყლის ობიექტების დაცვა გაბინძურების, დანაგვიანების, დაშრეტისა და სხვა ისეთი უარყოფითი ზემოქმედებისაგან, რომელმაც, შეიძლება, ზიანი მიაყენოს მოსახლეობის ჯანმრთელობას, შეამციროს თევზის მარაგი, გააუარესოს წყალმომარაგების პირობები და გამოიწვიოს წყლის ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური თვისებების გაუარესება, ბუნებრივი თვითგაწმენდის უნარის დაქვეითება, წყლის ჰიდროლოგიური და ჰიდრო-გეოლოგიური რეჟიმის დარღვევა და სხვა არასასურველი შედეგები;
ბ) მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება სასმელი და საყოფაცხოვრებო დანიშნულების, სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი ხარისხის წყალზე;
დ) სასმელი და ტექნიკური წყალმომარაგების სათავე ნაგებობების სანიტარიული დაცვის ზონებში დადგენილი რეჟიმის განუხრელი დაცვა;
ე) წყლის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოების გარემოს მდგომარეობაზე გავლენის სარწმუნო პროგნოზირება, შეფასება და აუცილებელი ზომების განხორციელება გარემოსა და მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;
ვ) წყლის ცალკეული ობიექტებისათვის დაცული ტერიტორიის კატეგორიის მინიჭება;
ზ) წყლის ცხოველთა სამყაროს სახეობრივი მრავალფეროვნების შენარჩუნება;
თ) ზღვისა და წყლის სხვა ობიექტების, სანაპირო ზოლებისა და ზონების შენარჩუნება და დაცვა;
ი) წყლის მავნე ზემოქმედების თავიდან აცილება და მისი შედეგების ეფექტიანი ლიკვიდაცია.

საქართველოს კანონი წყლის შესახებ[125] ასევე იცავს წყალს დანაგვიანებისა და დაბინძურებისაგან (მეხლი 15): 1. აკრძალულია წყლის ობიექტებსა და წყალარინების (საკანალიზაციო) სისტემაში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნარჩენების ჩაყრა. 6. ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებული არიან, არ დაუშვან წყალშემკრები აუზების, წყალსატევების, თოვლის, ყინულის, მყინვარებისა და

[125] საქართველოს კანონი წყლის შესახებ, მუხლი 15. წყლის დანაგვიანებისა და დაბინძურებისაგან დაცვა –

თოვლის მუდმივი საფრის დანაგვიანება და დაბინძურება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნარჩენებითა და გამონაბოლქვით, რომელთა ჩარეცხვა გააუარესებს ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ხარისხს. 7. მიწის მესაკუთრე და მიწით მოსარგებლე ვალდებული არიან, არ დაუშვან წყლის დაბინძურება მინერალური და ორგანული სასუქებითა და შხამქიმიკატებით. 8. აკრძალულია წყალმომარაგების სათავე ნაგებობებთან ახლოს და მათი სანიტარიული დაცვის ზონებში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნარჩენების დაგროვება, ჩამდინარე წყლებით რწყვა, ისეთი ობიექტების მშენებლობა და სხვა საქმიანობა, რომლებმაც შეიძლება წყლის დაბინძურება გამოიწვიოს.[126]
წყლის შესახებ საქართველოს კანონი ითვალისწინებს წყლის მდგომარეობის ხარისხობრივი ნორმებისა და წყლის ობიექტებში ნივთიერებათა (მათ შორის – მიკროორგანიზმების) ემისიის (ჩაშვების) ზღვრულად დასაშვებ ნორმებს, ასევე – წყლის ობიექტების დატვირთვის ნორმების დაწესების ვალდებულებას[127].

ამავე კანონით წყლის დაცვისა და გამოყენების სახელმწიფო კონტროლსა და ზედამხედველობას ექვემდებარება მოსარგებლის ნებისმიერი ქმედება, რომელიც დაკავშირებულია წყლის ობიექტებით სარგებლობასთან. წყლის გამოყენებისა და დაცვის სფეროში სახელმწიფო კონტროლსა და ზედამხედველობას ახორციელებს სამინისტრო, აგრეთვე თავისი კომპეტენციის ფარგლებში – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. სამინისტრო აკონტროლებს და აწესრიგებს ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ წყლის კანონმდებლობით დადგენილი წყალსარგებლობის წესების, გაბინძურების, დანაგვიანებისა და დაშრეტისაგან წყლის დაცვის ნორმებისა და წესების მოთხოვნათა შესრულების, წყლის მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებისა და მისი შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებების, წყლის

---

[126] 9. აკრძალულია შთამნთქმელი ჭაბურღილების ბურღვა და შთამნთქმელი ჭების მოწყობა, აგრეთვე გაზისა და ნავთობის დამუშავებული საბადოების, შახტებისა და კარიერების, ბუნებრივი მიწისქვეშა სიცარიელეების სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების ჩასაშვებად გამოყენება, თუ შეიძლება ამან გამოიწვიოს მიწისქვეშა წყლების შემცველი ჰორიზონტების დაბინძურება.
11. აკრძალულია ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ დასახლების წყალარინების (საკანალიზაციო) სისტემაში საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შეუსაბამო ჩამდინარე წყლების ჩაშვება.
[127] 2. წყლის მდგომარეობის ხარისხობრივი ნორმებია წყალში ადამიანის ჯანმრთელობისა და ბუნებრივი გარემოსათვის მავნე ნივთიერებების კონცენტრაციისა და მიკროორგანიზმების რაოდენობათა ზღვრულად დასაშვები ნორმები.
3. მავნე ნივთიერებათა (მათ შორის – მიკროორგანიზმების) ემისიის ზღვრულად დასაშვები ნორმებია წყლის ობიექტებში სამრეწველო, საყოფაცხოვრებო-კომუნალური და სხვა ჩამდინარე წყლების ჩაშვების ნორმები, რომლებიც დგინდება გაბინძურების ყოველი კონკრეტული წყაროსათვის მისი ტექნოლოგიური თავისებურებებისა და ადგილმდებარეობის ფონური გაბინძურების გათვალისწინებით იმგვარად, რომ ემისიური ნივთიერებებისა და მიკროორგანიზმების კონცენტრაციამ ადგილზე არ გადააჭარბოს ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის დონეს.
6. წყლის ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების, გარემოში მავნე ნივთიერებათა (მათ შორის – მიკროორგანიზმების) ემისიის ზღვრულად დასაშვები ნორმების, წყლის ამოღების კვოტების და წყალში მავნე ნივთიერებათა (მათ შორის – მიკროორგანიზმების) ემისიის დადგენის წესი განისაზღვრება „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით.

გამოყენების პირველადი და სახელმწიფო აღრიცხვის წარმოებისა და სხვა ვალდებულებათა შესრულებას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით[128] დასჯადია იმ გარემოების, ფაქტის ან მოვლენის შესახებ ინფორმაციის დამალვა ან გაყალბება, რომელიც საფრთხეს უქმნის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან გარემოს, ჩადენილი მის მიერ, ვინც ვალდებული იყო, მიეწოდებინა ეს ინფორმაცია მოსახლეობისათვის. დასჯადია ასევე სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური წესის დარღვევა[129], რამაც ადამიანთა მასობრივი დაავადება ან მოწამვლა გამოიწვია.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის[130] 58-ე მუხლი კრძალავს წყლის ობიექტების დაბინძურებას, დანაგვიანებას, წყლის ობიექტებში ნარჩენებისა და სხვაგვარი ნაყარის ჩაყრას. ადმინისტრაციულ სახდელს აწესებს სასმელი და საყოფაცხოვრებო დანიშნულების წყლის ობიექტების დაცვის რეჟიმის დარღვევის, სასმელი და საყოფაცხოვრებო წყალმომარაგებისა და სამკურნალო დანიშნულების წყლის ობიექტებში სამრეწველო, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო, სადრენაჟო და სხვა ჩამდინარე წყლების ჩაშვების შემთხვევაში. წყლის ტრანსპორტიდან, მილსადენებიდან, წყლის ობიექტებზე არსებული მცურავი და სხვა ნაგებობებიდან წყლის დაბინძურება ან დანაგვიანება ზეთით, ქიმიური ნივთიერებებით, ნავთობით, მინერალური და ორგანული სასუქებითა და შხამქიმიკატებით ექვემდებარება დაჯარიმებას ადმინისტრაციული წესით.

მუხლი 60^3 აწესებს პასუხისმგებლობას წყალდაცვითი ზოლებისა და სანიტარიული დაცვის ზონების კანონით დადგენილი რეჟიმისა და სასმელად, საყოფაცხოვრებო დანიშნულებით წყალმომარაგებისათვის, სამკურნალოდ და საკურორტო საჭიროებისათვის განკუთვნილ სანიტარიული დაცვის ზონებსა და წყალდაცვით ზოლებში კანონით დადგენილი რეჟიმის დარღვევისათვის.

61-ე მუხლი წყალსამეურნეო და წყალდამცავი ნაგებობებისა და მოწყობილობების დაზიანებისთვის ითვალისწინებს ადმინისტრაციულ სახდელს.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 61^1 მუხლი ადგენს წყალსარგებლობის თაობაზე ინფორმაციის მიწოდებისა და წყლის პირველადი აღრიცხვის წარმოების წესების დარღვევის შესაბამის სანქციებს. დასჯადია ასევე სარწყავი წყლის დატაცება (მუხლი 96^4), სასმელი წყლის უკანონო მოხმარება და წყალარინების ქსლით უკანონო სარგებლობა (მუხლი 149).

---

[128] თავი XXXII. დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ. მუხლი 247. სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი გარემოების შესახებ ინფორმაციის დამალვა ან გაყალბება. https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426

[129] მუხლი 248. სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური წესის დარღვევა.

[130] https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216

4 საქართველოს სამართლებრივი სივრცე სასმელი წყლის ხარისხობრივი ნორმების, სასმელი წყლის მიწოდების/მოხმარების წესებისა და სასმელი წყლის ხარისხის კონტროლის შესახებ

კვლევის ამ ნაწილში მიმოვიხილავთ საქართველოს სამართლებრივ სივრცეში არსებულ მდგომარეობას სასმელი წყლის ხარისხობრივი ნორმების დადგენის, სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესების განსაზღვრის, სასმელი წყლის მიმწოდებლისათვის ლიცენზიების გაცემის, სასმელი წყლის ხარისხის კონტროლისა და ტარიფების შესახებ.

დოკუმენტი, რომელიც ქვეყნის მასშტაბით სასმელი წყლის ტექნიკურ შემადგენლობას განსაზღვრავს და სასმელად ვარგისიანობის ნორმებს ადგენს, არის სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტი, რომელიც შემუშავებულია ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ და დამტკიცებულია 2014 წლის 15 იანვრის საქართველოს მთავრობის დადგენილებით N58 "სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ"[131].

სასმელი წყლის ტენიკური რეგლამენტი[132]

ტექნიკური რეგლამენტი შემუშავებულია „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების, ევროპული დირექტივების, ქვეყნის რეგიონალური თავისებურებებისა და კლიმატურ-გეოგრაფიული პირობების გათვალისწინებით და ადგენს ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხოების სანიტარიულ ნორმებს სასმელი წყლისათვის.

რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნები ვრცელდება ბუნებრივ ან დამუშავებულ წყალზე, რომელიც გამოიყენება სასმელად, საკვების მოსამზადებლად და სხვა სახის საყოფაცხოვრებო დანიშნულებით, მიუხედავად წარმოშობისა და მიწოდების ხერხისა (გამანაწილებელი ქსელის, ავზისა და ცისტერნის, ბოთლის ან კონტეინერის საშუალებით მიწოდება); აგრეთვე სურსათის ან სასურსათო პროდუქტების წარმოებისათვის განკუთვნილ წყალზე.

სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტით განისაზღვრება სასმელი წყლის ხარისხის შემდეგი მაჩვენებლები და მათი ნორმატიული სიდიდეები, ასევე **სანიტარიული მოთხოვნები სასმელი წყლისადმი.[133]**

---

[131] http://nfa.gov.ge/uploads/other/5/5564.pdf

[132] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილება „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ".

[133] 1. სასმელი წყალი უნდა იყოს უსაფრთხო ეპიდემიური და რადიაციული თვალსაზრისით, ქიმიური შემადგენლობით – უვნებელი და ჰქონდეს კეთილსასურველი ორგანოლეპტიკური თვისებები.
2. სასმელი წყლის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ სანიტარიულ ნორმებს.
3. სასმელი წყლის ორგანოლეპტიკური თვისებები უნდა შეესაბამებოდეს პირველ ცხრილში მოცემულ

რეგლამენტის მიხედვით, სასმელი წყლის ხარისხის შიდა კონტროლი და მონიტორინგი ხორციელდება წყლის მიმწოდებლის მიერ, ხოლო სახელმწიფო კონტროლისა და მონიტორინგის სქემა, ჯერადობა, განსასაზღვრი მაჩვენებლები და გამოსაცდელი სინჯების რაოდენობა განისაზღვრება შესაბამისი სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოს მიერ კანონით დადგენილი წესით.

ქვეყანაში ფუნქციონირებს გარემოს ეროვნული სააგენტო[134], რომელიც არის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი და რომელიც სააგენტოს სახით 2008 წლის 31 ივლისს შეიქმნა. სააგენტო წარმოადგენს სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისგან დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რომელიც სახელმწიფო კონტროლის ქვეშ დამოუკიდებლად ახორციელებს საქმიანობას, მის ფუნქციებში არ შედის სასმელი წყლის კონტროლი. მიუხედავად ამისა, მისი ფუნქციაა, ზოგადად, წყლის რესურსის კონტროლი.

გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე იძებნება მხოლოდ 2017 წელს გამოქვეყნებული ინფორმაცია "2016 წლის მდგომარეობით წყლის დაბინძურების შესახებ - წყლის წელიწდეული 2016"[135] და ასევე ბოლო მონაცემია "საინფორმაციო ბიულეტენი N6 ბიულეტენის (2018 წლის ივნისი) - მოკლე მიმოხილვა საქართველოს გარემოს დაბინძურების შესახებ"[136].

პრაქტიკულად, ერთადერთი შედარებით ქმედითი ინსტიტუცია, რომელიც ქვეყნის მასშტაბით ახორციელებს საკვებში გამოსაყენებლად ვარგისი წყლის კონტროლს, ეს არის სურსათის უვნებლობის სააგენტო.

სააგენტოს მიერ განხორციელებული მონიტორინგი[137] არის სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი, რომლის დროსაც ხორციელდება წინასწარ დაგეგმილი დაკვირვებები და გაზომვები სურსათის/ცხოველის საკვების საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესაფასებლად.

სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლს 2017[138] ახორციელებს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო[139].

მოთხოვნებს.

[134] http://nea.gov.ge

[135] http://nea.gov.ge/uploads/page/598daf9772f1c.pdf

[136] http://nea.gov.ge/uploads/pdfs/5b68020bde263.pdf

[137] სურსათის ეროვნული სააგენტო, http://nfa.gov.ge/ge/sursatis-uvnebloba/monitoringi

[138] http://nfa.gov.ge/ge/sursatis-uvnebloba/inspeqtireba

[139] „სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული სახელმწიფო კონტროლის 2017 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2017 წლის 24 იანვრის #2-14 ბრძანების შესაბამისად, სურსათის უვნებლობის სფეროში განხორციელდა:
10 127 ინსპექტირება, აქედან: გეგმური - 4425; არაგეგმური - 782;
არაგეგმური ინსპექტირება აღიარების მინიჭების მიზნით - 296;

საჯარო სამართლის იურიდიული პირის -სურსათის ეროვნული სააგენტოს – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული სახელმწიფო კონტროლის 2018 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ.

სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის 2018 წლის პროგრამა[140]-ის შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მექანიზმებია ინსპექტირება – გეგმური ინსპექტირება/არაგეგმური ინსპექტირება და მონიტორინგი: ა) სურსათის ბიზნესოპერატორების მონიტორინგი განხორციელდება სურსათის ნიმუშების/სინჯების აღებისა და დოკუმენტური შემოწმების გზით;

ე) შემოწმების პრიორიტეტი ენიჭება: ხორცის სარეალიზაციო ობიექტებს, საბავშვო ბაგა-ბაღებისა და სკოლების კვების ბლოკებს, რომელთა გეგმური დოკუმენტური შემოწმება განხორციელდება წელიწადში 2-ჯერ.

ვ) არაგეგმური დოკუმენტური შემოწმება შესაძლებელია განხორციელდეს:

ვ.ა) სახელმწიფო კონტროლის შედეგების საფუძველზე, მათ შორის, სააგენტოს მიერ აღებული ნიმუშის ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების საფუძველზე; ვ.ბ) სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის ან სამართალდამცავი ორგანოს შეტყობინების საფუძველზე;

ვ. ე) სხვა ობიექტური გარემოების არსებობისას, რომელმაც, შეიძლება, საფრთხე შეუქმნას ადამიანის ან/და ცხოველის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

შემოწმების მოსალოდნელი შედეგებია:

1. ბიზნესოპერატორად დარეგისტრირებულ სურსათის მწარმოებელ საწარმოებს მიეცემათ შესაბამისი რეკომენდაციები არსებული შეუსაბამობების გამოსწორების მიზნით.
2. შემცირდება საფრთხის შემცველი სურსათის წარმოებისა და ბაზარზე განთავსების ფაქტები.

მიგვაჩნია, რომ შედეგი არაეფექტიან და საჭიროებს მნიშვნელოვან გამკაცრებას.

ქვეყანაში შექმნილია ***საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია[141],*** როგორც დამოუკიდებელი, მარეგულირებელი ორგანო. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამგვარი ორგანოს არსებობა სახელმწიფოს ერთ-ერთ ვალდებულებათაგანია წყალსა და სანიტარიაზე ადამიანის უფლების კონტექსტში.

გადამოწმდა 4624 ბიზნესოპერატორი.

[140] http://nfa.gov.ge/ge/sursatis-uvnebloba/saxelmwifo-programebiსაქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N 2-22 ბრძანება.

[141] დამტკიცებულია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილებით №6; 2014 წლის 6 მარტი.

მისი მიზანია ენერგო და წყალმომარაგების სექტორების განვითარება; დარგის ეფექტურად რეგულირების მიზნით სამართლებრივი საფუძვლებისა და რეგულირების სფეროში შემავალი საწარმოებისა და მომხმარებლების ინტერესების დაბალანსება; ტარიფების დადგენის პროცესში გამჭვირვალობისა და დამოუკიდებლობის სტანდარტის შემუშავება.

კომისიის კომპეტენცია და საქმიანობის სფერო, ჩვენი კვლევის, ინტერესიდან გამომდინარე, საინტერესოა იმდენად, რამდენადაც იგი შეიმუშავებს და ამტკიცებს, ერთი მხრივ, სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესებს, ხოლო, მეორე მხრივ, აწესებს და აკონტროლებს სამომხმარებლო ტარიფებს, მათ შორის – წყლის სექტორში[142]. გარდა ამისა, კომისია გასცემს, აკონტროლებს და აუქმებს ლიცენზიებს ლიცენზიების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ[143]

სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესები სავალდებულოა ყველა იმ პირისათვის, რომელიც ახორციელებს მომხმარებელთა წყალმომარაგებას ან/და სასმელი წყლის მოხმარებას.

წესების მიხედვით, მიმწოდებელი პასუხისმგებელია სასმელი წყლის წყალმომარაგების სისტემის მეშვეობით მომხმარებელთა სათანადოდ მომსახურებასა და წყალმომარაგებაზე.

მიმწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოს მომხმარებლის შესაბამისი ხარისხის სასმელი წყლით უსაფრთხო, უწყვეტი და საიმედო წყალმომარაგება კანონმდებლობის, ამ წესებისა და მისი შესაბამისი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების

---

[142] კომისიას 2008 წლის 26 ნოემბრის №32 დადგენილებით დამტკიცებული აქვს „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესები“.
2. კომისიას 2008 წლის 29 აგვისტოს №18 დადგენილებით დამტკიცებული აქვს „წყალმომარაგების ტარიფების დადგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“.
კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №23 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში საქმიანობის კონტროლისა და ლიცენზირების წესები“.
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილება „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“.
კომისიის 2010 წლის 12 აგვისტო №14 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის (აირის) დატაცების, ასევე სასმელი წყლის უკანონო მოხმარებისა და წყალარინების ქსელით უკანონო სარგებლობისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადებისა და იძულებით აღსრულების წესები“.
კომისიის 2013 წლის 30 დეკემბრის №15 დადგენილებით დამტკიცებული „მესამე პირების მფლობელობაში არსებულ ქსელში ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზისა და სასმელი წყლის გატარების საფასურის გაანგარიშების წესები“.

[143] საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება N 32 2008 წლის 26 ნოემბერი, ქ. ქუთაისი.

შესაბამისად.

მიმწოდებელი ვალდებულია:ა)გაუწიოს მომსახურება ყველა სახის მომხმარებელს ამ წესების შესაბამისად;ბ) წყალმომარაგებისას დაიცვას ტექნიკური და უსაფრთხოების დადგენილი ნორმები და წესები; გ) უზრუნველყოს მომხმარებელთა მუდმივი მომსახურება, მათ შორის – მუდმივმოქმედი 24–საათიანი სატელეფონო ცხელი ხაზით მომსახურება; დ) დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება შეტყობინებაზე სასმელი წყლით მომარაგების შეწყვეტის ან/და წნევის ცვალებადობის შესახებ; ე) განახორციელოს წყალმომარაგების მომსახურება და უზრუნველყოს მომხმარებლისათვის საქართველოში მოქმედი სტანდარტებისა და ტექნიკურ რეგლამენტების შესაბამისი სასმელი წყლის მიწოდება (ამ წესებით დადგენილი პირობების შესაბამისად).

მიმწოდებელი ვალდებულია, დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება და შეწყვიტოს სასმელი წყლით მომარაგება, თუ:

ა) საფრთხე ემუქრება პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან მის ქონებას;

ბ) ადგილი აქვს ტექნიკური ნორმებისა და უსაფრთხოების წესების მოთხოვნების დარღვევას. ამასთან, დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე, მომხმარებელს, შეიძლება, განესაზღვროს გონივრული ვადა დარღვევის გამოსასწორებლად.

4. მიმწოდებელი უფლებამოსილია, კანონმდებლობისა და ამ წესებში მოცემული ნორმების დაცვით, შეწყვიტოს მომხმარებლისათვის სასმელი წყლის მიწოდება, თუ:

ა) მომხმარებლის მიერ გადახდილი არ არის მოხმარებული სასმელი წყლის საფასური;

ბ) მომხმარებლის მიერ ირღვევა სასმელი წყლის წყალმომარაგების სისტემაზე მიერთების ტექნიკური პირობა;

გ) მომხმარებელი არ ასრულებს ამ წესებით დადგენილ პირობებს ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იმ ვალდებულებებს, რომლებიც ამ წესებისა და კანონმდებლობის შესაბამისად ითვალისწინებს სასმელი წყლით მომარაგების შეწყვეტას;

დ) საჭიროა გეგმური ან ავარიული სარემონტო სამუშაოების ჩატარება.

5. მიმწოდებელი ვალდებულია, მომხმარებელთან ფულადი ანგარიშსწორება აწარმოოს მხოლოდ ამ წესებით განსაზღვრულ ანგარიშსწორების ქვითარში გადასახდელი (მოთხოვნილი) თანხის სრულად ასახვისა და გადახდის ვადის განსაზღვრის შემდეგ.

კიდევ ერთი ნოვაცია, რომელიც წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ხელმისაწვდომობის უფლების კონტექსტში მნიშვნელოვანია და ასახულია ქართულ სამართლებრივ სივრცეში, ეს არის სემეკის ზემოხსენებული წესების მე-3[1] მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ელექტრონული ფორმით მომხმარებლის ინფორმირებას სასმელი წყლით მომარაგების გეგმური წყვეტის შემთხვევაში.

წყლის მოხმარების ტარიფები

მთლიანობაში უნდა ითქვას, რომ წესები წარმოადგენს თანამედროვე სტანდარტის შესაბამის დოკუმენტს, სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობის უფლება აღიარებულია და დაცულია, თუმცა ჩვენი შენიშვნა ეხება მიმწოდებლის უფლებამოსილებას, შეწყვიტოს წყლის მიწოდება წყლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში. მიგვაჩნია, რომ ეს არის მთლიანად სამართლებრივი და პოლიტიკური პრობლემა, ვინაიდან, როგორც ზემოთ ვნახეთ, წყალზე უფლების შემადგენელი ნაწილია სახელმწიფოს მიერ იმგვარი პოლიტიკისა და რეგულაციების დაწესება, რომელიც გათვლილი იქნება ადამიანის გადახდისუუნარობაზე.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია[144] პასუხისმგებელია წყლის ტარიფის დადგენაზე 2008 წლიდან. კომისიამ შეიმუშავა წყალმომარაგების ტარიფების დადგენის მეთოდოლოგია[145]. მეთოდოლოგიით დადგენილი წყალმომარაგების ტარიფი "უნდა ითვალისწინებდეს სახელწიფო პოლიტიკას სატარიფო შეღავათების სფეროში, ქვეყანაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასა და მოსახლეობის გადახდისუნარიანობის დონეს"[146].

ტარიფებთან დაკავშირებული ყველა დადგენილება, გადაწყვეტილება და დოკუმენტი, ხელმისაწვდომია საზოგადოებისა და საჯარო განხილვისათვის[147].

წყალთან ხელმისაწვდომობის უფლების ერთ-ერთი ფუნდამენტური ქვაკუთხედია წყლის გადასახადი. უფლების კონცეფცია მოიცავს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს იმგვარი პოლიტიკა, რომ სოციალურად დაუცველ მოსახლეობას გადახდისუუნარობის გამო არ შეეზღუდოს სასმელი და სანიტარია-ჰიგიენისათვის აუცილებელი წყლის მიწოდება.

საქართველოს სოციალური დაცვის სისტემა, ძირითადად, ორი კომპონენტისგან შედგება, ეს არის მიზნობრივი სოციალური დახმარებები და ასაკობრივი პენსია. ქვეყნის მასშტაბით არ არსებობს წყალზე შეღავათის დაწესების ერთიანი სისტემა, წყალზე უფლების კონტექსტიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ვალდებულების ფარგლებში მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ შეიმუშაოს ერთიანი პოლიტიკა შესაბამისი საჭიროების მქონე მოსახლეობისათვის წყლის გადასახადზე შეღავათის დაწესების შესახებ.

ქვეყანაში არსებულ სხვადასხვა ტიპის პროგრამებს, რომლებიც მიმართულია წყლის კომუნალურ სუბსიდირებაზე:

---

[144] http://gnerc.org

[145] დამტკიცებულია კომისიის 2008 წლის 29 აგვისტოს N 18 დადგენილებით.

[146] მუხლი 4 - ძირითადი პრინციპები

[147] მუხლი 4, პუნქტი 4.

1. თბილისის მერიის კომუნალური სუბსიდირება[148] გათვლილია მხოლოდ თბილისის მოსახლეობისათვის. პროგრამა ითვალისწინებს ქ. თბილისში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის ელექტროენერგიის, დასუფთავებისა და წყლის გადასახადზე სუბსიდიის დარიცხვას იანვარში, თებერვალში, მარტში, ნოემბერსა და დეკემბერში.

2. ფართომასშტაბიანია ფულადი სოციალური დახმარება (საარსებო შემწეობა)[149], რომელიც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მოქმედებს, თუმცა პირდაპირ და მხოლოდ წყლის გადასახადზე არ არის მიმართული.

საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ[150] ითვალისწინებს მაღალმთიან დასახლებაში სოციალური შეღავათების დაწესებას[151], რომელთა შორის ასევე არ ფიგურირებს წყლის გადასახადი. ეს ფაქტორი, შესაძლებელია, განპირობებული იყოს მაღალმთიანი რეგიონების წყალმომარაგებასთან დაკავშირებული თავისებურებით, თუმცა მიგვაჩნია, რომ აღნიშნული საკითხი არ უნდა იყოს რეგულირების გარეშე.

წყალმომარაგების ლიცენზირება

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია წყალმომარაგების დეპარტამენტის[152] საშუალებით ახორციელებს წყალმომარაგების სექტორში ლიცენზიების გაცემას, კონტროლსა და, საჭიროების შემთხვევაში, გაუქმებას. სემეკი აღნიშნულ საქმიანობას ახორციელებს ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ[153] საქართველოს კანონის შესაბამისად.

---

[148] სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს, სუბსიდიის ჯამური ოდენობა განსაზღვრულია თვეში არაუმეტეს 106 ლარისა, ხოლო სოციალურად დაუცველი იმ ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა მეტია 70 000-ზე და არ აღემატება 200 000-ს, სუბსიდიის ჯამური ოდენობა განსაზღვრულია თვეში არაუმეტეს 20 ლარისა, სუბსიდიის გაცემის თვის წინა თვეში დარიცხული გადასახადების მიხედვით, შემდეგი გამოთვლის მეთოდითა და პრიორიტეტებით:
ბ) წყლის გადასახადზე 3,15 ლარის ოდენობით;

[149] განაცხადის ფორმის შევსების შემდეგ ოჯახში სააგენტოს უფლებამოსილი პირის (სოციალური აგენტი) ვიზიტის დროს ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე შეივსება "ოჯახის დეკლარაცია" ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. დეკლარირებული ინფორმაცია დასტურდება ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით. დეკლარაციაში ასახული ინფორმაციის მონაცემთა ერთიან ბაზაში განთავსებისა და დადგენილი მეთოდოლოგიით დამუშავების შემდეგ ოჯახს მიენიჭება სარეიტინგო ქულა, რომლის ოდენობაც განსაზღვრავს ოჯახის უფლებას რაიმე სახის ბენეფიტზე (ფულადი სოციალური დახმარება, და სხვ).

[150] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2924386

[151] სოციალური შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში (მუხლი 4).

[152] საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება №62014 წლის 6 მარტი, ქ. თბილისი.
საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

[153] https://matsne.gov.ge/ka/document/view/26824

კანონი არეგულირებს ისეთ ორგანიზებულ საქმიანობას ან ქმედებას, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს, ხასიათდება ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხით, მოიცავს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს, ან დაკავშირებულია სახელმწიფო რესურსებით სარგებლობასთან.

საქმიანობის ან ქმედების სახელმწიფო რეგულირება ლიცენზიით ან ნებართვით ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს საქმიანობა ან ქმედება უშუალოდ უკავშირდება ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებულ საფრთხეს, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესის სფეროებს. სახელმწიფო რეგულირება ხორციელდება მხოლოდ მაშინ, თუ ლიცენზიის ან ნებართვის გაცემით რეალურად შესაძლებელია აღნიშნული საფრთხის შემცირება, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინება.

კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად საქმიანობის ლიცენზიის სახეებს შორის ერთ-ერთია წყალმომარაგების ლიცენზია.

სემეკის 2017 წლის ანგარიშის მიხედვით[154] 2007 წლის 20 ნოემბერს „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე წყალმომარაგების საქმიანობა კომისიის რეგულირების არეალში მოექცა[155].

სემეკის 2017 წლის ანგარიშის მიხედვით[156], 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოში წყალმომარაგების სექტორში ოპერირებს წყალმომარაგების 9 ლიცენზიატი.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობა შეადგენს 3,718,000 ადამიანს. მოსახლეობის 55.5%-ის (2,064,998 ადამიანი) სასმელი წყლით წყალმომარაგებას უზრუნველყოფს წყალმომარაგების ლიცენზიატი კომპანიები, ხოლო 44.5%-ის (1,653,201 ადამიანი) წყალმომარაგებით უზრუნველყოფა ადგილობრივი მუნიციპალიტეტების პასუხისმგებლობის საკითხს წარმოადგენს.

---

[154] http://gnerc.org/files/wliuri%20angariSi/ANNUAL%20REPORT%202017_opt.pdf

[155] ამავე კანონის საფუძველზე, წყალმომარაგების დარგის რეგულირების მიზნით კომისის მიერ შემუშავდა რიგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები. წყალმომარაგების სექტორის რეგულირება ხორციელდება შემდეგი კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე: • საქართველოს კანონი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“; • კომისიის 2008 წლის 26 ნოემბრის No32 დადგენილებით დამტკიცებული „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესები;“ • კომისიის 2017 წლის 10 აგვისტოს No21 დადგენილებით დამტკიცებული ,,წყალმომარაგების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგია“.• კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის No23 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში საქმიანობის კონტროლისა და ლიცენზირების წესები“; • კომისიის 2016 წლის 25 ივლისის No13 დადგენილებით დამტკიცებული ,,მომსახურების კომერციული ხარისხის წესები“.

[156] http://gnerc.org/files/wliuri%20angariSi/ANNUAL%20REPORT%202017_opt.pdf

2017 წლის განმავლობაში ლიცენზია გაუუქმდა 7 ლიცენზიატს. წყალმომარაგების საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების საფუძვლებს წარმოადგენდა როგორც ლიცენზიის მფლობელის პირადი მოთხოვნა, ასევე ლიცენზიატების მიერ სალიცენზიო პირობების შეუსრულებლობა. ზემოაღნიშნულმა კომპანიებმა ფუნქციონირება გააგრძელეს, როგორც ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფმა კომპანიებმა.

5 საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი დაცვის მექანიზმები

წყლის შესახებ საქართველოს კანონის (მუხლი 38) შესაბამისად, "წყალმოსარგებლე შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი, მათ შორის – უცხოელიც, საკუთრების ფორმის განურჩევლად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. **მას** უფლება აქვს: ისარგებლოს წყლის ობიექტებით საერთო სარგებლობის ფორმით; არ დააბინძუროს და დაბინძურების შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

კანონი აცხადებს, რომ წყალმოსარგებლის უფლებები დაცულია კანონით და მისი ხელყოფის შემთხვევაში დარღვეული უფლება უნდა აღდგეს. ამის მიუხედავად, კანონი ითვალისწინებს მისი უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას: "განსაკუთრებული მცირეწყლიანობის, წყლის ობიექტზე ავარიული სიტუაციის, ეპიდემიისა და ეპიზოტიის გაჩენის საშიშროების, სტიქიური უბედურების, სამხედრო მოქმედებების დროს და სხვა ექსტრემალურ ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში წყალმოსარგებლეთა უფლებები შეიძლება შეიზღუდოს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, აგრეთვე სხვა წყალმოსარგებლეთა ინტერესების გამო. ასევე, საერთო წყალსარგებლობის უფლება შეიძლება შეიზღუდოს მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად, თევზის დასაცავად და სხვა თვალსაზრისით. ამ მიზნით სამინისტრო თვითმმართველი ერთეულის წარდგინებით განსაზღვრავს ადგილებს, სადაც აკრძალულია ბანაობა, ნავით სეირნობა, წყლის სასმელად და საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის აღება, პირუტყვის დარწყულება, თევზჭერა და სხვა საქმიანობა[157].

წყალმოსარგებლის ვალდებულებები გაწერილია ამავე კანონის 41-ე მუხლში: "უზრუნველყოს წყლის რაციონალური გამოყენება და იზრუნოს მისი ხარისხის შენარჩუნებასა და აღდგენაზე; არ დაუშვას სხვა წყალმოსარგებლეთა უფლებების შელახვა და სამეურნეო და ბუნებრივი ობიექტებისათვის ზიანის მიყენება; თუ ეს მაინც მოხდა, წყალმოსარგებლე ვალდებულია, კანონით დადგენილი წესით აანაზღაუროს მიყენებული ზიანი; წესრიგში იქონიოს გამწმენდი და სხვა ნაგებობები, ტექნიკური მოწყობილობები, რომლებიც გავლენას ახდენს წყლის მდგომარეობაზე, გაუმჯობესოს მათი საექსპლუატაციო ხარისხი.

კანონი ადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას მოსახლეობის სასმელი და საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის წყლის ობიექტით სარგებლობის დროს:

[157] წყლის შესახებ საქართველოს კანონი, www.matsne.gov.ge

ა) მოსახლეობის სასმელი და საყოფაცხოვრებო წყალმომარაგებისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს გაბინძურებისა და დანაგვიანებისაგან საიმედოდ დაცული ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები, რომელთა ხარისხი ბუნებრივ მდგომარეობაში ან სათანადო დამუშავების შემდეგ შეესაბამება საქართველოს სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილ ნორმებს;
ბ) მოსახლეობის სასმელი და საყოფაცხოვრებო წყალმომარაგებისათვის წყლის ობიექტი უნდა შეირჩეს მისი საიმედოობისა და სანიტარიული დაცვის ზონის ორგანიზების რეალური შესაძლებლობების გათვალისწინებით;
გ) სასმელად ვარგისი მიწისქვეშა წყლების საწარმოო მიზნით გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოების ტექნოლოგია, არსებული სანიტარიული ნორმებიდან და სტანდარტებიდან გამომდინარე, მოითხოვს სასმელი ხარისხის წყალს;
დ) სახელმწიფო წყალსადენიდან სასმელი წყლის საწარმოო დანიშნულებით გამოყენება დასაშვებია გამონაკლის შემთხვევაში, მხოლოდ შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე, თუ ეს ზიანს არ მიაყენებს მოსახლეობის სასმელ და საყოფაცხოვრებო წყალმომარაგებას.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის მიერ დამტკიცებულია ნორმატიული აქტები[158], სასმელი წყლის მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის. აღნიშნული აქტები სავალდებულოა შესასრულებლად და მათი დარღვევის შემთხვევაში მომხმარებელი უფლებამოსილია, მიმართოს კომისიას, კომისიასთან არსებულ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივ დამცველს ან სასამართლოს.

მომხმარებელი უფლებამოსილია, სადავო საკითხი (მათ შორის, ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილება) კანონმდებლობით განსაზღვრული გასაჩივრების (ხანდაზმულობის) ვადის განმავლობაში გაასაჩივროს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში[159].

---

[158] კომისიის 2008 წლის 26 ნოემბრის №32 დადგენილებით დამტკიცებული „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესები“.
კომისიის 2016 წლის 25 ივლისის №13 დადგენილებით დამტკიცებული „მომსახურების კომერციული ხარისხის წესები“.
კომისიის 2008 წლის 29 აგვისტოს №18 დადგენილებით დამტკიცებული „წყალმომარაგების ტარიფების დადგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“.
კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №23 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში საქმიანობის კონტროლისა და ლიცენზირების წესები“
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილება „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“.
კომისიის 2010 წლის 12 აგვისტო №14 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის (აირის) დატაცების, ასევე სასმელი წყლის უკანონო მოხმარებისა და წყალარინების ქსელით უკანონო სარგებლობისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადებისა და იძულებით აღსრულების წესები“.
კომისიის 2013 წლის 30 დეკემბრის №15 დადგენილებით დამტკიცებული „მესამე პირების მფლობელობაში არსებულ ქსელში ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზისა და სასმელი წყლის გატარების საფასურის გაანგარიშების წესები“.
[159] ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების გასაჩივრების ვადაა 10 დღე მისი გამოტანიდან. თუ ეს ვადა გაშვებულ იქნა საპატიო მიზეზით, მისი აღდგენა შესაძლებელია საჩივრის

6 თვისობრივი კვლევის შედეგები

კვლევის ფარგლებში განხორციელდა 100–ზე მეტი შეხვედრა მიზნობრივ ჯგუფებთან: მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან, ადგილობრივი ჯანდაცვისა და განათლების რესურსცენტრებთან, სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დირექტორებთან. გარდა ამისა, წერილობით მივმართეთ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მერიებს, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების ადგილობრივ რესურსცენტრებს, რათა მიგვეღო ინფორმაცია მათი ინფორმირებულობის შესახებ წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ხელმისაწვდომობის უფლების, ასევე საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში განხორციელებული მოქმედებებისა და აღებული ვალდებულებების შესრულების შესახებ, რათა გამოგვევლინა ადგილზე არსებული ხარვეზები წყლის ხარისხის კონტროლისა და კომუნიკაციის სფეროებში.

ჩვენი ერთ-ერთი ძირითადი ინტერესი იყო, პრაქტიკაში ვინ და როგორ ახორციელებს სკოლებში, ბაღებსა და ამბულატორიებში წყლის ხარისხის კონტროლს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან მიღებული წერილის[160] თანახმად,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 4 ნოემბრის N170/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის დებულებით" განსაზღვრულია აღნიშნული დეპარტამენტის მონიტორინგისა და კოორდინაციის სამმართველოს კომპეტენციები, სამმართველო ახორციელებს საჯარო სკოლების მონიტორინგს და შეფასებას ზოგადი განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის, საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესების მიზნით[161].

განმხილველი ორგანოს (ამ შემთხვევაში - კომისიის) მიერ, ხოლო საჩივრის შეტანა შესაძლებელია როგორც კომისიაში, ისე დადგენილების გამომცემ საწარმოში. საჩივრის შეტანის შემდეგ კომისიაში იწყება ადმინისტრაციული წარმოება, რის შესახებაც ინფორმაცია ქვეყნდება კომისიის ვებგვერდზე www. gnerc.org. კომისია საჩივარს განიხილავს მისი მიღებიდან 30 დღის ვადაში. საწარმო (ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიატი/მიმწოდებელი, ელექტროენერგიის განაწილების ან წყალმომარაგების ლიცენზიატი) ვალდებულია, დავის საბოლოო გადაწყვეტამდე (მიმდინარე დავალიანების გადახდის პირობით) არ შეუწყვიტოს მომსახურება პირს, რომელმაც წარადგინა შესაბამისი პრეტენზია. თუ მომსახურება უკვე შეწყვეტილია, საწარმო ვალდებულია, მომხმარებელს აღუდგინოს იგი არა უგვიანეს 1 სამუშაო დღისა.

[160] წერილის (სამინისტროში რეგისტრაციის N626478; 28.05.2018) პასუხად; 2018 წლის 11 ივნისი.

[161] ,,ზოგადი განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის, საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესების მიზნით საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში-ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების-ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალის მონიტორინგის ფორმის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 19 აგვისტოს N654 ბრძანებით დამტკიცებული კრიტერიუმები მოიცავს სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმებისა და წყლის მიწოდების საკითხის შეფასების მოთხოვნას. სასმელი წყლის ხელმისაწვდომობისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის კუთხით გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით საჯარო სკოლების ადმინისტრაციას ეძლევა რეკომენდაციები, რომელთა

სამინისტროს ინფორმაციით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მოქმედი სტანდარტი მოითხოვს საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემოს შექმნას,რაც გულისხმობს ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტ სისტემას, სველი წერტილების გამართულად ფუნქციონირებას, ბუნებრივი განათების შესაძლებლობას და გათბობის საშუალებების არსებობას. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში მიმდინარეობს მუშაობა ზოგადსგაანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ახალი სტანდარტების შემუშავებაზე, სადაც გათვალისწინებული იქნება სახელმწიფოს მიერ შემუშავებულ სანიტარიულ და ჰიგიენურ ნორმებთან შესაბამისობა.

სამინისტროს ცნობით, ჰიგიენის სწავლებასთან დაკავშირებული სპეციალური კურიკულუმი შემუშავებული არ არის, თუმცა ჰიგიენის საკითხები ფიგურირებს ისეთი საგნების სასწავლო გეგმებში, როგორებიცაა: "მე და საზოგადოება", "ბუნებისმეტყველება", "ბიოლოგია".[162]

ქალაქ ლაგოდეხის საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან მიღებული წერილის[163] მიხედვით, რესურსცენტრი საკუთარ მოვალეობად მიიჩნევს თავის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლებში გარემოს ვიზუალურ დათვალიერებას (მათ შორის, სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობისა და სკოლის სასმელი წყლით

შესრულების ხარისხი დგინდება განმეორებითი მონიტორინგის განხორციელებისას. იმ სკოლებში, სადაც არის ცენტრალური წაყალმომარაგება, წყლის ხარისხზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი კომპანია. რაც შეეხება სასმელი წყლის უსაფრთხოებას, იმ სკოლებში, სადაც არ არის ცენტრალური წყალმომარაგება, წყლის ხარისხის პროფილაქტიკური შემოწმება სკოლის ადმინისტრაციის დაკვეთით, ხორციელდება შესაბამისი კომპეტენციის მქონე სამსახურების მიერ. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის რეკომენდებულია, უზრუნველყონ წყლის სამარაგო მოცულობების პროფილაქტიკური რეცხვა-დეზინფექცია არსებული საკანონმდებლო რეგულაციების მიხედვით. ამასთან, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N488 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების“ მე-13 მუხლით პირველი პუნქტის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულია სტანდარტის ინდიკატორები, რომლებიც გულისხმობს დაწესებულებაში თითოეული ბავშვის პირადი ჰიგიენის ნორმების (ხელის დაბანა, საპირფარეშოს მოხმარება, კბილების გახეხვა) დაცვის უზრუნველყოფას და რომლის მიხედვითაც დაწესებულების თანამშრომლები მოქმედებენ - ,,წყალი, სანიტარია და ჰიგიენა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში“ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად”.

[162] მაგალითად, ბიოლოგიის სტანდარტის მიხედვით საბაზო საფეხურის ბოლოს მისაღწევი ერთ-ერთი შედეგია: „მოსწავლემ უნდა შეძლოს ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობის გაცნობიერება და მისი დაცვა“. შესაბამისად, ამ საფეხურზე მე-7, მე-8 კლასებისათვის განსაზღვრულ თითქმის ყველა თემაში (თითოეულ წელს 5 სავალდებულო თემაა) ინტეგრირებულია ჰიგიენასთან დაკავშირებული საკითხები; მაგალითად: ცხოველებსა და მცენარეებთან ურთიერთობისას არსებული რისკები, გადამდებ დაავადებებთან (ვირუსული, ბაქტერიული) დაკავშირებული რისკები, ადამიანის ყველა ორგანოთა სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ჰიგიენის საკითხები და სხვ. მე-9 კლასის სასწავლო პროგრამაში კი გამოყოფილია დამოუკიდებელი თემა: „ჯანმრთელობა და გარემო“. ასევე, ჰიგიენის საკითხები არის აგრეთვე დაწყებითი საფეხურის საგნის „მე და საზოგადოება“ სასწავლო გეგმასა (III კლასი) და სასკოლო მზაობის პროგრამაში - თამაში, სწავლისა და განვითარების აღმზრდელის სახელმძღვანელოში 24-ე თავი ეძღვნება ჯანმრთელობასა და ჰიგიენას.

[163] 14.05.2018 წლის N22 (რესურსცენტრში რეგისტრაციის N570127) კორესპონდენციის პასუხად; 14.05.2018.

მომარაგების)[164]. იდენტური პასუხი[165] მივიღეთ *ახმეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან.* თუმცა ანალოგიური წერილის პასუხად სრულიად განსხვავებული ინფორმაცია მივიღეთ *საგარეჯოს განათლების რესურსცენტრიდან.* საპასუხო წერილის[166] მიხედვით, წყლისა და საკანალიზაციო სისტემასთან დაკავშირებით ჩვენი უწყების მიერ არანაირი მონიტორინგი არ განხორციელებულა, რადგან ეს არ წარმოადგენს რესურსცენტრის კომპეტენციას.

რაც შეეხება „წყალი სიღარიბის აღმოსაფხვრელად" პროექტის ფარგლებში სუფთა წყლისა და საკანალიზაციო სისტემებთან დაკავშირებულ მონიტორინგს, ქალაქ ლაგოდეხის საგანმანათლებლო რესურსცენტრს იგი არ განუხორციელებია; ასევე რესურსცენტრს არ განუხორციელებია, არ დაუგეგმავს ღონისძიებები ჰიგიენასთან დაკავშირებული სპეციალური კურიკულუმების შესახებ.

საგანმანათლებლო რესურცენტრები მიიჩნევენ, რომ შემოწმების არანაირი ბერკეტი არ გააჩნიათ და არცერთი სკოლიდან არასდროს მიუღიათ შეტყობინება წყლის დაბინძურების შესახებ და, შესაბამისად, არც მიუმართავთ სურსათის უვნებლობის სამსახურისათვის და/ან მუნიციპალიტეტისათვის, ვინაიდან "მსგავს საკითხებზე სკოლები, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირები, დამოუკიდებლად მიმართავენ ადგილობრივ თვითმმრთველობასა და შესაბამის სამსახურს". ასევე ადასტურებენ, რომ "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2013 წელს გაერო–ს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით შემუშავებული სტანდარტის - "წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში" – არანაირი მონიტორინგი არ ჩაუტარებიათ".

განსხვავებული მდგომარეობაა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებთან დაკავშირებით. *ააიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის "სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება"*[167] იტყობინება, რომ მათ ორგანიზაციაში ჰყავთ დანიშნული სპეციალისტი, რომელიც კურირებს გაერთიანებაში შემავალი 30 საბავშვო ბაღის ჰიგიენისა და სანიტარიის საკითხებს. შესაბამისად, ეს უკანასკნელი ახორციელებს ყოველთვიურად, ზოგჯერ – კვირაში ორჯერ მონიტორინგს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის N485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 N 308/ნ ბრძანების შესაბამისად.

---

164 "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების - რესურსცენტრების ტიპური დებულების" მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, რესურს-ცენტრი უზრუნველყოფს თავის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლებში სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და გარემოს ვიზუალურ დათვალიერებას (მათ შორის – სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობისა და სკოლის სასმელი წყლით მომარაგების), შესაბამისი ანგარიშების შედგენასა და სამინისტროსათვის წარდგენას მოთხოვნის შემთხვევაში".

165 21.05.2018.

166 წერილის (რეგისტრაციის N565962; 14/05/2018) პასუხად;14.05.2018.

167 2018 წლის 15 მაისის წერილი.

სასმელი წყლის შემოწმება ხორციელდება ყოველწლიურად და 30 საბავშვო ბაღში სტანდარტი დამაკმაყოფილებელია. ასევე ხელმძღვანელობენ გაიდლაინით "წყალი, სანიტარია და ჰიგიენა საბავშვო ბაღებში"[168].

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ცნობით[169], მუნიციპალიტეტის მერიაში წყლის დაბინძურების შესახებ ინფორმაცია ვერ მოიძიეს და გადაგვამისამართეს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის "ლაგოდეხის სერვისცენტრში".

ააიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის პასუხის შესაბამისად[170], საგარეჯოს ტერიტორიაზე (ქ. საგარეჯოს გარდა) არსებულ სოფლებზე ახორციელებს კონტროლს სათავე ნაგებობებსა და მისგან გამომავალ ქსელებზე; აწარმოებს სარემონტო სამუშაოებს, ახდენს სასმელი წყლის ქიმიურ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევას; ახდენს სასმელი წყლის სადეზინფექციო საშუალებების შეძენას და ქსელებისა და რეზერვუარების რეცხვა– დეზინფექციას; საბავშვო ბაღების დირექციის მოთხოვნით წელიწადში ორჯერ ახდენს რაიონის ყველა საბავშვო ბაღის სასმელი წყლის ლაბორატორიულ შემოწმებას".

სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონული სამმართველოს[171] 2016 წლის წერილის ასლი მოგვაწოდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტმა, რომელშიც საუბარია წყლის დაბინძურებისა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემის შესახებ, თუმცა არაფერია ნათქვამი შემდგომი რეაგირებისა და გატარებული ღონისძიებების შესახებ.

ნაწილი III: დასკვნები და რეკომენდაციები

როგორც კვლევამ აჩვენა, წყლის უსაფრთხოებაზე ზრუნვა, არა მხოლოდ ინდივიდუალური უფლების შემადგენელი ნაწილია, არამედ ადეკვატური სანიტარიული პირობების შექმნა და მათზე მდგრადი მონიტორინგი თავად სასიცოცხლოდ აუცილებელი ჯანსაღი გარემოს, ჯანსაღი წყლის სათავეების დაბინძურებისგან დაცვასა და შენარჩუნებასაც იწვევს, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში სწორედ სახელმწიფოს მიერ სამართლის ეკოლოგიური ფუნქციის[172] ადეკვატურ განხორციელებად უნდა მივიჩნიოთ.

წყლის უსაფრთხოების პრობლემისადმი სახელმწიფოს გულგრილი დამოკიდებულების გამო ირღვევა სოციალური თანასწორობისა და სამოქალაქო სამართლიანობის ისეთი ოთხი ფუნდამენტური პრინციპი, როგორებიცაა:

---

[168] "წყალი, სანიტარია და ჰიგიენა საბავშვო ბაღებში"; საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი). დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 28 ივლისის No01-172/ო ბრძანებით.

[169] მერიაში 14 მაისს შემოსული / შემს No 3033/ მიმართვის პასუხად; 04 ივნისი, 2018.

[170] 2018 წლის 4 ივნისის წერილი.

[171] 2016 წლის 8 დეკემბრის წერილი.

[172] უზრუნველყოფილ იქნეს მომავალი თაობებისათვის ჯანსაღი გარემოს შენარჩუნება დღეს მიღებული საკანონმდებლო რეგუყლაციებით.

სამოქალაქო თანასწორობა – თითოეული ადამიანი აღჭურვილია თანასწორი სამოქალაქო, პოლიტიკური და საზოგადოებრივი უფლებებით, ამ უფლებების ეფექტიანი რეალიზაციის საშუალებების ჩათვლით.

სოციალური მინიმუმი - რესურსები, მათ შორის, წყლის რესურსები ყველა მოქალაქისათვის უნდა იყოს საკმარისად ხელმისაწვდომი თავისი ყოველდღიური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და ღირსეული ცხოვრებისათვის. სუფთა წყალი (მინიმუმ, 25 ლიტრი დღე-ღამეში) სოციალური მინიმუმის ნაწილია;

შესაძლებლობათა თანასწორობა - სოციალური სამართლიანობის ძირითადი ფაქტორია, რომელიც ირღვევა წყლის უსაფრთხოების არარსებობით. ადამიანები თვლიან, რომ განათლების გარეშე შეუძლებელია შესაძლებლობათა თანასწორობა. ასე მაგალითად: ბავშვები, რომლებიც სუფთა წყლის ნაკლებობით გამოწვეული მუდმივი ავადმყოფობის გამო არ დადიან სკოლაში, არა აქვთ საშუალება, ადეკვატურად ისარგებლონ განათლების უფლებით;

განაწილების სამართლიანობა – ყველა საზოგადოება ადგენს უთანასწორობის დასაშვებ საზღვრებს. ყოფა-ცხოვრებაში სუფთა ან/და ტექნიკური წყლისადმი ხელმისაწვდომობის დიდი უთანასწორობა არ შეესაბამება სამართლიანი განაწილების კრიტერიუმებს, განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს დაკავშირებულია ბავშვთა სიკვდილიანობის მაღალ დონესა და სიღარიბესთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფა ყველა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული პრობლემაა, რომლის გაუტარებლობა, გლობალურად, კაცობრიობის, და, კონკრეტულად, ადამიანის განვითარების მრავალ უარყოფით შედეგსა და ზიანში ვლინდება.

მიზნობრივ ჯგუფებთან შეხვედრებისა და მათგან ჩვენს წერილებზე პასუხებისგან ცხადი გახდა, რომ საქართველოს რეალობაში ადეკვატურად არ არის გაცნობიერებული სუფთა სასმელი წყლის მნიშვნელობა. ზედმეტია საუბარი, წყლისა და სანიტარიის უფლების, როგორც ადამიანის უფლების, აღიარებასა და დაცვაზე.

ცენტრალურ ხელისუფლებას არ აქვს ერთიანი ხედვა წყლის უფლების უზრუნველსაყოფად ხელმისაწვდომობისა და თანასწორობის პრინციპების პატივისცემის საფუძველზე.

ჩვენ მიერ შესწავლილი მუნიციპალიტეტების (საგარეჯო, ახმეტა, ლაგოდეხი, დმანისი, თეთრიწყარო, მარნეული, წალკა) სკოლების/ბაგა-ბაღების დირექტორებთან, მასწავლებლებთან, რესურსცენტრების ზოგიერთ წარმომადგენელთან კომუნიკაციისას გამოიკვეთა შემაშფოთებელი ტენდენცია: ერთგვარი გულგრილი დამოკიდებულება, რომ "სასმელ წყალთან დაკავშირებით ეჭვები არ აქვთ", ან, "შესაძლოა, წყალი დაბინძურებულია, მაგრამ მოსახლეობა, მათ შორის, ბავშვები მიჩვეულნი არიან". სკოლის დირექტორები, რომლებიც შეშფოთებას გამოხატავდნენ წყლის/სანიტარიის

ხარისხით, არ ფლობენ საკმარის ცოდნას, თუ როგორ და რა სახსრებით მოახდინონ წყლის ხარისხის შემოწმება. არადამაკმაყოფილებელი სანიტარიული პირობების გამოსწორება ხშირად ფინანსური პრობლემების გამო შეუძლებელია ან დროში გაჭიანურებული.

ადგილობრივი მუნიციპალიტეტები პრობლემის სიმწვავეს ადასტურებენ, თუმცა მუდმივად ჩივიან არასაკმარის ბიუჯეტზე. იმავდროულად აღიარებენ, რომ წლის ბოლოსათვის გარკვეული თანხები აუთვისებელი რჩებათ. ადასტურებენ, რომ ბიუჯეტის დაგეგმარების პროცესში არც აქვთ და არც ეყრდნობიან კვალიფიციურ კვლევებს და, ძირითადად, ორიენტირებული არიან "ე.წ. ცხელი წერტილების" მომენტალურ განეიტრალებაზე.

ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები არ ფლობენ ცოდნას წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ადამიანის უფლების შესახებ და არც უფლებიდან გამომდინარე სახელმწიფოს, მათ შორის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, ვალდებულებებზე.

სხვადასხვა მუნიციპალიტეტის რესურსცენტრები განსხვავებულად კითხულობენ კანონს და საკუთარი კომპეტენციების შესახებ განსხვავებული ხედვა აქვთ: ან მიიჩნევენ რომ სკოლებისა და ბაღების მონიტორინგი WaSH სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით მათ კომპეტენციას არ განეკუთვნება, ან თანამშრომელთა სიმცირესა და წყლის ხარისხის შემოწმებისათვის აუცილებელი თანხების ნაკლებობას უჩივიან.

საქართველოს პოლიტიკის დოკუმენტები

საქართველოს პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოს ხელისუფლება, მართალია, აღიარებს მოსახლეობის 24–საათიანი წყალმომარაგების პრიორიტეტს, მაგრამ რჩება შთაბეჭდილება, რომ თითოეულ სტრატეგიულ დოკუმენტში აღნიშნული მხოლოდ დეკლარაციულ ხასიათს ატარებს და საერთაშორისო ვალდებულების აღიარების მიზნით გაკეთებულ ჩანაწერს ჩამოგავს.

ცხადია, რომ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას არ აქვს კონკრეტული პოლიტიკური ხედვა, დოკუმენტი, რომელშიც სისტემურად იქნება ასახული წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ადამიანის უფლების სტანდარტის მნიშვნელობა და ამ კუთხით საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების აუცილებლობა. პოლიტიკის დოკუმენტებს არ ახლავს წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ადამიანის უფლების კონტექსტიდან გამომდინარე სამოქმედო გეგმა კონკრეტული აქტივობებით, ვადებით, ინდიკატორებითა და სავარაუდო დაფინანსების შესაძლებლობების მითითებით. ნათელია, რომ ამგვარი განცხადება მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს და ვერ ჩაითვლება კონკრეტულ შედეგზე გათვლილად და ეფექტიანად.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაერო–ს 2010 წლის რეკომენდაციის შესაბამისად, სახელმწიფოები ვალდებული არიან მოახდინონ ფინანსური რესურსების მობილიზება; საუკეთესო გამოცდილების გაზიარება და დამატებითი ფინანსების მოძიება/მოთხოვნა; ეროვნულ დონეზე ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების

მობილიზება, ჩართულობა და ინფორმირებულობა იმ მიზნით, რომ თანამიმდევრულად და სისტემურად იქნეს შედეგი მიღწეული. განსაკუთრებულ პრიორიტეტს პოლიტიკის განსაზღვრისა და დაგეგმვის თვალსაზრისით წარმოადგენენ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, სკოლები, ამბულატორიები და თავშესაფრები.

საქართველოს ინსტიტუციური ჩარჩო

საქართველოს ინსტიტუციური ჩარჩოს მიმოხილვამ ცხადყო, რომ წყლის მართვის სფეროში თავიანთი კომპეტენციის მიხედვით სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოა ჩართული: ეკონომიკის სამინისტრო, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, აგრეთვე თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოები.

მართალია, ახალი ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ წყალმომარაგებისა და სანიტარიული სამსახურის ექსკლუზიურ პასუხისმგებლობას ანიჭებს ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებს, მაგრამ ამ სექტორში არსებობს მრავალი გადასაჭრელი წინააღმდეგობა:

ა) უპირველეს ყოვლისა, ბუნდოვანია პასუხისმგებლობის განაწილება ცენტრალური სამთავრობო უწყებების ადგილობრივ განყოფილებებს, ან სახელმწიფო კუთვნილებაში არსებული რაიონული მნიშვნელობის საწარმოებსა და კომუნალური სამსახურის ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილ პირთა შორის.

ბ) მეორე, წყლის კომპანიების უმეტესობას, რომელთაც ევალებათ წყალმომარაგება და სანიტარიული მომსახურება, არ შესწევთ ძალა, შეასრულონ მათზე დაკისრებული როლი და პასუხისმგებლობა. წყალმომარაგებისა და სანიტარიული მომსახურების დარგში ადგილი აქვს არაკომერციულ მიდგომას, მენეჯერული, სააღრიცხვო და ტექნიკური რესურსებისა და გამოცდილების ნაკლებობას, საოპერაციო და სისტემური მონაცემების სიმცირეს, სტანდარტებისა და მონიტორინგის შესაძლებლობის შეზღუდულობას.

არ არსებობს დოკუმენტი, რომელიც სახელმწიფო ცენტრალური ხელისუფლების დონეზე განსაზღვრავდა წყლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ უწყებას/თანამდებობის პირს და მოახდენდა სახელმწიფო ინსტიტუტების კოორდინაციას, გაანაწილებდა უფლებებსა და მოვალეობებს, ასევე დაადგენდა ანგარიშვალდებულების კონკრეტულ ფაქტორებს.

კომპეტენციათა გამიჯვნისა და ურთიერთკოორდინაციის ნაკლებობა განსაკუთრებით თვალში საცემია სკოლებსა და ამბულატორიებში წყლის ხარისხსა და სანიტარიულ უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების კუთხით. მუნიციპალიტეტებში არ არსებობს წყლის ხარისხის კონტროლის ერთიანი რეგულაცია და ხელმისაწვდომი შესაძლებლობა.

მუნიციპალიტეტებში არ ხდება წყალსა და ჰიგიენასთან დაკავშირებული საკითხების შესაბამისი კვლევა, ანალიზი, დაგეგმვა, მათ შორის – არც ბიუჯეტის შედგენის წინ და არც თანამდევ პროცესში.

მუნიციპალიტეტების ბიუჯეტები მწირია და არამიზნობრივად, წინასწარი შესწავლისა და ანალიზის გარეშე შედგენილი.

არ არის კოორდინაცია ჯანდაცვისა და განათლების რესურსცენტრებს შორის, რაც აფერხებს და შეუძლებელს ხდის წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ადამიანის უფლების ინფორმირებულობას, ხელს უშლის მონიტორინგისა და შუამდგომლობის ინსტიტუტების ამოქმედებას.

ადგილობრივი მუნიციპალიტეტების საჯარო მოხელეები არ არიან ინფორმირებულები წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ადამიანის უფლების მნიშვნელობისა და გარანტირების ვალდებულების შესახებ.

სკოლების შემთხვევაში იკვეთება რამდენიმე უფლებამოსილი რგოლი: სკოლა - განათლების ადგილობრივი რესურსცენტრი-მუნიციპალიტეტი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სურსათის უვნებლობის სააგენტო. არ არსებობს მათ შორის ნორმატიულად მოწესრიგებული ანგარიშვალდებულებისა და კომპეტენციების განსაზღვრული წესი WaSH სტანდარტების კონტექსტში. არ არსებობს ერთიანი დოკუმენტი, რომელიც დაადგენდა მონიტორინგის უფლებამოსილ ორგანოს/პირს, გეგმა-გრაფიკს და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, განსაზღვრავდა მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე შესაბამის, ადეკვატურ და ეფექტიან სანქციას (კონტროლის ეფექტიანი მექანიზმი). მაგ., თუ სურსათის უვნებლობა დაადგენს წყლის დაბინძურების ფაქტს სკოლაში, ეს უკანასკნელი წერილობითი რეკომენდაციით მიმართავს მუნიციპალიტეტს, თუმცა არ არსებობს არანაირი შემდგომი მექანიზმი, რომელიც რეკომენდაციის შეუსრულებლობას შეიძლება მოჰყვეს შედეგად.

ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო

ქვეყნის ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო შემოიფარგლება უსისტემო და არათანამიმდევრული საკანონმდებლო რეგულაციებით. ხშირ შემთხვევაში კანონი ვერ აკმაყოფილებს განჭვრეტადობის სტანდარტს, ბუნდოვანია და შესაბამის პირებს უჭირთ კანონიდან საკუთარი კომპეტენციების შესახებ ინფორმაციის მიღება.

საქართველოს კანონმდებლობა დეკლარირებული სახით, მაგრამ მაინც მოიცავს წყლის უფლების აღიარების, დაცვის, თანასწორობის, წყლის მომხმარებელთა დაცვისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებს.

ძირითადი პრობლემა იმაშია, რომ „წყლის შესახებ“ მოქმედი კანონის დებულებების უმეტესი ნაწილი სამართლებრივად გაუმართავია, კანონს არაქმედითი ხასიათი აქვს.

ზოგადად უნდა ითქვას, რომ წყლის რესურსებთან დაკავშირებული მოქმედი კანონმდებლობა არ არის სრულყოფილი, იგი ვერ არეგულირებს ისეთ საკითხებს,

როგორებიცაა: წყლის დაბინძურების პრევენცია, წყლის ობიექტებთან დაკავშირებული საკუთრების, მფლობელობისა და გამოყენების უფლებები, წყლის რესურსების კადასტრი და სხვ.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ადამიანის უფლება, როგორც სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, ჯეროვნად იყოს განცხადებული საქართველოს კონსტიტუციაში. სასურველია, რომ პრეამბულაში გამოთქმული განაცხადი იმის შესახებ, რომ "სახელმწიფო ზრუნავს მოქალაქის ჯანმრთელობასა … და ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე" დაკონკრეტებული იყოს კონსტიტუციის ტექსტში, რათა ნათლად იძლეოდეს უფლების დაცვის გარანტს.

სასურველია, პოლიტიკის დოკუმენტებმა და კანონმდებლობამ გამიჯნოს სასმელი წყლის მიწოდებასა და დაცვასთან და, ზოგადად, წყლის რესურსების გამოყენებას, მართვასა და დაცვასთან დაკავშირებული საკითხები.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, წყლის მართვასა და დაცვასთან დაკავშირებით კოორდინაცია მეტად იყოს უზრუნველყოფილი, კომპეტენციები ნათლად გამიჯნული და პასუხისმგებლობები გადანაწილებული. საკითხი კიდევ უფრო აქტუალური გახდა სამინისტროების შერწყმის შემდეგ, რამაც რიგ შემთხვევაში გამოიწვია განმახორციელებლი და მაკონტროლებელი უწყებების ფუნქციების აღრევა (იგულისხმება სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს გაერთიანება).

როგორც ჩვენთვის ცნობილია, მომზადდა ახალი კანონპროექტი წყლის შესახებ, რომელშიც მოქმედი კანონის რიგი ხარვეზები გამოსწორებულია.

მიზანშეწონილია, ახალმა კანონმა აღიაროს საქართველოს მოქალაქეების უფლება უსაფრთხო სასმელ წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე, როგორც ადამიანის უფლება. სასმელ წყალთან დაკავშირებული რეგულაციები ცალკე დაადგინოს, მითუმეტეს, რომ სახელმწიფო სტრატეგიულ დოკუმენტებსა და პროგრამებში მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა პრიორიტეტადაა გამოცხადებული.

ყველაზე სერიოზული ხარვეზი გამოიკვეთა სასმელი წყლის ხარისხის კონტროლის ეფექტიან და ხელმისაწვდომი სისტემის არქონასთან დაკავშირებით.

წყლის შესახებ ახალი კანონის ავტორები ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავენ, რომ წყლის სფეროში ძირეული გაუმჯობესების მიღწევა მხოლოდ ამ სფეროს მიზანმიმართული და თანამიმდევრული რეფორმირებით არის შესაძლებელი. ამგვარმა რეფორმამ კომპლექსურად უნდა მოიცვას წყლის რესურსების დაცვასა და რაციონალურ (მდგრად) გამოყენებასთან დაკავშირებული ყველა ასპექტი – სტრატეგიული, სამართლებრივი, ინსტიტუციური, ნორმატიულ-ტექნიკური, ადმინისტრაციული და ფინანსური.

ამასთან, რეფორმა მეთოდოლოგიური თვალსაზრისით უნდა დაეყრდნოს მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში აპრობირებულ და საერთაშორისოდ აღიარებულ თანამედროვე მოთხოვნებს, რომლებმაც წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის

თანამედროვე პრინციპებსა და მიდგომებში პოვეს გამოხატულება.

დაგეგმვის სრულყოფისა და წყლის ობიექტების მდგომარეობის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად/შესანარჩუნებლად აუცილებელია მონაცემთა სრულყოფილი ბაზა, რომლის შექმნა შესაძლებელია მხოლოდ მონიტორინგის ყოვლისმომცველი ქსელის საშუალებით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წყლის რესურსებზე მოთხოვნის მოსალოდნელი ზრდის (ძირითადად, სარწყავი და ენერგეტიკული დანიშნულებით) ფონზე. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში შეიმჩნევა მონიტორინგის ქსელის გაფართოების ტენდენცია, სასურველი შედეგის მისაღებად მეტი ძალისხმევაა საჭირო. დაგეგმვის სრულყოფისა და სათანადო ღონისძიებების განსახორციელებლად, ასევე აუცილებელია ანგარიშგების, მონაცემთა მართვისა და გამოყენების სისტემების ჩამოყალიბება.

იმის მიუხედავად, რომ **სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების** წესები წარმოადგენს თანამედროვე სტანდარტის შესაბამის დოკუმენტს, სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობის უფლება აღიარებულია და დაცულია, თუმცა ჩვენი შენიშვნა ეხება მიმწოდებლის უფლებამოსილებას, შეწყვიტოს წყლის მიწოდება წყლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში. მიგვაჩნია, რომ ეს არის მთლიანად სამართლებრივი და პოლიტიკური პრობლემა, ვინაიდან, როგორც ზემოთ ვნახეთ წყალზე უფლების შემადგენელი ნაწილია სახელმწიფოს მიერ იმგვარი პოლიტიკისა და რეგულაციების დაწესება, რომლებიც გათვლილი იქნება ადამიანის გადახდისუუნარობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას განცხადებული აქვს გადამხდელზე მორგებული სატარიფო პოლიტიკის პრინციპი, ქვეყნის მასშტაბით არ არსებობს წყალზე შეღავათის დაწესების ერთიანი სისტემა. წყალზე უფლების კონტექსტიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ვალდებულების ფარგლებში მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ შეიმუშაოს ერთიანი პოლიტიკა შესაბამისი საჭიროების მქონე მოსახლეობისათვის წყლის გადასახადზე შეღავათის დაწესების შესახებ.

გვაქვს ორკომპონენტიანი სოციალური დაცვის სისტემა, რომელიც ვერ ახერხებს თავისი ფუნქციების ეფექტიანად შესრულებას და საუკეთესო ვარიანტში მხოლოდ სტატუს-კვოს ინარჩუნებს ან სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფიზიკურად გადარჩენას ახერხებს წლიდან წლამდე. იმისათვის, რომ ვითარება შეიცვალოს, საჭიროა უფრო კომპლექსური პოლიტიკის შემუშავება, ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის უფრო მჭიდრო კავშირი. ქართული სახელმწიფოს მიზანი უნდა იყოს უნივერსალიზმსა და განვითარებაზე ორიენტირებული სოციალური დაცვის პოლიტიკის ჩამოყალიბება, რომელიც უფრო მეტ კომპონენტს მოიცავს, ვიდრე მხოლოდ სოციალური დახმარებები და პენსიებია[173].

გამჭვირვალე და ეფექტიანი სატარიფო რეგულირება ტარიფების დაწესების პროცესში მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოფდეს როგორც მოსახლეობის, ისე კომპანიების ინტერესების დაცვას. პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ კომპანიების განვითარების

[173] Read more at: http://european.ge/saqartvelos-socialuri-dacvis-sistemis-sheaxeb/
Copyright © European.ge/http://european.ge

ხარჯზე არ მოხდეს კომუნალური ტარიფების დადგენა. მიგვაჩნია, რომ დაგეგმილი გამრიცხველიანების შედეგად საკითხი კიდევ უფრო აქტუალური გახდება განსაკუთრებით სოფლად მცხოვრები მოსახლეობისათვის. ამგვარად, თუ სახელმწიფოს პოლიტიკა არის დაბალი ტარიფების შენარჩუნება, მაშინ მით უფრო მიზანშეწონილია, სახელმწიფოს მხრიდან განხორციელდეს მიზნობრივი ჯგუფებისათვის კომუნალური ტარიფების სუბსიდირება.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საქართველოს კანონმდებლობით მკაცრად დარეგულირდეს წყალმომარაგებისა და სანიტარიული მომსახურების სფეროში მოღვაწე წყლის კომპანიების სახელმწიფოსა და მოქალაქის მიმართ ანგარიშვალდებულებისა და მონიტორინგის საკითხები.

მართალია, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს საჯარო ინფორმაციის გაცემისა და მიღების პროცედურებს, მაგრამ საჯარო ინფორმაციის მისაღებად კანონით დადგენილი 10–დღიანი ვადა, წყალთან, სანიტარიასა და ჰიგიენასთან დაკავშირებულ საკითხებზე რიგ შემთხვევაში, შესაძლებელია, ჩაითვალოს დაგვიანებულად. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მოსახლეობის წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ადამიანის უფლების ჯეროვანი განხორციელების მიზნით ამ საკითხზე როგორც სასიცოცხლოდ აუცილებელ და მნიშვნელოვან საკითხზე, დაწესდეს გარკვეული გამონაკლისი, მოქალაქეთა თანამონაწილეობისა და ხელისუფლების ანგარიშვალდებულების გაზრდის მოთხოვნიდან გამომდინარე.

ინტერნეტსივრცეში ხელმისაწვდომია ბოლო სამი წლის განმავლობაში UNICEF-ის ძალისხმევით შემუშავებული კონკრეტული ინსტრუქციები და გაიდლაინები სკოლებისა და ბაღებისათვის, რომელთა შესახებ ადგილობრივ დონეზე არ არის ცნობილი მუნიციპალიტეტებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის.

სასურველია გაიდლაინის ინსტრუქციის უფრო ინტენსიური გამოყენება და კითხვარის საშუალებით ინტენსიური მონიტორინგის (წელიწადში 2–ჯერ მაინც) დაწესება. ასევე მიგვაჩნია, რომ გაიდლაინი უნდა იყოს სავალდებულო და არა სარეკომენდაციო დოკუმენტი. ვინაიდან იგი დამტკიცებულია ჯანდაცვის სამინისტროს მიერ, სასურველია, მონიტორინგს ახორციელებდეს ჯანდაცვის სამინისტრო ადგილობრივი რესურსცენტრების საშუალებით.

ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის “თ” პუნქტის შესაბამისად, სკოლის დირექტორი სკოლის სამეურვეო საბჭოს ყოველი წლის 10 დეკემბრამდე აბარებს ანგარიშს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, ხოლო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში – ანგარიშს ფინანსური საქმიანობის შესახებ.

როგორც საქართველოს კანონში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ, ისე ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონში უსაფრთხო სკოლისა და ბავშვთა დაცვის კონტექსტებში სასურველია, გაჩნდეს ჩანაწერი წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის ადექკატურ პირობებზე.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლი აწესებს დაწესებულების ავტორიზაციის ვადას - 4 წელს. სასურველია, კანონმა გაითვალისწინოს ამ ოთხი წლის განმავლობაში კონტროლის მექანიზმები მდგრადობის პრინციპის უზრუნველსაყოფად წყალთან, კანალიზაციასა და ჰიგიენასთან მიმართებაში.

იმისათვის, რომ წყლის შესახებ საქართველოს კანონის მე-15 მუხლი დანაგვიანებისა და დაბინძურებისაგან დაცვის შესახებ ამოქმედდეს და შედეგზე ორიენტირებული იყოს, აუცილებელია, კანონმდებლობა მოიცავდეს უზრუნველყოფის კონკრეტულ სამართლებრივ ბერკეტებს - აღსრულების ეფექტიან მექანიზმებს.

სურსათის ეროვნული სააგენტოს დასკვნებს მუნიციპალიტეტის მიმართ მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი აქვს. მიგვაჩნია, რომ სურსათის ეროვნული სააგენტოს დასკვნას წყლის ხარისხის შესახებ მეტი ყურადღება უნდა ექცეოდეს.

მნიშვნელოვანი და მიზანშეწონილია, რომ საქართველოს კანონმდებლობამ შემოიღოს წყლის უფლების ხელყოფის შემთხვევაში ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის მექანიზმი, რომელიც სუფთა სასმელი წყლის შეზღუდვის, წყლის დაბინძურების შემთხვევებში, ასევე შესაბამისი უწყებების იგნორირების შემთხვევაში გაითვალისწინებს ქმედით და შედეგზე ორიენტირებულ სანქციებს.

სასურველია, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში გაიწეროს, მუნიციპალიტეტებში სპეციალური კვლევითი დეპარტამენტის შექმნა, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად განახორციელებს მუნიციპალიტეტში არსებული წყალთან დაკავშირებული გამოწვევების კვლევას და ბიუჯეტის დაგეგმარების დროს მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს პრიორიტეტული საკითხების განსაზღვრასა და მდგრადობაზე გათვლილი აქტივობების დადგენაში

კონკრეტული რეკომენდაციები

ცენტრალური ხელისუფლების მიმართ

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საქართველოს მთავრობამ შეიმუშაოს შესაბამისი სრულყოფილი პოლიტიკის დოკუმენტი წყალსა და სანიტარიაზე ადამიანის უფლების სტანდარტის დაცვით.

პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად მომზადდეს საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც სისტემაში მოიყვანს წყალსა და სანიტარიაზე ხელმისაწვდომობის უფლების იმპლემენტაციისათვის საბაზისო საკანონმდებლო და ინსტიტუციურ ჩარჩოს.

მიგვაჩნია, რომ, ზოგადად, ქვეყანაში მნიშვნელოვანია წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ადამიანის უფლების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა. მიზნობრივ

ჯგუფებთან შეხვედრებისას გამოიკვეთა სასმელი წყლის დაბინძურების მიმართ გულგრილი დამოკიდებულების ტენდენცია.

მოსახლეობისათვის ცნობიერების ამაღლების კამპანიების განხორციელება, მოსახლეობისათვის დროული და ობიექტური ინფორმაციის მიწოდება სასმელი წყლის ხარისხის შესახებ.

პრიორიტეტული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სასმელი წყალმომარაგების, სანიტარიისა და ჰიგიენური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

საქართველომ აღიარა ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის პრიორიტეტულობა, ხოლო საქართველოში ათასწლეულის პროგრამის მე-7 პუნქტის მისაღწევად აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნეს:

(ა) მთლიანი განსახილველი პერიოდის განმავლობაში სასმელი წყლის მიწოდება ცენტრალიზებული წყალმომარაგების სისტემის მეშვეობით იმ მომხმარებლებისათვის, რომლებისთვისაც უსაფრთხო სასმელი წყალი ხელმისაწვდომია;

(ბ) უსაფრთხო სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობა, როგორც მინიმუმ, მომხმარებელთა იმ 50 %-ისათვის, რომელთათვისაც სასმელი წყალი ხელმიუწვდომელია.

ფინანსური რესურსები მოძიებულ იქნეს პრიორიტეტული, ქმედითი ეროვნული პროგრამების სახით წყალსადენისა და საკანალიზაციო მეურნეობისათვის და, ამასთან, გათვალისწინებულ იქნეს წყლის ტარიფის ხელმისაწვდომობა ქვეყნის მოსახლეობის ღარიბი ფენისათვის. არანაკლებ მნიშვნელოვანია წყალთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების გამჭვირვალობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა, რაც დღეს საქართველოში მეტად პრობლემურია.

მიზნის მისაღწევად აუცილებელია წყალკანალისა და წყალგაყვანილობის ქსელების ძირითადი ნაგებობების რეაბილიტაცია და რეკონსტრუქცია, რათა მოხდეს გამტარუნარიანობის იმ დონემდე მიყვანა, რომელიც იძლევა საშუალებას, იმ მოცულობით იქნეს მიწოდებული წყალი მოსახლეობისათვის, რომელიც აუცილებელია ფიზიოლოგიური და ჰიგიენური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის.

მიგვაჩნია, რომ პრიორიტეტულია ქვეყნის მასშტაბით კვლევის განხორციელება, რომელიც მოიცავს უსაფრთხო სასმელი წყლის ხელმისაწვდომობის დაბრკოლებების შესწავლას, აღნუსხვასა და დათვლას. კვლევა საფუძვლად უნდა დაედოს სისტემურ და ქმედით სამოქმედო გეგმას, რომელიც პრიორიტეტებად დაყოფს განსახორციელებელ აქტივობებს და შეძლებს არსებული ფინანსური რესურსის გონივრულ გადანაწილებას.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ

მიზანშეწონილია, ერთობლივად დაიგეგმოს და განხორციელდეს სპეციალური ტრენინგები წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ადამიანის უფლებისა და ქვეყანაში არსებული სასმელი წყლის კონტროლის შესაძლებლობების შესახებ როგორც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისა და რესურსცენტრების თანამშრომლებისათვის, ისე სკოლების დირექტორების, მასწავლებლებისა და სოფლის ექიმებისათვის.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია სასწავლო პროგრამების შემუშავება წყალმომარაგების სისტემებში დასაქმებულთა პროფესიული განათლებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

ერთობლივად დაეკისროთ სოლებში, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებსა და საავადმყოფოებში Wash მდგომარეობის შესახებ ყოველწლიური ანგარიშის მომზადების ვალდებულება.

სასურველია, წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ადამიანის უფლების შესახებ შემუშავდეს სპეციალური ტრენინგმოდული საქართველოს იურიდიული სამსახურის ადვოკატებისათვის, ვინაიდან სწორედ ისინი ახორციელებენ სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის დარღვეული უფლებების შემთხვევაში უფასო იურიდიულ დახმარებასა და სამართლებრივ დაცვას.

სასურველია ტრენინგ მოდული მოხვდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისა და იუსტიციის სასწავლო ცენტრის კურიკულუმში, რათა ადვოკატები და მოსამართლეები მეტად იყვნენ ინფორმირებულნი წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ადამიანის უფლების სამართლებრივი კონტექსტის შესახებ, რათა სამართლებრივი დავის შემთხვევაში იმოქმედონ წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ადამიანის უფლების საერთაშორისო სამართლით დადგენილი სტანდარტის შესაბამისად.

სკოლებში წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის საკითხების (WASH) მონიტორინგის რუტინული სისტემის ამოქმედებისათვის პასუხისმგებელ ინსტიტუციად (ისევე, როგორც ქვეყნების უმრავლესობაში) რეკომენდებულია, განისაზღვროს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ხოლო ყველაზე ხარჯეფექტიან და მდგრადი გზა - განათლების მართვის არსებულ საინფორმაციო სისტემაში (Education Monitoring Information Systems – EMIS) ინტეგრაციაა და არა მონიტორინგის სხვა პარალელური სისტემის შექმნა.

სასურველია, ჯანდაცვისა და განათლების რესურსცენტრებმა მონიტორინგი საკუთარ თავზე აიღონ და მონაცემთა სტატისტიკაც აწარმოონ.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ადგილობრივი ჯანდაცვის სამსახურები გახდნენ უფრო ქმედუნარიანნი და ეფექტიანნი.

სასურველია, როგორც სკოლის, ისე ბაღის ავტორიზაციისას მკაცრად იქნეს გაკონტრებული და გათვალისწინებული ადამიანის უფლება WaSH-ზე.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები იქნეს გადადგმული, სასურველია, ქართულ ენაზე ითარგმნოს გაერო–ს მიერ მომზადებული სახელმძღვანელო WaSH, როგორც ადამიანის უფლება. ასევე ამ მიმართულებით დატრენინგდნენ ჯანდაცვისა და განათლების ადგილობრივი რესურსცენტრების წარმომადგენლები, მუნიციპალიტეტების პასუხისმგებელი თანამშრომლები.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიმართ

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების შესაბამისად, **ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები** მნიშვნელოვან როლს ასრულებენ წყლის რესურსების მართვისა და სასმელი წყლის მარაგების საკითხში. ეს შეიძლება მოიცავდეს კონკრეტულ რეკომენდაციებს, თემებისა და ოჯახური შიდა მეურნეობების სასმელი წყლის სისტემების პროექტირებას, განვითარებასა და ხარვეზების გამოსწორებას, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას სასმელი წყლის მომარაგების და წყლის ხარისხის შესახებ. ასეთი პროგრამები, ჩვეულებრივ, მოიცავს:

- წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის შესახებ ცნობიერების ამაღლებას.
- ძირითად ტექნიკურ მომზადებასა და ტექნოლოგიების გადაცემას წყალმომარაგების განხორციელებისა და მართვის შესახებ.
- ტრეინინგპროგრამების ორგანიზებას წყალმომარაგების სფეროში მოქმედი სპეციალისტებისათვის წყლის რესურსების მართვის, კვლევების, შეფასებისა და თანამედროვე მიდგომების გასაცნობად.
- განხილვა და მიდგომების შემუშავება, რათა გადაილახოს სოციალურ-კულტურული ბარიერები სასმელი წყლის ხარისხის გაუმჯობესების მიღწევის გზაზე.
- მოტივაციას, მობილიზაციასა და ქმედებებს სოციალური მარკეტინგის სფეროში.
- მუდმივი ხელშეწყობის სისტემას, თანამიმდევრულ ღონისძიებებს ინფორმაციის გავრცელებას სასმელი წყლის ხარისხის შესახებ, განსახორციელებელ პროგრამებს სასმელი წყლის ხარისხის მდგრადობის შესანარჩუნებლად.
- კოორდინაციის ჩამოყალიბებას სასმელი წყლის ხარისხის შესახებ ინფორმაციის გაცვლისათვის სხვადასხვა უწყებას შორის, რომლებიც პასუხისმგებელი არიან სასმელი წყლის ხარისხის მართვისა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის საკითხებზე.

პრიორიტეტული და საბაზისო რეკომენდაციები:

მიზანშეწონილად მიგვაჩნია სასმელი წყლის ხარისხზე სახელმწიფო რუტინული მონიტორინგის განხორციელება და ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნა.

მიგვაჩნია, რომ პრიორიტეტულია ლაგოდეხის, ახმეტის, საგარეჯოს, მარნეულის, დმანისის, თეთრიწყაროსა და წალკის მუნიციპალიტეტების მასშტაბით კვლევის განხორციელება, რომელიც მოიცავს უსაფრთხო სასმელი წყლის ხელმისაწვდომობის საკითხში დაბრკოლებების შესწავლას (იგულისხმება წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია/ განვითარება/ მოვლა), არსებული გამოწვევების აღნუსხვასა და ფინანსურ დათვლას. კვლევა საფუძვლად უნდა დაედოს სისტემურ და ქმედით სამოქმედო გეგმას, რომელიც პრიორიტეტებად დაყოფს განსახორციელებელ აქტივობებს და შეძლებს, ადგილობრივი ხელისუფლების ხელთ არსებული ფინანსური რესურსის გონივრულ გადანაწილებას.

მიზანშეწონილია, შემუშავდეს წყალსა და სანიტარიაზე ხელმისაწვდომობის უფლების იმპლემენტაციის შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტი და/ან არსებული (ზემოთ განხილული) პოლიტიკის დოკუმენტებში, კერძოდ, სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში დეტალურად აისახოს წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ადამიანის უფლების დაცვის ვალდებულება და უფლების განხორციელების კონკრეტული სამოქმედო გეგმა. სასურველია, სამოქმედო გეგმამ მოიცვას ვადები, ინდიკატორები და სავარაუდო ბიუჯეტი.

რეკომენდებულია, რაც შეიძლება, სწრაფად იქნეს რატიფიცირებული "წყალი და ჯანმრთელობის ოქმი", რომელიც ხელმოწერილია საქართველოს მიერ და შესაბამისად მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, წყლის შესახებ საქართველოს კანონის მასთან შესაბამისობაში მოყვანა.